

აპა მორჩილაძე

შენი თავგადასავალი

სიზმრის ახსნა
მეტისმეტად ერთგული
მკითხველისათვის



გაკურ სულაქაურის
გამომცემლობა

აკა მორჩილაძე

შენი თავგადასავალი

სიზმრის ახსნა მეტისმეტად ერთგული მკითხველისათვის

პირველი გამოცემა, თბილისი, 2003

© აკა მორჩილაძე, 2003

ყველა უფლება დაცულია

ყდის დიზაინი: თამაზ ვარვარიძე

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, თბილისი, 0112

ელ-ფოსტა: bakur @access.sanel.ge

ISBN 99940-15-97-4

Aka Morchiladze

YOUR LIFE

Comments

© Aka Morchiladze, 2003

All rights reserved

Published and printed by

Bakur Sulakauri Publishing

Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

რატომ დავწერე ეს წიგნაკი

ეგებ ამ წიგნაკის გამოქვეყნება აუცილებელი სულაც არ იყოს, მაგრამ იგი მეოთხე წელიწადია არსებობს ჩემს გონებაში და თუ მოეხმარება, თორემ ხელს არაფრით შეუშლის „შენი თავგადასავლის“ მკითხველს. უამისოდაც მოგეხსენებათ, რომ ყოველ წიგნს თავისი შიგნითა ამბავი აქვს, რომელიც ნამკითხველისთვის უცნობი რჩება, დამწერისთვის კი ეგებ მეტად ძვირფასიც იყოს, ვიდრე თავად წიგნი. ისეც მოხდება ხოლმე, რომ წიგნი მაინცდამაინც კარგი ვერ გამოვა, მაგრამ მის დამწერს მაინც ეძვირფასება, რადგან პატიოსანი შრომა ჩაუდევს იქა და ის ფიქრები და ამბები, აქ რომ გადმოუცია, ღირსეული ჰგონებია.

ეს რომ საერთოდ არ იყოს და კაცი საკუთარი ნაწერით კმაყოფილი ჩანდეს, თავისი წიგნი მან ყველა მკითხველზე უკეთ იცის და შეუძლია, წიგნიც ყველაზე უკეთ დაწეროს თავისი წიგნის შესახებ, თუ რა თქმა უნდა, არა ჰგონია, რომ შედეგების ავტორია. წიგნის დამთავრების შემდეგ ყველაზე კარგი განცდა ის არის, რომ იგი ნამდვილი ცხოვრებასავით გაიარე და როგორც ცხოვრებაში არის ამბები, რომლებსაც ვერ მოერიე, ისე ამ შენს ნაწერშიც. მაგრამ ამას დიდით ვერაფრით მივაბამთ წიგნის დამთავრების შემდეგ ნამოჭრილ მეორე ამბავს, ანუ წიგნს მორჩენილ ნაკუნებს, რომლებიც ძნელად ეთმობა მის დამწერს.

არ ეთმობა და რას იზამ? უნდა დათმოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისე გამოვიდა, რომ „შენი თავგადასავალი“ მეტად დატვირთული გამოდგა ათასგვარი გახსენებებით, ალუზიებითა და ტყუილით, თუ ნამდვილი სიმბოლოებით, რომლებიც ძალაუნებურად იბადებოდნენ და რომელთა შეკავებაც ვერაფრით მოვახერხე და რაც უფრო მეტს ვწერდი, მით მეტად მეხლართებოდა ეს ამბები.

წიგნი გამოვიდა თუ არა, ერთმა კარგმა მეგობარმა მითხრა, ეს რა დაგინერია, რატომ დაწერე ეგეთი წიგნიო. მე ვერაფერი ვუპასუხე, რა ვიცი-მეთქი. სხვებიც მეტად აკრიტიკებდნენ ამ წიგნს, თუმცა საქებაარი სიტყვებიც იყო. შენო, სულ უნდა განვითარდეო, მითხრა ამ მეგობარმა, ამ დროს კიდევ, ადგილს ტკეპნიო. ჯანდაბას, ეგ წიგნი სამი წლის წინათ დაგინერია და ახალი რაც დაწერე, უკეთესია, ოღონდ განგებ გაგიფუჭებია ბოლოში, უფრო ბუნებრივად შეგეძლო დამთავრებაო. მოკლედ, ჩემი მეგობარი ლიტერატურის დიდი ტრფიალი გახლავს, მე კიდევ, ამ წიგნის ისტორია მისთვის არ მიაბნია და ისიც არ ჩაძიებია, რადგან „შენს თავგადასავალში“ ბევრი დამაბნეველი ადგილია და საგანგებო ბუნდოვანებით მოთხრობილიც.

დიდი ჭკუის და ნაკითხოების მოქალაქე მე არ გახლავართ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ რაც კი რამ ალუზია გამჩენია ცხოვრებაში, ყველა ამ წიგნში ჩაეტია და მგონია, რომ რისი მოთხრობაც მინდოდა და როგორც მინდოდა, ისე გამოვიდა.

ხოლო თუ რატომ დაწერე ეს წიგნი, დიდი ფიცი და განმარტება არ უნდა. არის ერთი ალბუკერკელი მოკრივე, გიჟმაჟი ჯონი ტაპია. ამ ჯონის ქამარზე აწერია სამი სიტყვა: „ჩემი ჩამწვარი ცხოვრება“ ჰოდა, ეს წიგნიც ამაზეა.

თავიდან „შენს თავგადასავალს“ „გენერალი როდონოვი და პორტობელოელი შავი სემი ერქვა,“ მაგრამ, როგორც ამიხსნეს, ამხელა სათაური ყდაზე არ დაეტიოდა და მეც შევცვალე, რაც გამომცემელსაც მოეწონა.

1999

იყო ალბათ თებერვალი ან მარტი და მე მივბოდი-
ალდი ახლადგამოსული გაზეთის, „ქომაგის“ რედაქცია-
ში. იქ დამიხვდნენ ნინო ქაჯაია, ზალიკო სამადაშვილი
და დათო მალრაძე — იმ დროს „ქომაგის“ გამომცემე-
ლი და რედაქტორი. ხანმოკლე ამხანაგურ საუბარში
გამოიჩვენა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოთხრობას დაე-
წერდი „ქომაგისთვის“.

იმ დროს ერთი მოთხრობა მქონდა მოფიქრებული,
ოღონდ იმასაც ვხვდებოდი, რომ მთლად მოთხრობაც
არ იქნებოდა. ჰოდა, ამათაც მოკლედ ვუამბე, რაზე იქ-
ნებოდა მოთხრობა, რომელიც ალბათ გაზეთის ორ-სამ
ნომერში გაგრძელდებოდა. ზალიკო პროზას განაგებ-
და იმ გაზეთში და მოთხრობა მისთვის უნდა მიმეტანა.

იმ კვირიდან დავიწყებ-მეთქი, მოვახსენე და წამო-
ვედი ჩვენსა, „სარბიელის“ რედაქციაში, სადაც მაშინ
რემონტი იყო და ყველანი ვისხედით ერთ დიდ ოთახში.
მოთხრობის წერა იქვე დავიწყე და თან იმ დღესვე. საკ-
ვირველი არაფერი იყო, რადგან დასაწყისი მოფიქრე-
ბული მქონდა და თქვენ წარმოიდგინეთ დაწერილიც,
ოღონდ სულ სხვა საგაზეთო რომანში, რომელიც არ
დამიმთავრებია და სანახევროდ დაწერილი დამეკარგა
კიდევ. იმ რომანს „ცხინვალა ანუ გიჟები და ვირიშვი-
ლები“ ერქვა. „საქართველოს გაზეთი“ სწორედ მაშინ
დაიხურა, როცა მისი ბეჭდვა დაიწყო. ამ „ცხინვალაში“

იყო ერთი პერსონაჟი, პეტრე (პეტ) ჯაფარიძე, რომელიც ბოლოს ლონდონში უნდა გაფრენილიყო. აქ ჟურნალისტად მსახურობდა და სამოქალაქო ომის შემდეგ სამუდამოდ გარბოდა ინგლისში.

ამიტომ, მისი ამბები სულ იოლად გავიხსენე, რადგან ხეირიანად დავინწყებულის არ მქონდა და დავნერე „თერთმეტი პატარა ამბავი,“ რაც, როგორც დავატყვე, რომანის პირველი თავი უნდა ყოფილიყო და ამ საქმიდან მოთხრობა, თუ „პოვესტი“ აღარაფრით გამოვიდოდა. ეს მეტად მეუხერხულა, რადგან ვიფიქრე „ქომავს“ ეგებ სულაც არ უფიქრია, რომ თავის გვერდებზე კარგა სქელი რომანი დაბეჭდოს-მეთქი, რადგან ნანარმოების სიგრძე ჰონორარის სიგრძესაც გულისხმობს, მაგრამ ზალიკოს ხომ ვერ დააცდენინებდი, რომ გაუთავებელი ამბის ბეჭდვას არ აპირებდნენ. ამ წიგნს მაინც დავნერდი, მაგრამ დაბეჭდვა კი უკვე მერიდებოდა, რადგან სხვანაირი მოცულობისას შევპირდი და სხვანაირისა კი გამოდიოდა.

ასე იყო თუ ისე, განვაგრძე წერა. თანაც, იმგვარი ტემპით, რომ ორ კვირაში ერთხელ გამომავალი „ქომავის“ ყოველი ნომრისთვის ცხრა ხელნაწერი გვერდი დროულად მიმენოდებინა ხოლმე.

მთელი წიგნი უკვე წინდანინვე ვიცოდი ზეპირად. და აი, რატომ:

ამბავი

მოსაფიქრებელი აქ ბევრი არაფერი იყო. მთელი ეს ისტორია ჩემს მეგობარს გადახდა თავს.

ლონდონში ვილაცამ ელესდეს აბი უწყალობა და ამან კიდევ, ყლავ, და გადაუშვა გულ-მუცელში, მერე

კი „ბურგერკინგის“ რესტორანში შევიდა, რათა ესაღი-
ლა. იქ მყოფი ორი ფოსტალიონი საბჭოთა ოფიცრებად
მოეჩვენა და წარმოიდგინა, რომ თბილისშია და არა
ლონდონში და წარმოიდგინა, რომ ცხრა აპრილია და
ახლა ეს რუსი ოფიცრები ხალხის ხოცვას დაიწყებენ.
ის თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა „ბურგერკინგიდან“
და მთელ დღეს უსუსურად ცდილობდა მეგობრების
გაფრთხილებას და რუსთა კლანჭებიდან თბილისის
(ლონდონის) გამოსხნას.

ამ ვითომდა თავშესაქცევმა, ისე კი ჩვენი სამარად-
ჟამოდ გაუბედურებული გონების ამბავმა მეტად დამა-
ფიქრა და სულ თავში მქონდა. დავისვამდი ამ ჩემს მე-
გობარს და ვაყოლებდი და ვაყოლებდი. მოთხრობად
მეტად ჩვეულებრივი რამ გამოდიოდა, ჩაინერე და
მორჩა, ამიტომ, ვიფიქრე, რომ ამ საქმეს ცუდლუტური
რომანის ფორმა უფრო მოუხდებოდა. იქ თავგადასავა-
ლი თავგადასავალს ებმის და სულაც არ არის აუცილე-
ბელი, ეს თავგადასავლები ერთმანეთისგან გამომდი-
ნარეობდეს. იმ ზამთარს „ჟილ ბლასს“ ვკითხულობდი
და ეგებ ამანაც მიბიძგა.

მეგობარს წინდანინვე დავეკითხე, ეს ამბავი რომ
აღვწერო, ხომ არ შენუხდები-მეთქი. არ მახსენო და
თავში ქვაც გიხლიაო. ჰოდა, მეც ასე მოვიფიქრე, რომ
მთავარ გმირად პეტრე ჯაფარიძე ყოფილიყო, რომელ-
საც ინგლისურად პიტერ ჯეფერსი ერქმეოდა, ზედმეტ
სახელად კი ჯორჯია, ან ჯორჯ ჯეფერსი.

ჯორჯიას კომპანიონი სჭირდებოდა და რახან საქ-
მე ნარკოტიკს შეეხებოდა, ერთი კოლორიტული ლონ-
დონელი ზანგიც გამახსენდა, ხნიერი კაცი, რომელიც
სულ რბოლებზე დებდა ფულს და თეთრი შლაპა ეხუ-
რა ხოლმე. ამ კაცს სემი ერქვა და ჩემი მეგობრები
მითვლიან, რომ იმ უბნიდან, სადაც იდგა ხოლმე, გა-

დაკარგულა. დიდი მლოცველი კაცი იყო ეს სემი, კვირაობით ეკლესიაში დაიარებოდა და საერთოდაც, ვიფიქრე, რომ ჯორჯიას კარგ მეგობრობას გაუნეცდა. ცულლუტური რომანი ფათერაკების გრძელ ნყებას ნიშნავს და მე ვიფიქრე, რომ ეს ფათერაკები ნარკოტიკებით გაბანგული კაცის ტვინში უნდა მომხდარიყო და არა ნამდვილ ქვეყანაში. ასე უფრო საინტერესო ჩანდა.

რაც სხვათა გავლენასა და მოხმარებაზე უნდა ითქვას, იმასაც მოგახსენებთ. ნაირგვარი ცულლუტური რომანები ერთი ამბავია, მაგრამ „შენი თავგადასავლის“ ერთ-ერთ წინაპირობად უნდა იყოს ჩესტერტონის „მფრინავი ღუქანი“, უფრო მკრთალად კი ბულგაკოვის „ოსტატის და მარგარიტას“ ერთგვარი ნიავი.

ბოლო

სიმართლე რომ ვთქვა, სულ ერთი იყო, ნაიკითხავდა ვინმე ამ წიგნს თუ არა, იმიტომ რომ, ჩემთვის მის დამთავრებას მოყოლილი მძიმე განცდები ყოველთვის უფრო შთამბეჭდავი იქნება, ვიდრე თავად „შენი თავგადასავალი.“

წიგნის არც ერთი სტრიქონი არ დამინერია შინ, სიჩუმეში და სანერ მაგიდასთან, რომელიც, სხვათა შორის, არცა მაქვს და არც მჭირდება, რადგან თუ ხელით ვწერ, მუხლზე დადებულ დაფაზე წერა მირჩევნია.

მთავარი ადგილი, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, „სარბიელის“ რედაქცია იყო, სადაც მოცლილობის დროს ვაგრძელებდი ამ ამბავს. ერთი თავი, სადაც ჰაიგეტელი აჩრდილი გამოჩნდება, ჩაქვში დავწერე, სადაც კარგი სასტუმროს ნომერი გვერგო მე და რატი ამაღ-

ლობელს და სადაც აივნიდან ბუნდოვნად ჩანდა ოსმა-
ლოს საქართველო.

უკვე ზაფხული იყო და ნიგნის მეორე ნახევარს უფ-
რო ონკოლოგიური საავადმყოფოს პალატაში ვწერდი
ხოლმე, ლისის ტბის ახლოს. იქ მამაჩემი იწვა უკურნე-
ბელი დიაგნოზით და რახან უხერხულობის მიუხედა-
ვად მაინც ვაგრძელებდი „ქომაგისთვის“ ხელნაწერე-
ბის გადაცემას, გაჩერება აღარ შეიძლებოდა, დროის
გამონახვა კი ჭირდა. იმ პალატის ყოველი ნივთი მახ-
სოვს და ისიც ვიცოდი, რომ თუ გავჩერდებოდი, ამ
ნიგნს აღარასდროს გავაგრძელებდი. თანაც, მისი დამ-
თავრება კი არ იყო ჩემთვის ძალის მომცემი, არამედ
ის, რომ ამ ვითარებაში მაინც ვახერხებდი წერას. როცა
ხასიათზე იყო, საბრალო მამაჩემი ხუმრობდა, ვითომ
მე მივლის, ისე კი, კროსვორდებს ავსებსო, ხელნაწერი
რალაც კროსვორდებიან გაზეთში მქონდა გამოხვეული
და ასე დავატარებდი წინ და უკან.

აგვისტოს დასაწყისში მამაჩემი გარდაიცვალა.

მე მახსოვდა, რომ მომავალ კვირაში გაზეთის მორი-
გი ნომერი გამოდიოდა, მაგრამ ამაზე არც კი დაფიქ-
რებულვარ და მგონი, ხელნაწერიც სადღაც მივკარგე
წინა დღეებში. ერთ-ერთი პანაშვიდის შემდეგ დათო
მოვიდა და მითხრა, ეხლა მაგის დრო არ არის და მაგა-
ზეც აღარ იდარდო, ბეჭდვას შევწყვეტთ და რამეს მო-
ვიფიქრებთ, დავანერთ, საგაზეთო ვარიანტი იყოო, ან
რამე ასეთსო. მე სრულიად უაზროდ ვუპასუხე რალაც,
მგონი, ზალიკოს დავურეკავ-მეთქი.

ნიგნის გაგრძელება როდის და რატომ გადავწყვიტე
ზუსტად არ მახსოვს, ეს კი ვიცი, რომ დაკრძალვის მე-
ორე დღეს დილიდან სალამომდე ვწერდი და სალამოს
არ მახსოვდა რაც დავწერე. ეს ის თავი იყო, გადარეუ-
ლი ქალაქის ამბავს და მის დანგრევას რომ აღწერს. ეგ-

რე გულახდილად და გააღმასებით არც არასდროს დამინერია რამე, თუ არ ჩავთვლით ძველ და დღეს დავინყებულ ნიგნს — „მოგზაურობა ყარაბაღში.“

ჰოდა, ისე დამემართა, როგორც მას შემდეგ, რაც „მოგზაურობა ყარაბაღში“ დავამთავრე. საერთოდ არ მაინტერესებს გამოვა თუ არა ეს ნიგნი და ნაიკითხავს თუ არა ვინმე. ეტყობა, ეგრე ხდება ხოლმე, როცა ნიგნის წერისას აღძრულ განცდებს და გამოგონილ ამბებს ცხოვრებაში მომხდარი ამბები დაამარცხებს ხოლმე და შენთვის მთავარი ის კი არ იქნება, რომ ნიგნს წერდი, არამედ ის, როგორ და როდის წერდი.

„შენი თავგადასავლის“ ბეჭდვა „ქომაგში“ სექტემბერში დამთავრდა და მისი ნიგნად შეკვრა არც მიფიქრია. ხელნაწერებიც მეტად ცოტა მქონდა და გაზეთებსაც, სადაც ეს ამბავი იბეჭდებოდა დანყობილად ვერ ვინახავდი. „ქომაგის“ მთელ კომპლექტს რედაქციაშივე მომცემდნენ, მაგრამ მართლა არ მიფიქრია ნიგნად შეკვრა. ეს კი მახსოვდა, რომ გაზეთში უზუსტობა შემემთხვა და ერთი ადგილი გამორჩენილი იყო, თუმცა, ბედად, ხელნაწერის სწორედ ის ნაგლეჯი პალტოების საკიდის თავზე ვიპოვნე. თუმცა, ეს ყველაფერი მომდევნო გაზაფხულზე დავკარგე: ერთ ჩემ მეგობარს მივუტანე თვალის გადასაგლეზად, რადგან თვითონვე მითხრა, მომიტანეო. უცნაურია, მაგრამ ვიცოდი, რომ დავკარგავდი. ერთადერთი ნომერიღა გადამირჩა, რომელიც მასთან ვიპოვე სახლში.

მერე ბაკურ სულაკაურს ვუთხარი, ნიგნი მაქვს-მეთქი და მოიტანეო. ვერ მივიტანდი, იმიტომ, რომ არ მქონდა და ისევ ზალიკოს მივადექი, თუმცა, ამასობაში ინგლისში წავედი და ნიგნი აღარც გამხსენებია. როგორც მოგახსენეთ, მის გამოცემაზე დიდად არ ვზრუნავდი.

პეტრე ჯაფარიძე

პეტრე ჯაფარიძე არ არის თანამედროვე ქართული გვარ-სახელი. აშკარაა, რომ პეტს ბაბუის სახელი ჰქვია, რადგან ასეთი შეთანხმება, „პეტრე ჯაფარიძე“ 30-იანი წლების დასაწყისში დაოჯახებული ეკონომისტის გვარი უნდა იყოს. ეს გვარი და სახელი ერთგვარად გულისხმობს ლიბერალურ საბჭოთა ოჯახში გაზრდილობას, ანუ იქ, სადაც პარტიის ნევრები არ იყვნენ. ანუ, ბაბუა იყო წყნარი ეკონომისტი, რომლის ბავშვობამაც ბოლშევიკურ რევოლუციამდე ჩაიარა, მამა 50-იანი წლების თბილისელი ახალგაზრდა კაცი, არქიტექტორი, თუ რაღაც ამგვარი, შვილი კი პერესტროიკის დროის სტუდენტი, მერე რაღაც გაზეთს მიკედლებული ჟურნალისტად.

როგორც მოგახსენეთ, პეტრე (პეტ) ჯაფარიძე პირველად გამოჩნდა ახლა უკვე დაკარგულ, თავის დროზე კი გაზეთ „საქართველოს გაზეთის“ დახურვის გამო შეწყვეტილ საგაზეთო რომანში „გიყები და ვირიშვილები“.

იქ მოქმედება ვითარდებოდა 1991 წლის სექტემბერში, თბილისში, სამოქალაქო დაპირისპირების დროს, როცა მთავრობასა და ოპოზიციას ქალაქი ორად გაეყოთ და პირველის შტაბი იყო მთავრობის სასახლე, მეორისა კიდეე სახელმწიფო ტელევიზიის შენობა. იმ წიგნში პეტრეს და მის მეგობრებს ერთი ამბავი უნდა გადახდენოდათ თავს, ბოლოში კი გრძელი სია იქნებოდა, თუ ამ წიგნის რომელ გმირს როგორი ცხოვრება აქვს ახლა. ამ წიგნს 1997 წელს ვწერდი და პეტრეზე ასეთი წინადადება უნდა ჩამენერა: „პეტრე ჯაფარიძე – ამჟამად ცხოვრობს ლონდონში.“

ჰოდა, პეტრეც აქედან წამოვიღე. არ ვიცი იმიტომ,

რომ ერთი რვა დღით ლონდონში ვიყავი ჩვენი ნაკრების და ინგლისელების თამაშზე, არ ვიცი რალაც სხვა მიზეზით, ლონდონი ამოვეურჩიე. ლონდონში სულ რვა დღე ვიყავი და ყველაზე კარგად ის უბანი შევისწავლე, სადაც ვცხოვრობდი. ამიტომ, პეტრეც იქ დავასახლე.

მაგრამ „შენი თავგადასავლის“ გამოცემა მაინც დიდად არ მომსურვებია, რომ არა კვლავ ლონდონში მოხვედრა, სადაც 2001 წლის შემოდგომაზე ამოვეყავი თავი. იქ ჩემიანებთან ვცხოვრობდი და აღრიდანვე მოფიქრებულ წიგნს ვწერდი, რომელსაც მერე „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“ დავარქვი. ისე გამოვიდა, რომ ეს წიგნი ხუთი რომანის ნაწყვეტებისგან შედგება, რომლებიც პიტერ ჯეფერსს ინგლისურად დაუნერია. „შენს თავგადასავალში“ პეტრე ჯაფარიძე მოთხრობას წერს ინგლისურად, სამი-ოთხი წლის თავზე კი მთელი რომანები დაუხზავებია. პეტრე „ძირს სიმინდის რესპუბლიკის“ ბოლო გვერდებზე ჩანს და მერე ისევ უჩინარდება. ისევე, როგორც შენს თავგადასავალში, ის აქაც ამბობს, რომ რამდენჯერმე სცადა მწერლად გახდომა და კიდევ ერთხელ დააპირებს.

სად არის ახლა და რას საქმიანობს, ძნელი სათქმელია, მაგრამ კვლავაც ბრიტანეთში რომაა, ნამდვილია.

რახან პეტე ჯაფარიძე ვერ გავიმეტე და მეორე წიგნი მთლად მას დავანერინე, ვიფიქრე, მოდი, რაც იყოს, იყოს, ის გრძელსათაურიანი რომანი გამოვეცეთ, ერთი წლის თავზე კი, ეს მეორე რომანი-მეთქი. ამასობაში კიდევ, მისი კიდევ ერთი ამბავი მოვიფიქრე, რომელსაც ჯერჯერობით „პიტერ ჯეფერსის უკანასკნელი თავგადასავალი“ დავარქვი.

ანუ პეტრე ჯაფარიძის ცხოვრების აღწერილობამ შეადგინა ოთხი წიგნი: პირველი სანახევროდ დაწერილი და დაკარგული, მეორე გაზეთ „ქომაგში“ გამოქვეყ-

ნებული, მესამე თითქოს მის მიერვე დანერილი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“ და მეოთხე, ამ დროისთვის სა-
ნახევროდ დანერილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ პეტრე ჯაფარიძეს პროტო-
ტიპი არ ჰყავს, დიდად ჩამოქნილი ტიპიც არ ბრძანდე-
ბა. მის გონებაში კიდევ საშინელ ნახატებად არის და-
ლექილი განვლილი საბჭოთა ცხოვრება და ჰგონია,
რომ თუ სხვა კაცად არ გადაიქცა, არაფერი ეშველება.

სიზმრის ასახსნელი რვეული

ნიგნის ბოლოში კომენტარების დართვა ძველი და
გამოცდილი ხერხია. კომენტარების ცალკე ნიგნაკად
გამოცემაც ასევეა. ასეთი რამ ერთხელ მეც გამიკეთე-
ბია. „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ რომ დავწერე
დეტექტივის პირველი კონკურსისთვის, რომელიც „დი-
ოგენემ“ მოაწყო, ასონიშანთა ოდენობა დათქმულზე
ნაკლები იყო და ამგვარი კომენტარებით ტექსტი გავ-
ზარდე. როგორც მერე გაირკვა, ეს მეტად ნაადგა ნიგნს.

„შენი თავგადასავლის“ გამოცემის წინ ასეთი რამ
გულშიაც არ გამივლია, მაგრამ თითქმის წელიწადი გა-
ვიდა მისი გამოცემის შემდეგ და ბევრისთვის ეს ნიგნი
მიუღებელი და უვარგისი შეიქნა. მგონია, რომ ამის
ერთ-ერთი მიზეზი მასში ჩახვეული ბუნდოვანი და
ცხრაკლიტული ასოციაციები, გახსენებები და ალუზი-
ებია. ტვინის საჭყლეტიაო, ასეც მითხრეს და საერთო-
დაც სუსტი ნიგნიაო. ეს ადრევე ვიცოდი, ვინაიდან,
„შენი თავგადასავალი“ იმგვარი რამეებითაა გამოვსე-
ბული, რომ ავტორზე ათი წლით უმცროსმა, თუნდაც
მეტად ნასწავლმა კაცმა ისინი აღარ იცის, რადგან საბ-
ჭოთა კავშირში არ გაზრდილა. ათი წლით უფროსმა კი

იმიტომ აღარ იცის, რომ ამ წიგნის ეპიკოპები და გახსენებები მისი თაობისთვის სრულიად უცხოა, უმცროსების ამბავია. აქ თანატოლისთვისაც ამოუცნობი იქნება ბევრი რამე, თუ იმ თანატოლს სულ სხვა ადგილას და სხვანაირ გარემოში უცხოვრია. ამიტომ რაღა გამოვიდა? წიგნი საკითხავად არავისი ყოფილა. თანაც, ისიც უნდა დაემთხვეს, რომ ათასი რამ ისედაც უნდა გახსოვდეს, საბჭოთა დროის მცირეტირაჟიანი წიგნებიდან თუ ფილმებიდან.

ასე რომ, სიზმარს ახსნა დასჭირდა და მომიწია ამ საკმაოდ სახალისო საქმის კეთება.

ახსნა თავების მიხედვით და გვერდების დამონმებით გაჰყვება წიგნს და გვარიანად წვრილიც იქნება, თუმცა, სიზუსტესა და მეცნიერულობაზე თავს ვერ დავდებ.

შენი თავგადასავალი

სიზმრის ახსნა

თერთმეტი პატარა ამბავი

გვ.7. სულელი არ ვიყავი, თბილისში მწერლობა რომ გადავწყვიტე? – მგონი ამ გამონათქვამს ბევრი დაეთანხმება. თუ რა თქმა უნდა, არ ფიქრობს, რომ შედეგებს ქმნის. ჩვენთან მწერლად ყოფნა სულ სხვა რამეა, დანარჩენ მსოფლიოში კი — სულ სხვა. ამიტომ, მე მწერლად თავს ვერ ჩავთვლი. საქმე ისეა, რომ თუ აღიარებ, მწერალი ვარო, ისეთი რალაცეების დაჯერებას დაინწყებ და იმგვარი მიხრა-მოხრით დაეჩვევი სიარულს, მთელი ცხოვრება რომ დასცინოდ. ჩემის მოკლე ჭკუით, ამას ისა სჯობს, რომ აღიარო, წერა მსიამოვნებს და ვწერ, ვინაიდან ამის უფლება ყველას აქვს-თქო. მწერლად ყოფნა კი ნამდვილად არ მინდა, რადგან ეს წერაში შემძლის ხელს.

გვ.7. პირველად ოცდაერთი წლის ვიყავი და გადავწყვიტე, ოთხი მცირე მოთხრობა გამომემზეურებინა. – პეტრე ჯაფარიძეს დათვლილი აქვს, რამდენჯერ დააპირა მწერლად გახდომა. „შენი თავგადასავლის“ ამ პირველ თავში ის ამბობს, რომ სამჯერ უცდია მწერლობა. აქედან უკანასკნელად ინგლისურად დაუპირებია მოთ-

ხრობის დანერა და ამაში ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონს იხმარდა. „ძირს სიმინდის რესპუბლიკაში“ ის ერთ ლიტერატორს ეუბნება, ოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ და უკვე მეოთხედ დავაპირე მწერლად გახდომაო.

გვ.8. ძველმოდური ფსევდონიმი მოვიგონე – ეს ფსევდონიმი იყო ნ.ტ. მარველი, თუმცა, მისი ავტორობით ვერაფერი დამიბეჭდავს. ეს „ნ“ მგონი ნიკოლოზს ნიშნავდა. ტ. მარველი კი ნიშნავს ტომას მარველს. ტომას მარველი არის ერთი უბირი და ლატაკი ვინმე, ჰერბერტ უელსის „უჩინარი კაციდან,“ რომელსაც უჩინარივე კაცი, გრიფინი დაიმონებს. გრიფინის სიკვდილის შემდეგ მარველს რჩება მთელი მისი ხელნაწერები და გამოკვლევები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუჩინარდეს კაცი, ოღონდ მათი ნაკითხვა და ამოცნობა გაუნათლებლობის გამო არ ძალუძს. ამ ფსევდონიმით მიხდოდა მეთქვა, რომ ბევრი არაფერი გამეგება. ანუ რაც გამეგება, მხოლოდ ის გამეგება. გვარი „მარველი“ ეგრეც ვერ დავივიწყე და ათი წლის წინათ რომ ერთსვეტიან მოთხრობებს ვწერდი გაზეთ „რეზონანსში,“ იქ გამოვიყვანე მთავარ გმირად. ოღონდ ის ქართველი თავადი იყო, ტანმოკლე და წერვიული.

გვ.9. ნამდვილი რეგი გოგოა – ინგლისში ბევრი ვესტ ინდოელი ცხოვრობს. რეგის ამბავს კი ბობ მარლიმდე მივყავართ. რაც ახლა ძალიან გრძელი სალაპარაკო იქნება.

გვ.9. ჰამერსმიტის გადასაჯდომ სადგურზე – ცხოვრებაში პირველად რომ ვიყავი ლონდონში და ჰითროუს აეროპორტიდან ცენტრალური ხაზის მეტროს გამოვიყევი, სწორედ ჰამერსმიტის სადგურზე უნ-

და გადავმჯდარიყავი სხვა ხაზზე, იქ კი მიწისქვეშეთი-დან უნდა ამოხვიდე, ქუჩა გადაიარო და ისე ჩახვიდე მეორე მატარებელში. ეს უეცარი ამოსვლა მეტად ეფექტურია იმიტომ, რომ გადასასვლელზე ათასობით კაცი დგას ორივე მხრიდან და მწვანე შუქის ანთებას ელოდება, რის შემდეგაც ერთდროულად დაიძრებიან და მორევში ხვდები, განსაკუთრებით, თბილისურ ტემპს და გადასასვლელებს გაჩვეული კაცი.

გვ10. „ღვაცატი ვეკ“ არ გიმზერიათ? – აქ ლაპარაკია ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმზე, სადაც რობერტ დე ნიროსა და ჟერარ დეპარდიეს გმირები ერთ ქალთან ერთობლივ სექსს წამოიწყებენ, ოღონდ ქალს ეპილეპსიური გულყრა მოუვა.

გვ11. სხვა საქმეა, რომ პუსნ პადრუგუ... – „პუსნ პადრუგუ ვაზმიოტ“ არის ფრაზა ფილმიდან „მიმინო“, სადაც პერსონაჟი ხაჩიკიანი შესთხოვს პერსონაჟ მიზანდარს, შენმა ნაშამ თან მეგობარი წამოიყვანოს, რათა მე არ მოვიწყინო.

გვ11. ტომას კარლაილის „საფრანგეთის რევოლუცია“ – დიდებული წიგნი გახლავთ, მგონი საუკეთესოც ხსენებულ დროებაზე. თავად კარლაილი, დიადი მოღვაწე და უჭკვიანესი კაცი, ლონდონში ცხოვრობდა და ძეგლიც უდგას იქ.

გვ12. „გედაგო ტოტალიზატორი“ – თბილისის ერთ-ერთი პირველი ტოტალიზატორი, ფეხბურთზე რომ იღებდა ფსონებს. დღეს აღარ არსებობს.

გვ.12. ძია ოთარჩიკა პურის რიგში დაპორტყენეს

ქალებმა – თუ არა ვცდები, მოთხრობა იმის თაობაზე, თუ როგორ დაპორტყენეს ძია ოთარჩიკა ქალებმა, უფრო სწორად კი როგორ მოუვიდა ჩხუბი პურის რიგში მგონი კაცებთან, დანერილიც მაქვს და გამოქვეყნებულ იცა ერთ-ერთ გაზეთში, მგონი 1998 წელს. მგონი უფრო ფელეტონით იყო.

გვ.13. ახლოს გიყები და კიდევ უფრო ახლოს — ვირიშვილები. სულ მთვარის ფავორიტები. – ზემოთ ნახსენები დაკარგულ-დაუმთავრებელი რომანი „გიყები და ვირიშვილები“ ეგრეც ვერ დავივიწყე და აქ ვახსენე. „მთვარის ფავორიტები“ ყაჩაღებსა ნიშნავს და თან ოთარ იოსელიანის ფილმის სათაურია, შექსპირის ისტორიულ დრამიდან ამოღებული.

გვ.13. პეპინგი – ჩემის მეხსიერებით, შეუხებელი სექსის ნაირსახეობა უნდა იყოს.

გვ.13. რეფიუჯი – ლტოლვილსა ნიშნავს. იმ კაცის სტატუსს, ვისაც თავის ქვეყანაში არ ედგომება და ბრიტანეთში ეს დაადასტურეს, რითაც თავის ქვეყანაში წასვლა აეკრძალა.

გვ.14. ნიუპორტი იყო. – ნიუპორტი ქალაქია უელსში.

გვ.14. ბეისვოტერის არაბობა – ბეისვოტერი ქუჩა გახლავთ ლონდონში, არაბი მრავალი ცხოვრობს იქა.

გვ.15. ორ-ორი ფაინთი შეგვხვდება. – ორ-ორ კათხა ლუდზეა ლაპარაკი.

გვ.15. განერზ ვერსუს ჰემერზ. ნობის ლანდან

დეარბი. – ეს ნიშნავს, რომ „არსენალი“ ხვდება „ექსტ ჰემს“ ჩრდილოლონდონურ დერბიში. „ნობის“ კორექტურაა, უნდა იყოს „ნორს“, თუმცა ამ ორი გუნდის თამაშს მაინც არ ჰქვია ჩრდილოლონდონური დერბი და ზურა ჰაიჰარად აცხადებს, რომ დერბია, თითქოს უნდა, პეტრე უფრო მოიყვანოს თამაშის მულამში. დერბი კი ერთი არეალის გუნდების თამაშს ნიშნავს, რაც მეტ დაძაბულობასა და საბრძოლო განწყობას სძენს სპორტულ შეხვედრას.

გვ.15. **хорошо сейчас наверху в горах...** – ესეც ფილმ „მიმინოდანაა“ და სამშობლოს თემას ეხება, რადგან რუსი ქართველს ეკითხება, მთები ხომ ლამაზიაო და ქართველი კი პასუხობს, ისეთიც არაფერიო.

გვ.15. **პორტობელო როუდ** – კაი ტკბილი ქუჩაა ლონდონში. „შენი თავგადასავლის“ მე-18 გვერდზე მის შესახებ უფრო დანვრილებით წერია.

გვ.18. **ინგლისური სიგარეტები** – როცა წიგნი გაზეთში იბეჭდებოდა, იქ ეწერა „იაფი ინგლისური სიგარეტები.“ გვიანლა დაფიქრიდი, რომ წესიერი ქართველისთვის იაფი ინგლისური სიგარეტები არ არსებობს.

გვ.19. **მე მაქვს ერთი ასეთი წერილი** – „ჯონ მელმოტი, მერი რობერტსს... დუბლინი, ტრინიტი კოლეჯი.“ – ეს თავიდან ბოლომდე შეთხზული ამბავია.

ჯონ მელმოტი, დუბლინის სამების კოლეჯის სტუდენტი არის გმირი ჩარლზ ენდრიუ მეტიურიანის რომანისა „მელმოტ ხეტიალა.“ მისი აქ ხსენებით, ჯორჯია თითქოს მიგვანიშნებს, რომ უნდა გაეხას გოთურ რომანებს მიმსგავსებულ თავგადასავალში. მელმოტის მთა-

ვარი ამბავი კი წინა გვაქვს ამავე სიზმრის ახსნებში.

გვ.19. „ოპიუმის მჭამელის აღსარებანი“ – ტომას დე კუინსის საოცარი წიგნია, დღემდე ცოცხალი და მრავალი დიდი მწერლისა თუ შემოქმედის ჩამაფიქრებელი. ქართულ ენაზე არ არსებობს, რუსულად შეგიძლიათ მოძებნოთ მაშკოვას ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, ან „აზბუკა კლასიკას“ სერიაში. ინგლისურად თბილისშიაც იყიდება ხოლმე. ფასი თბილისში 5 ლარის ფარგლებშია.

გვ.25. იაზონას მოძღვნილი ექსტაზი ჯიბეში მიგდია — სინამდვილეში ეს ექსტაზი არ არის, ელესდეს აბია. ამას შეიძლება დაერქვას ავტორის მექანიკური შეცდომა, ან სულაც უყურადღებობა, ანდა უცოდინარობა. თუმცა პრინციპულად სწორი ის არის, რომ ასეთ რამეში უფრო გამობრძმედილი ელესდეს აბია, რომელსაც ჰალუცინაციების გამოწვევა შეუძლია და მისგან სიამოვნება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ მყლაპველი სად და როგორ არის. გამოცდილი ხალხი ამბობს, რომ ელესდე ბევრ ხალხში საყლაპავი რამ არ გახლავთ. მე კი ერთი ასევე გადახვენილი ქართველი მიამბობდა, როგორ მიიღო ეს აბი ღამით, ტყეში, კოცონთან და როგორ გადაიქცა ვაჟა-ფშაველად, სხვანაირად კი მინდიად. თუმცა, კოცონი სამხრეთ გერმანიის ერთ-ერთ ტყეში ენთო. სხვას კი ისიც შემთხვევია, რომ ეს ეშმაკობა ჩაუყლაპავს და სტადიონზე წასულა, სადაც თავი ბურთად წარმოუდგენია და იმდენ ხალხში ყვიროდა, ნუ მირტყამთო. მოკლედ, რთულია.

გვ.25. პოლიციელებად წარმოვიდგინე – პეტრე ჯაფარიძეს ჰალუცინაცია დაენყო და თავში ამოუტივტივ-

და ქართველისთვის ყველაზე საშინელი, ტკივილიანი და მძიმე სურათი: რუსის ჯარის ტრიალი თბილისში ტანკებით და მშვიდობიან მომიტინგეთა ულეტა რუსი ჯარისკაცებისგან 1989 წლის 9 აპრილს. მას უკვირს, რომ პოლიციელები მისდევენ, იმიტომ რომ ახსოვს, ქართულმა პოლიციამ მაშინ მომიტინგეთა გადარჩენა სცადა.

გვ.27. – კომენდანტის საათი, – გაეცინა ტიმოთის. – ინგლისელმა ბარმენმა არ იცის, რას ნიშნავს კომენდანტის საათი. საინტერესოა, როგორ ამბობს ამ სიტყვათშეთანხმებას ჯაფარიძე ინგლისურად.

გვ.27. სიგუტკინია ყველაფერი. როდიონოვი ისე მეთაურობს. – რუსის გენერალი როდიონოვი იყო კავკასიაში რუსის ჯარის სარდალი და 9 აპრილის ღამიდან თბილისის სამხედრო კომენდანტი. წარამარა ისმოდა ვილაც სიგუტკინის, გენერლის გვარიც, თუმცა ის რას საქმიანობდა, ბევრმა ვერავინ გაიგო.

გვ.28. „ვეფის“ მსუქან რადიომიმღებამდე ავმაღლდი, რადიო „სვაბოდამდე“ მივალწიე. – „ვეფის“ რადიომიმღებები ყველაზე ძვირი და საუკეთესო საბჭოთა რადიოები იყო, 98 მანეთი ღირდა და რიგის ქარხანა უშვებდა. ამ რადიოებით ყველაზე უკეთ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირში დახშობილი დასავლური რადიოსადგურების, მათ შორის ყველაზე პოპულარულის, „რადიო სვაბოდას“ მოსმენა. ასე იწყებოდა: „გავარიტ რადიო სვაბოდა იზ კიოლნა. მი ვიძიომ ნაში პირიდაჩი ნა რუსკამ ი ნა იაზიკახ ნაროდოვ ესესესიერ რუკავოდსტვუიას პრინციპომ სვობოდნავა აბმენა ინფორმაციეი, ჩიტო ზარეგისტრიროვანო ვჟენევე ვ ტისიაჩა ძევიტსოტ...“ და ა.შ.

გვ.29. ტაიმსი... პარასკევისა იყო, ჩვიდმეტი აპრილისა. – მოცლილს შეუძლია გადაამონმოს, მგონი მართლა ასე იყო.

გვ.29. ჯიმ ფილანი ძველი ყაიდის გამომძიებელ-ჟურნალისტი იყო. – ჯიმ ფილანის ისტორია, რომელსაც მერე გაშტერებული ჯორჯია ჯონს უწოდებს, ნამდვილია და მართლა „ტაიმსის“ ნეკროლოგიდანაა ამოღებული. ჯაფარიძე იმიტომ თუ კითხულობს მის ნეკროლოგს ასე ხარბად, რომ ამ ამბავსაც 9 აპრილის შემდგომ მოვლენებს უკავშირებს, როცა რუსმა ჟურნალისტმა იური როსტმა ამ ამბის აღმწერი თავისი ფოტოებისა და ნანახის ოხერ მოსკოვურ პრესაში გამომზეურება მოახერხა.

გვ.30. შონ კონერი სად ცხოვრობს?.. ჰაი, ეგ სქოთთა განმათავისუფლებელი, ეგა. „ბრეივჰართის“ მოყვარული. – შონ კონერი კინოვარსკვლავია და პეტრე ძველი ჩვეულებისამებრ, ქვეყნისათვის მძიმე ვითარებაში ინტელიგენციის წარმომადგენლების მოძებნას ცდილობს. „ბრეივჰართი“ მელ გიბსონის განთქმული ფილმია, რომელშიაც მათი გმირების, ბრუსისა და უოლესის ამბავია მოთხრობილი. ამ ფილმში შოტლანდიელები გმირები არიან, ინგლისელები კი სისხლის სმის მეტს არაფერს აკეთებენ. შონ კონერი „ბრეივჰართში“ არ თამაშობს, მაგრამ ცნობილია მისი სიმპატიები შოტლანდიის ეროვნული პარტიის მიმართ, რომელიც სქოთთა ქვეყნის ბრიტანეთიდან გამოყოფის მოსურნეა.

გვ.30. ნასიმ ჰამედთან, ნასიმს ვერ გაუბედავენ... – ნასიმ ჰამედი, პრინცად წოდებული, განთქმული მსუბუქი წონის ბრიტანელი მოკრივეა, შეფილდში დაბადე-

ბული იემენელ არაბთა შთამომავალი. საუცხოო მოკ-
რივეა, მაგრამ ძალიან ტრაბახა, შოუების მოყვარული
და ლეოპარდის ტყავით შემოსილი.

გვ.31. კლოსი ხომ არა ვარ – საბჭოთა დროს ყვე-
ლაზე პოპულარული სერიალი თბილისის ტელეარხზე
იყო პოლონური „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მე-
ტია.“ იქ პოლონელი მზვერავი ია23 გერმანელ ობერ-
ლეიტენანტ ჰანს კლოსად იყო გადაცემული და მთელს
აბვერსა და ეს-ესს აცუცურაკებდა. კლოსს თამაშობდა
სტანისლავ მიკულსკი.

გვ.31. ვინა ხარ შენ, დოქტორო ზორგე? – რიჰარდ
ზორგე ფესვით ბაქოელ გერმანელთაგანი იყო. იდეით
კომუნისტი საბჭოთა კავშირის ჯაშუში გახლდათ და
როგორც ამბობდნენ, ამხ. სტალინს ზუსტად შეატყო-
ბინა გერმანიის გეგმები და ჰიტლერის მიერ საბჭოთა
კავშირისთვის ომის დაწყების თარიღი. მეორე მსოფ-
ლიო ომის მინურულს დახვრიტეს იაპონიაში, ვითარცა
ჯაშუში. მისი სახელი კი გახშირდა ხრუშჩოვის ეპოქა-
ში, როცა ამ უკანასკნელს ზორგეს შესახებ გადაღებუ-
ლი მხატვრული ფილმი აჩვენეს და მოიწონა, რა კარ-
გად მოგიგონიათო. ძლივს დააჯერეს, რომ ყველაფერი
მართალი იყო და ასეთი კაცი არსებობდა. ამის შემდეგ
ხრუშჩოვმა გმირის ორდენი მიანიჭა ზორგეს და ეს
უკანასკნელიც იდეოლოგიური გმირი შეიქნა საბჭოთა
კავშირში. „ვინა ხარ შენ, დოქტორო ზორგე?“ ამ მზვე-
რავის შესახებ დაწერილი წიგნის, თუ გადაღებული
ფილმის სათაურია. რომლისა, არ მახსოვს. მეტად სასა-
ცილოდ კი ჟღერდა თავის დროზე.

გვ.31. ტულის, ტამანის და კანტემირის... ლებე-

დიც აქ იქნება. – შიშისმომგვრელად განთქმული რუსული დივიზიებია. 9 აპრილისთვის თბილისში მგონი სწორედ ტულისა გადმოჟდა. გენერალი ლებედი კი მგონია სწორედ ტულის დივიზიის მეთაური იყო და თავის მემუარებშიაც აღწერა თავისი თბილისური გმირობები. მერე ლებედი პოლიტიკოსი გახდა და ალენ დელონს პატიუებდა თავის გუბერნიაში. საჭაერო კატასტროფისას დაილუპა და უცნაურია, მაგრამ სწორედ გუშინ ვუყურე გადაცემას მის შესახებ, სადაც ამბობდნენ, სრული შეგრძნება ჰქონდა, რომ შარლ დე გოლი იყო. ხმა კი ჰქონდა ძლიერი და მალალი, იერი კი დაუნდობელი კაცისა.

გვ.32. პარტკომი – კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი საბჭოთა დანესებულებებში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მეთაური.

გვ.32. მე მიყვარს ახალგაზრდობა... ეკონომიკური დამოუკიდებლობა... – „პერესტროიკა“ რომ დაიწყო და საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პარტიები და საზოგადოებები ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, ზომიერები აცხადებდნენ, ჯერ ეკონომიკური დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთო. ეს გამოთქმა მალე კომუნისტურმა პარტიამაც დიდად მოირგო. საერთოდ, არ იყო პოპულარული ლოზუნგი.

გვ.32. „FIESTA“-ში როგორცაა, – „ფიესტა“ ერნესტ ჰემინგუეის რომანია. იქ მართლაც რომ მშვენიერი წყვილი თავიდანვეა განწირული იმისთვის, რომ ვერ შეერთდნენ. უფრო დანვრილებით, რომანის შინაარსის მოყოლა მომიწევს, რასაც ნაკითხვა სჯობს.

გვ.33. ლუბიანკა-ეკიბასტუზ. ააშენებს ვოლგადონებს.. ბრისტოლში. – ლუბიანკა მოედანია მოსკოვში, სადაც შინსახკომის შენობა დგას და სადაც მიჰყავდათ დაჭერილები სტალინის დროს. ეკიბასტუზი შორსაა, ციმბირისკენ, იქ საბჭოთა ლაგერები იყო. „ლუბიანკა-ეკიბასტუზ“ არის რუსი პოლიტპატიმრის, მეცნიერის და თეოლოგის დიმიტრი პანინის წიგნი, რომელიც კომუნისტების დროს დასავლეთში გამოვიდა. ვოლგადონის არხი, ისე, როგორც ლამის ყველაფერი საბჭოთა კავშირში ლაგერების ტყვეების აშენებულია. ბრისტოლი ზღვისპირა ქალაქია ინგლისში.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, – თქვა სემმა

გვ.34. ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, – თქვა სემმა – ერთი ასოს გამოკლებით, თავის სათაური მოხმობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“: „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის, ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“ ჩემი ვინრო გაგებით, ეს არის საუკეთესო ქართული ლექსი, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი იმ დროს ცხოვრობდა, როცა „მელმოტ ხეტიალას“ ავტორი — მეტიურინი.

გვ.35. ჩანს, ჩვენი პროპაგანდა სცოდავდა, როცა ზანგებს აგრე ნესიერ და ჩაგრულ ხალხად წარმოსახავდა... ეს არის ჩაგრული ზანგი? ვილაც ლუმპენ-პროლეტარი... მე ყულარის კვიცების სიყვარულით დავმთვრალვარ... ნაღდი ზანგი, ალბათ, პოლ რობსონი იყო – საბჭოთა პროპაგანდა 80-იანი წლების მი-

წურულამდე ჯიუტად აცხადებდა, რომ ამერიკაში შავ-კანიანები უუფლებონი არიან. 50-იანი წლების სატი-რული ლექსი კი ასეთია: „ოკეანის გაღმელო, საზიზღა-რო სემ, ბავშვებს რატომ აწვალე და ზანგებს რატომ სცემ.“ „ლუმპენპროლეტარი“(იხ. უცხო სიტყვათა ნე-ბისმიერი ლექსიკონი) კი საბჭოურად არის კაცი, რომელსაც არ ესმის რევოლუციის აუცილებლობა. რაც შე-ეხება ყულარს, ცნობილი ცხენტსაშენი იყო საბჭოთა დროში, პოლ რობსონი კი შავკანიანი მომღერალი გახ-ლდათ, რომელსაც სტალინის დროს საუკეთესო ამერი-კელ მომღერლად აცხადებდნენ საბჭოთა კავშირში, სა-დაც ის ხშირად ჩამოდიოდა.

გვ.35. ანჯელა დევისი და ამხანაგი ალიენდე ზან-გთა უფლებებისთვის იბრძოდნენ, – ანჯელა დევისი, ამერიკელი შავკანიანი ქალი, ან პროფესორი გახლავთ. საბჭოთა პროპაგანდამ მისი ამერიკაში დატუსალების გამო დიდი ამბები გასწია თავის ქვეყანაში, სადაც ბავ-შვმაც კი იცოდა, რომ ამერიკის მთავრობა იმიტომაცაა საზიზღარი, რომ ეს ახალგაზრდა ქალი დაატუსალა. სალვადორ ალიენდე ჩილის პრეზიდენტი იყო და პუტ-ჩის შედეგად დაამხო გენერალმა ავგუსტო პინოჩეტმა. ალიენდე არ იცავდა ზანგების უფლებებს, უბრალოდ, საბჭოთა კავშირში მისგან კიდევ ერთი პროპაგანდის-ტული გმირი შექმნეს. ალიენდემ თავი მოიკლა საპრე-ზიდენტო სასახლის, ლა მონედას შტურმის დროს, თუმცა საბჭოთა კავშირში ამბობდნენ, რომ ის მოკლეს.

გვ.36. მარშალი ჟუკოვი – განთქმული საბჭოთა მხედართმთავარი.

გვ.36. ქრიან ლურჯა ცხენები... – ზანგი წარმოთ-

ქვამს ნაწყვეტს გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „ლურჯა ცხენები.“

გვ.36. გახსოვს გომელთან, დანგრეულ ბლინდაჟში – საბჭოთა სერიალში „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ ორი ფრონტელი მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთი პოლიციელი გამხდარა, მეორე კი ქურდია. საქმე ისეა, რომ ქურდს შეუძლია ეს პოლიციელი დააბეზლოს თავის ამხანაგებთან და ამით თავი და მთელი ბანდა გადაარჩინოს, მაგრამ ამას არ გააკეთებს. პოლიციელი კი ამბობს, „გახსოვს, ლევჩენკო, გომელთან, დანგრეულ ბლინდაჟში?“ ანუ ეს ტკივილებისა და განცდების საკითხია და „შენს თავგადასავალშიც“ მალე ტკივილი უნდა მოგვეძალოს.

გვ.36. ნურც გაპრინდები, ნურც მოპრინდები – ერთ დროს პოპულარულ ქართულ სიმღერას პეპელას შესახებ გენერალი რუსისთვის დამახასიათებელი შეძლებით მღერის. რუსები, სხვათა შორის, „ფ“-ს ვერ გამოსთქვამენ.

გვ.37. в белом плаще, с кроваым... – ასე გამოჩნდება პირველად ბულგაკოვის რომანში „ოსტატი და მარგარიტა“ იუდეის პროკურატორი პილატე პონტოელი. ჩვენ მისი ადგილი დავაჭერინეთ გენერალ იგორ როდიონოვს, ვინაიდან ჯორჯიამ ისე წარმოიდგინა, რომ პროკურატორის წინაშე წარსდგა. დანარჩენის ახსნას წამკითხველის დაფიქრება უნდა სჯობდეს.

გვ.37. დამიჭირეს, – ახლა ჩამაყუდებენ და საბოდიშო წერილების დაწერას მომთხოვენ. შემიშხუპუნებენ წამლებს... – საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია

სხვაგვარად მოაზროვნეებს რომ დაიჭერდა, მათ გატეხვას ნაირგვარი წამლებითაც ცდილობდა და ხშირად მიზნად ისა ჰქონდა, რომ ტუსალს სახალხოდ გამოეცხადებინა, ვცდებოდი, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე კარგი ქვეყანააო.

გვ.37. – Так это ты подговаривал народ разрушить завод имени Димитрова? – ეს შეკითხვაც არის გათამაშება ბულგაკოვის ნახსენები რომანის ერთი ადგილისა, სადაც პილატე ეკითხება გა ნოცრის, შენ მოუწოდებდი ტაძრის დანგრევისკენო? ტაძარი შეცვლილია დიმიტროვის სახელობის ქარხნით. გიორგი დიმიტროვი ბულგარელი კომუნისტი იყო, რომელიც სტალინის დროს მიასაღეს. ამბობენ მონამლესო. მისი სახელობის საავიაციო ქარხანა კი თბილისში დღესაც არსებობს. ძველ დროში თითქმის საიდუმლო ადგილი იყო.

გვ.38. ბიჭებს დამიძახეთ! ბიჭებს დამიძახეთ! – ასე მოუხმობს შეშინებული ქართველი თავადი თავის მცველებს ქართულ მხატვრულ და ანიმაციურ ფილმებში.

გვ.38. ტომას მორიც დაჭერილია – დიდი ინგლისელი მოაზროვნე, ლონდონის ლორდ მერი-ტომას მორი ტაუერშიც იჯდა და სიკვდილითაც დასაჯეს. მისი თხზულება კუნძულ უტოპიის შესახებ უკვდავი გახლავთ.

გვ.38. ჰო, ჰო მორგთან, მორგი რომ გაქვთ იქ, სამუზეუმო მორგი... – პეტრე ჯაფარიძე მორგში მოსკოვში, წითელ მოედანზე დღესაც მოქმედ ლენინის მავზოლეუმს გულისხმობს. მას ერთ-ერთი მიტინგიდან ახსოვს, რომ მერაბ კოსტავამ ლენინის მავზოლეუმს მორგი უწოდა.

გვ.38. პეტას გაუმარჯოს! – ეს წერილი თითქმის იმეორებს სტალინის მიერ თავისი სემინარიელი ამხანაგის, პეტა (პეტრე) კაპანაძისადმი გამოგზავნილ, ქართულად შედგენილ წერილს. ამ შემთხვევაში, გმირისა და სტალინის მეგობრის სახელების დამთხვევა შემთხვევითი, მაგრამ სასარგებლო გამოდგა. ვითომც, ჩვენს ჯორჯიას თვით ბელადი სთხოვს თანამშრომლობას და ფულსაც უგზავნის.

გვ.39. მოხიბლული ვარ თქვენი ძველი ისტორიით, ჩინებული თეატრით. – რაღაც ამგვარი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ქართველ ხალხს საბჭოთა ლიდერმა მიხაილ გარბაჩოვმა 9 აპრილის შემდგომ დღეებში.

გვ.39. „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ვიცი. Божит Гарун быстрее лани... – გენერალი ცრუობს დიდი ქართული პოემის თაობაზე, რადგან სტრიქონი, რომელსაც ის წარმოთქვამს ლერმონტოვის პოემიდანაა და არა ვეფხისტყაოსნიდან.

გვ.40. ვულვიჩის არსენალი – ოდესღაც იყო მგონი ჩრდილო ლონდონში.

გვ.40. შუხმანი, ზარგილავა და კარაპეტოვი. – მოგონილი გვარებია. ასე ჩამოთვლა შინსახკომის გამომძიებელთა მრავალეროვნულობაზე მიანიშნებს. პირველი ებრაელია, მეორე ქართველი, მესამე კი სომეხი.

გვ.40. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ – კარლ მარქსის შთამბეჭდავი ნაწერი, მთავარი მანიფესტი საბჭოთა კომუნისტებისათვის, რომელიც იწყება სიტყვებით: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კო-

მუნიზმისა." არ შემიდარებია, სწავლულ კაცთაგან გამიგონია, კონსიდერანის მანიფესტის გადამღერებააო.

გვ.40. ელჩი გრიბოედოვი და მშვენიერი ნინო. – რუსის მწერალ და დიპლომატ გრიბოედოვისა და ქართველი გენერლისა და პოეტის, იმპერატორის ნათლულის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილ ნინოს ქორწინება 19-ე საუკუნის მესამე ათწლეულში იყო პირველი ყველაზე დიდი რუსულ-ქართული ქორწინება. მერე გრიბოედოვი ირანში მოჰკლეს, ნინო დაქვრივდა და სიტყვებიც, რატომ გადაუსწრო ჩემმა შენდამი სიყვარულმა შენს სიცოცხლესო, თითქოსდა მას ეკუთვნის. ამბობენ, ეს სიტყვები მთანმინდაზე, გრიბოედოვის საფლავს აწერია, რომელსაც ქანდაკად ჯვართან დამხობილი ნინო ადგასო. ვერ დავადასტურებ, რადგან ეს საფლავი არასოდეს დამითვალიერებია ყურადღებით.

გვ.40. აღსდგება კრულვითა დალდასმული (ეჟენ პოტიე) ვინაიდან დამარხულ არს საიდუმლო (იოანე ზოსიმე). – ჯორჯია თითქოსდა აერთიანებს ორი ერთმანეთისგან მოშორებული ჰიმნის ნაწყვეტს. პირველი ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალია“, რომელსაც გამუდმებით მღეროდნენ საბჭოთა კავშირში, პარტიულ შეკრებებზე, მეორე კი მეათე საუკუნის ქართული ჰიმნი იოანე ზოსიმესი, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი,“ ყველაზე იდუმალი ქართული ტექსტი, რომლის თაობაზეც არა ერთი მონოგრაფია დაუწერიათ მეცნიერებს.

გვ.41. როგორც იტყოდა ლერმონტოვი, რასაცა გასცემ შენია... – გენერალი კვლავ ურევს ერთმანეთში რუს პოეტ ლერმონტოვს, რომლის შემოქმედებაშიაც კავკასია დიდი თემაა და „ვეფხისტყაოსნის“ ავ-

ტორს, შოთა რუსთაველს. ხსენებული აფორიზმი სწორედ „ვეფხისტყაოსნიდანაა.“

გვ.41. სეიფში ინახება ლორდ ბრუს-პარტინგტონის ნახაზები... გაგიგონია კარალიოვი? ლორდი ბრუს-პარტინგტონი ამათი კარალიოვია. – „ბრუს-პარტინგტონის ნახაზები“ არტურ კონან დოილის მოთხრობაა, რომელშიაც ჰოლმსი საერთაშორისო ჯაშუშებს დასდევს. კარალიოვი კი საბჭოთა კოსმოსური პროგრამის ხელმძღვანელი იყო.

გვ.41. ჩვენი მზვერავი კადოგენ უესტი. უესტი, იგივე უსტინოვი. – კადოგენ უესტი კონან დოილის ნახსენები მოთხრობის პერსონაჟია, დიმიტრი ფიოდორიჩ უსტინოვი კი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი იყო ბრეჟნევის ხანაში და ეგებ უფრო ადრეც.

გვ.41. ჰო, ლეიტენანტო. გახსოვს ახალციხის ბანაკი? – საბჭოთა უნივერსიტეტებში სამხედრო სწავლება გვარიანი იყო და მამაკაც სტუდენტებს თადარიგის ლეიტენანტის წოდებას ანიჭებდნენ საბოლოო სამხედრო შეკრების შემდეგ. ბოლო შეკრება თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-ოფიცრებს ახალციხის სამხედრო ნაწილში ჰქონდათ ხოლმე.

გვ.41. საპირველმაისოდ ცისფერი პერანგები... – მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, პირველ მაისს საბჭოთა სტუდენტები წინასწარ დადგმულ დემონსტრაციაზე უნდა გასულიყვნენ საგანგებო ფორმებში ჩაცმულნი. დასწრება სავალდებულო იყო, თუმცა თავის დაძვრენა შეიძლებოდა. საგანგებო სამოსის ფული სტუდენტს თავად უნდა გადაეხადა.

გვ.41. გაბრწყინდება ივერია. – განთქმული ქართული ფრაზაა, რაიც სამშობლოს აღდგომას გულისხმობს. ნაციონალისტები რიხით წარმოთქვამენ, ოხუნჯები ხითხითით. წყარო ამ ფრაზისა, სამწუხაროდ არ ვიცი.

გვ.42. – სამშობლო განა ხაჭაპურია, მხოლოდ ყველი გიყვარდეს...

– ეგ ვინ თქვა?

– კონსტანტინე სიმონოვმა... – კონსტანტინე სიმონოვი სახელგანთქმული საბჭოთა მწერალი იყო, კომუნისტური პარტიის მეტად ახლო კაცი და ერთ დროს ნიჭიერი პოეტიც. ხაჭაპური ქართული რამეა ცომში გამომცხვარი ყველი. სიმონოვი რახან ქართველი არ იყო, ჰგონებია, რომ ხაჭაპურში მხოლოდ ყველია გემრიელი, რაც შეცდომაა, იქ ყველაფერი ერთადაა გემრიელი. საკუთრივ რომელ ნაწარმოებში დანერა ეს ამბავი სიმონოვმა, ვერ მოგახსენებთ. ჩვენ ამ სიტყვებს ვიცნობთ ნოდარ დუმბაძის რომანიდან „ნუ გეშინია, დედა,“ სადაც ჯარში მყოფი ბიჭი მეგობრებს შეახსენებს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს წესიერი კაცი.

გვ.42. მხოლოდ ტყვიები ზუზუნებენ სტეპში. ბნელი ღამეა, მაგრამ ვიცი რომ მელი, ძვირფასო – უპოპულარულესი საბჭოთა სიმღერა, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ფილმში შეასრულა პირველად ოდესელმა მომღერალმა მარკ ბერნესმა.

გვ.42. დაგელოდები სიმონ ჩაჩავა... – მრეცხავ ქალ ვაჩნაძის სიტყვები ბრეხტის პიესიდან „კავკასიური ცარცის წრე“. სიმონ ჩაჩავა ამ მრეცხავის მიჯნური ჯარისკაცია, რომელიც ომში მიდის. ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი იყო თბილისის რუსთაველის

თეატრის ყველაზე პოპულარული წარმოდგენა თითქმის ოცი წლის განმავლობაში.

გვ.42. მე შენ მოგელანდები! მოგელანდები, თენგიზ და თენგიზ. – მწერალმა და პარლამენტის დეპუტატმა გურამ პეტრიაშვილმა ამ სიტყვებით ტელეეკრანიდან მიმართა ყოფილ პრემიერ თენგიზ სიგუას იმ დილით, როცა სიგუასა და გვარდიის სარდალ თენგიზ კიტოვანის გვარდიელებმა მთავრობის სასახლეს შეუტიეს. „თენგიზ და თენგიზ“ ამ წინადადებაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ავტორმა შეამჩნია, რომ ორივე მეთაურს ერთი სახელი ერქვა. ეს ამბავი, რომელსაც პეტრე ჯაფარიძე მე-11 გვერდზე „ხუნტურ რევოლუციას“ უწოდებს 1991 წლის ზამთარში ხდებოდა, როცა მოჯანყებმა დაამხეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და ქვეყანაში ქაოსი გამეფდა. ამავ მოვლენებზე საუბრისას, ჯორჯია ყოვლად ქლესურად უწოდებს მოჯანყე გვარდიელებს „ჩვენს გვარდიელებს“ (მე-8 გვ.), რახან წერილს მოჯანყეთა მხარეს მყოფ ერთ-ერთ რედაქტორს წერს. თუმცა, ალბათ ამგვარი განცხადება მაინც გამოუცდელი ბრალია, რასაც თავადვე ხსნის მე-12 გვერდზე, სადაც რევოლუციის საკუთარ ტყავზე გამოცდის თაობაზე საუბრობს.

გვ.42. აპრილის მესამე კვირაში... – ეს აბზაცი პირდაპირაა გადმონერილი არტურ კონან დოილის ერთ-ერთი მოთხრობის ქართული თარგმანიდან.

გვ.44. პორტობელოდან მოვდივარ... – ქართული ხალხურ ლექსი გადაუკეთებია:

„შირაქის ველზე მოვდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,

ნინ შემეყარა პეპელა,
ნითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო დამწერე ჯვარიო.“

გვ.45. ისინი „მუხრანთუბანში“ სკდებიან. „მუხრანთუბანი“, ჩათლახთუბანი, მზემ ფანჯრებიდან შემოანათა... – „მუხრანთუბანი“ განთქმული ძვირი რესტორანია თბილისში. აქ პეტრეს ახსენდება ქართველი პოეტი ლადო ასათიანი, რომელიც ჭლექით ავადმყოფი, მეორე მსოფლიო ომის დროს კურორტ აბასთუმანში წამლობდა და იქ დაწერა ლექსი: „აბასთუმანი, ხაბაზთუბანი, მზემ ფანჯრებიდან შემოანათა, ჩემი სანოლი და სასთუმალი, ჩემი პალატა, თეთრი პალატა...“

გვ.45. он вчера не вернулся из боя... – ეს წინადადება, განთქმული საბჭოთა მომღერლის და არტისტის, ვლადიმირ ვისოცკის სიმღერიდანაა. ვისოცკის სიმღერების უმრავლესობა არაოფიციალურად ვრცელდებოდა, რადგან მათი შინაარსი გამორიცხავდა სახელმწიფოსგან ტირაჟირებას. თუმცა ეს ნაწყვეტი იმ სიმღერიდანაა, რომელიც ოფიციალურადვე იყო დაშვებული და მეორე მსოფლიო ომის ამბავს აღწერდა.

გვ.45. სადღაც ის კუპეცი მღეროდა, ნიკიტა პარატოვი – საქმე აი რა გახლავს: დიდი რუსი დრამატურგის, ოსტროვსკის პიესის „უმზითვოს“ მიხედვით გადაღებულია საბჭოთა ფილმი „დაუნდობელი რომანსი.“ იქ ერთი ყოვლად თახსირი ვაჭრის, პარატოვის როლს ასრულებს განთქმული რუსი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი. ეს მიხალკოვი ჯორჯიას დიდად არ ეხატება გულზე. „დაუნდობელ რომანსში“ პარატოვი ბოშებთან

ერთად მღერის საბჭოთა კავშირში მეტად პოპულარულ რომანსს „ბოშის ზღაპარი,“ რომანსის ტექსტი გადარუსულებულია კიპლინგის ცნობილი ბალადიდან და შეფერდს ბუშიზე მდგომ პეტრე ჯაფარიძეს სწორედ ეს რომანსი მოესმის რუსულად, რაიც ძალიან წაუხდენს გუნებას, ეს რუსები თავს არ მანებებენო.

გვ.45. УМ, ЧЕСТЬ, И СОВЕСТЬ НАШЕЙ ЭПОХИ. – ცნობილი ლოზუნგია ბრეჟნევის დროისა: პარტია ჩვენი ეპოქის ჭკუა, ღირსება და სინდისიაო. ცხადია, კომუნისტური პარტია იგულისხმება.

გვ.45. ძია მიხოსკენ გვითრევდა – ჯორჯიას კვლავ მოესმის მიხალკოვ-პარატოვის სიმღერა და ახსენდება, რომ ნიკიტა მიხალკოვის მამა ცნობილი საბჭოთა საბავშვო მწერალი და მეიგავე იყო. მისი რუსული საბავშვო ლექსი პოლიციელ-მილიციელ ძია სტიოპაზე, ქართულად გადმოთარგმნილი იყო, როგორც ლექსი ძია მიხოს შესახებ, რადგან სტიოპა ქართულად უხეიროდ უღერს.

გვ.46. ნიკიტა მიხალკოვი, თეთრი შლაპით, თეთრ კოსტუმში მოლიცლიცებდა... ჯერ თვითონ ჩამოძვრებოდა, მერე რუცკოისაც დაუძახებდა. – მიხალკოვის გმირ პარატოვს „დაუნდობელ რომანსში“ თეთრი კოსტუმში აცვია, სწორედ ისე, როგორც ჯორჯიას მეგობარ სემს ამ სიზმარში და პეტრეს აერევა, მიხალკოვი ჰგონია, სემი კი გამოდგება. რაც შეეხება რუცკოის, ისიც მიხალკოვის არ იყოს, დიდუღვაშა კაცი იყო და რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი სწორედ მაშინ, როცა პეტრე ჯაფარიძე ლონდონს გადმოიხვეწა. ეს რუცკოი იმუქრებოდა, თბილისს დავბომბავო.

გვ.46. „ბუშმარკეტი“ – ბაზრობა შეფერდს ბუშის ბალის ახლოს.

გვ.46. „ნეტავ სად არის კიდეც ცა“ (ნიგნშია – სხვა) – განთქმული სიმღერა თბილისის შესახებ, რომელსაც ბერძენი მომღერალი იოვანა ასრულებდა 60-იან წლებში.

გვ.46. „არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!“ – ქართველი პოეტის გრიგოლ აბაშიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსიდანაა.

გვ.46. მართალი ვარ, ვითარცა აბდულაჰ! – „მართალი აბდულაჰ“ არის სათაური მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობისა, რომელშიც აღწერილია ერთი საწყალი თათრის საშინელი, სისხლით გაჯერებული თავგადასავალი.

გვ.46. სიკვდილი ცოტას მოიცდის – თავს ვერ დავდე, რომ ეს რომელიმე ქართველი პოეტის ფრაზაა, მახსოვს კი, რომ იყო ამ სათაურით პოეტური კრებული, რომელშიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი პოეტების ლექსები იყო თავმოყრილი.

გვ.48. კარლსონი გაგიგია? – დიდი შვედი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ნიგნები სახურავზე მცხოვრები მფრინავი კაცუნას, კარლსონის შესახებ ძალიან პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში.

გვ.48. „ლედბროკი“ – ინგლისური ტოტალიზატორია.

გვ.49. „დეილი მირორი“ – ინგლისური გაზეთია, ტაბლოიდის ფორმისა.

გვ.51. „ჩემი საყვარელი ქალაქი“ – ერთ-ერთი ქართული არყის სარეკლამო კლიპიდან შემორჩენილი ფრაზა.

გვ.51. „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო“ – XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა რესპუბლიკურ მთავრობას გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი ესპანელ კომუნისტებს, რომელთა ერთ-ერთი ლიდერიც დოლორეს იბარური იყო. სხვა კომუნისტი ლიდერი იმ დროის ესპანეთისა, ხოსე დიასი, თბილისში ცხოვრობდა, აქ მოიკლა თავი და აქვეა დაკრძალული. „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო,“ არის ნაწყვეტი იმ დროის ქართული ლექსიდან, რომლის ავტორიც, თუ არ ვცდები, პაოლო იაშვილი უნდა იყოს.

გვ.60. ძალიან კარგად მღეროდნენ გოსპელებს – სემი ქართულ ხალხურ სიმღერებს ზანგურ საგალობლებს ადარებს.

გვ.60. „ო, ასეთი მხიარული, ო ასეთი მხნე...“ – სემ ფილიპსი წარმოთქვამს რობერტ ბერნსის ლექსს „მაკფერსონის სიკვდილის დღე,“ რომლის თარგმანიც პეტრე ჯაფარიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

გვ.61. „გოგოებოო, გეყვარებათ ჯაზები“ – თუ არ ვცდები, ეს არის შეძახილი ქართული ფილმიდან, „ათოვდა ზამთრის ბალებს.“ თუ ვცდები და გავრცელებული სახუმარო შეძახილი იყო ერთ დროს.

ჯანკი და შემოდგომის აზნაურები

გვ.62. ჯანკი და შემოდგომის აზნაურები – ჯანკი, ამ შემთხვევაში ნარკომანს ნიშნავს, „შემოდგომის აზნაური“ კი არის პირნმინდად ქართული ტერმინი, რომელიც გულისხმობს ხელმოკლე დიდგვაროვანთა ცხოვრების წესს და შესაძლებლობას. ანუ, ასეთ აზნაურებს შემოდგომით აღებული მოსავალი შემოდგომითვე უმთავრდებოდათ.

გვ.62. ზუსტად ისე, როგორც „მაკბეტშია“ – შექსპირის ამ პიესაში მეკართანე ნარამარა ახსენებს „ხურუს“ და ამნაირ სიტყვებს.

გვ.63. – ქალი ქურდი ვერ გახდება, იმიტომ რომ ქალია. – ჯორჯია ცდილობს აუხსნას სემს საბჭოთა ქურდული სამყაროს წესები, სადაც ქურდი უბრალოდ რაიმეს მომპარავს კი არ ნიშნავს, არამედ განსაზღვრულ წესებში მოქცეული და უფლებებით აღჭურვილი დამნაშავის განსაკუთრებული ტიტულია.

გვ.63. ეს იყო პირნავარდნილი ანტისაბჭოთა. აქცია... მე სამ სანუკვარ რუსულ სიტყვას ვიხსენებდი. – ასე შეაფასა 9 აპრილის ამბავი გენერალმა როდიონოვმა საბჭოთა პარლამენტის ყრილობაზე. სამი სანუკვარი რუსული სიტყვა ყველა საბჭოთა მოქალაქემ იცის, ეს არის დედის შეგინება რუსულად – მან ვაშუ იობ.

გვ.63. ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
მდინარეც ნანას უმღერის,
რაინდსა ურჩსა მტრისასა. – პეტრე ჯაფარი-

ძე ჩვეული ნაკმაზით წარმოთქვამს ლექსს, რომელშიც შენებებულია ორი სხვადასხვა ლექსის წყვილ-წყვილი სტრიქონები. პირველი ორი სტრიქონი ეკუთვნის ახალგაზრდა სტალინს, რომელიც თბილისის სემინარიაში სწავლობდა და პოეტად გახდომასაც ლამობდა. ამ ლექსში სტალინი საქართველოს აყვავებაზე ოცნებობს. შემდეგი ორი სტრიქონი კი არის დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის უკვდავი ლექსიდან „განთიადი.“ ეს ლექსი, რომელიც რუსეთის საიმპერიო ცენზურამ კარგა ხანს არ დაბეჭდა, აკაკიმ მიუძღვნა ქართველი თავადიშვილის, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას. საქართველოდან რუსების მიერ გასახლებული ყიფიანი სავარაუდოდ რუსული ჟანდარმერიის აგენტმა მოკლა. ჯორჯია კი ცდილობს ამ ორი სხვადასხვა კაცის მიერ დაწერილი სტრიქონების გაერთიანებას.

გვ.65. მოგესალმებით ექსმურ ჰოლში. – ექსმური აღებულია გილბერტ კით ჩესტერტონის ერთ-ერთი მოთხრობიდან მამა ბრაუნის შესახებ. სინამდვილეში, არ ვიცი, არსებობენ თუ არა ექსმურის ლორდები.

გვ.65. სერ ჰენრის ღლის სინათლე. – სერ ჰენრი კონან დოილის „ბასკერვილების ძაღლის“ პერსონაჟია და ეს სახელიც ნასესხებია. რაც შეეხება სინათლეს, ეს ცრუ შეშინებაა, ვამპირთან, მავან გრაფ დრაკულასთან ხომ არ მოსულანო, რაიც მალე გაქარწყლდება.

გვ.66. მეთვრამეტე მარკიზი გლედსბერი... და ა.შ. – მოგონილი ტიტულატურაა, ერთგვარი ირონიით შედგენილი.

გვ.66. FULHAM — ფულემი კარგი და არისტოკრატიული უბანია დასავლეთ ლონდონში.

გვ.67. ჰაილენდი — მთიანი შოტლანდია.

გვ.68. ჩაილდ ჰაროლდად გადაქცევა დავაპირე — ლორდ ბაირონის დიადი და მშფოთვარე პოემის გმირის აქ ხსენება გვაფიქრებინებს, ხომ არ არის ეს მომაკვდავი ლორდი მკრთალი ანარეკლი ერთგვარი ბაირონობისა და ბაირონული ცხოვრებისა? სწორედ იმხანად, როცა ამ ნიგნს ვწერდი, ერთ ინგლისურ გაზეთში წავიკითხე, რომ შიდსით აღესრულა ლორდებს შორის პირველი, ბისექსუალი და ნარკომანი დიდგვაროვანი, ალფრედ დუგლასი, ფოტოზე აღბეჭდილი სიმკაცრითა და დაუოკებლობით სავსე თვალები ახლაც კი მახსოვს.

გვ.69. კალაბრიელი გლეხი პოლიდორი. — კალაბრია იტალიის პროვინციაა. ამ დიალოგს კი კვლავ ბაირონისკენ მივყავართ, ვინაიდან ექიმი პოლიდორი ბაირონის მეგობარი და მენამლე იყო და თავადაც წერდა გოთურ რამეებს ვამპირებზე. სწორედ პოლიდორიმ მიიღო მონანილეობა იმ ნაძლევეში, რომელიც საშინელი რომანის დაწერას გულისხმობდა და რომლიდანაც გამოდნა მერი შელის „ფრანკენშტეინი.“ პერსი, მერი, ბაირონი, პოლიდორი, შვეიცარია, ტბის პირი, კენ რასელის ფილმი გოთიკა და ათასი სხვა რამ, რომლის გამოც შეიძლებოდა საუბარი, სხვა მხარეს გაგვაქანებენ და ამიტომ, აღარაფერს მოგახსენებთ.

გვ.69. „მოდი, ლორდო, გავათენოთ ღამე“. — გაგა ნახუცრიშვილის ლექსიდანაა.

გვ.69. „სან ლორენსო“ – ძვირი რესტორანი დასავლეთ ლონდონში.

გვ.69. „ათ ზარში“ წავიდეთ. – ინგლისში ლუდხანების სახელებში ხშირად სჩანს ზარი. რა მიზეზია, არ გამომიკვლევია, საინტერესო კი ჩანს. „ათი ზარი“ ისტენდში – გულისხმობს ლუდხანას, რომელიც დღეს შეტანილია ლონდონის ცნობილ ტურისტულ მარშრუტებში, რადგან გადმოცემით, ამ ლუდხანაში იჯდა ხოლმე ვიქტორიანული დროის სერიული, დღემდე ამოუცნობი მკვლელი, რომელსაც პირობითად მშიგნავ ჯექს უნოდებენ. ამ კაცმა მოკლე დროში ლატაკთა უბნის რამდენიმე მეძავი მოკლა და გაუჩინარდა. „ათი ზარის“ პირველი ხსენება ამ წიგნში თითქოსდა მიგვანიშნებს, რომ ვითარება მძიმე უნდა შეიქნეს და ჯორჯიას მძიმე თავდასავალი მოელის.

გვ.71. გენერალი კი ერთი ჰყავდათ, როკოსოვსკი. – ლორდი ოდნავ გადააკეთებს ნაპოლეონის ნათქვამს იმის თაობაზე, რომ ნამდვილი გენერალი რუსეთში მხოლოდ პეტრე ბაგრატიონია, რომელიც, სხვათა შორის, ტომით ქართველი იყო. როკოსოვსკი კი გახლდათ მეორე მსოფლიო ომის უნიჭიერესი საბჭოთა სარდალი, წარმოშობით პოლონელი და მერე კომუნისტური პოლონეთის თავდაცვის მინისტრი.

გვ.71. – ყიფიანი... ხინჩაგაშვილი... ჩივაძე... მაჩაიძე... სტალინ. – ლორდი ჩამოთვლის 70-იანი წლების განთქმულ ფეხბურთელებს, ბოლოს კი დაამატებს სტალინის სახელს. ეს არის ერთგვარი გადათამაშება ამბისა, რომელიც მოთხრობილია გურამ ფანჯიკიძის წიგნში „არგანტინა, არგენტინა.“ ამ წიგნში უცხოელი

ეურნალისტი ავტორს ეკითხება, სადაური ხარო და მის პასუხზე, ქართველიო, ჩაფიქრების შემდეგ ამბობს: „მესხი... მეტრეველი... სტალინ.“-მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი 60-იანი წლების ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები არიან, სტალინი კი ერთადერთი ქართველი იყო, მსოფლიოში რომ გაეგონათ.

გვ.71. მე ენფილდზე ვარ ნამყოფი. – ენფილდი საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ სტადიონია, სადაც თბილისის „დინამოს“ ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა ითამაშეს 1979 წელს. საეჭვოა, რომ ეს ლორდს ენახა, ალბათ ჯორჯიას ჰგონია ასე.

გვ.72. ყველაფერში ბიძაა გარეული. – ამ სიტყვებით იწყება ლორდის საკმაოდ გრძელი მონათხრობი საშინელი ბიძის შესახებ, რომელსაც ერთგვარ პირველწყაროებად აქვს უკვე ნახსენები მეტიურინის რომანი „მელმოტ ხეტიალა“ და რობერტ ლუისს სტივენსონის „მოტაცებული, ანუ თავგადასავალი დევიდ ბელფურისა.“ ორივე რომანში ბიძისგან მემკვიდრეობის მიღებაზეა საუბარი და ორივეგან ახალგაზრდა კაცი დიდ ფათერაკებს გადააწყდება.

გვ.73. და იყო ერთი პატარა ქალაქი დიდი ციხესიმაგრით. – ჯორჯია თითქოს უცხო მხარის, უცხო კაცის თავგადასავალს ისმენს, მაგრამ გონებაში კი უტივტივდება იოსებ სტალინის, ერთ პატარა ქალაქში დაბადებული ბიჭის ისტორია, რომელსაც დედა მრეცხავი ჰყავდა, მამა კი ლოთი ხარაზი, რომელიც მართლაც მოკლეს ჩხუბში მთვრალი.

გვ.74. უიკლოუ – მელმოტ ხეტიალას ბიძის სასახ-

ლე, რომელსაც პეტრე ჯაფარიძე და ყოველი მიხვედრილი კაცი კრემლს დაუკავშირებს.

გვ.75. დაახლის ტყვიას მარტინ კოლინზს – ლორდი, ალბათ, გულისხმობს ირლანდიის განთავისუფლების ერთ-ერთ გმირს, მაიკლ კოლინზს, რომელიც მშობლიურ სამხრეთ კორკში მოკლეს.

გვ.75. მე ვაკაკუნებ – ირლანდიელი მწერლის, შონ ო'კეისის რომანის სათაური.

გვ.77. ჯერსის კუნძული – ინგლისსა და საფრანგეთს შუა ამოჩრილი პატარა არქიპელაგი, მეტად საამო ადგილი.

გვ.78. დელისი – ადგილია თბილისში, საბურთალოს უბანში. მეტროს სადგურის თავზე დღემდე ქუჩის ბაზრობაა გამართული, 90-იანი წლების დასაწყისში კი მთელი ბაზარი იყო მშენებლობის გამო გადაკეტილ ქუჩაზე.

გვ.78. ის არის ყველაზე უფრო ქედმაღალი და დამცინავი. – ეს დელისელი ლოთი დღესაც დგას მაღაზიის ვიტრინასთან, ყავარჯნებს დაყრდნობილი.

გვ.78. კუპონი – იმ დროის ქართული ფული, თუ ფულის შემცვლელი.

გვ.78. აქ ხომ ბირჟაა. – 90-იანი წლების დასაწყისში დელისის მოედანზე არაოფიციალური სავალუტო ბირჟა იყო.

გვ.79. „ჰავანა თუ გინახავთ დილაადრიან?“ – ერნესტ ჰემინგუეის რომანის, „ჰარი მორგანი,“ პირველი წინადადება. ამ რომანის პირველსავე გვერდზე ორი ჯგუფის მიერ ერთმანეთის ამოხოცვაა აღწერილი განთიადის ჰავანაში.

გვ.79. „ლანტენაკი ვარ.“ – ეს არის ფრაზა ვიქტორ ჰიუგოს რომანიდან „ოთხმოცდაცამეტი წელი.“ საფრანგეთის რევოლუციის დროზე შეთხზული ეს რომანი პეტ ჯაფარიძეს ახსენდება 1993 წლის ამბებთან დაკავშირებით, იმ დროს, როცა გადატრიალების შემდგომ საქართველოში სრული ქაოსი მეფობს. ლანტერნაკი კი მეტად მეტყველი პერსონაჟია იმ რომანისა, როიალისტების წინააღმდეგობის სარდალი, რომელიც ბავშვის სიცოცხლისა გამო რევოლუციონერთა ჯარს ჩაბარდება.

გვ.80. არარაობავ, დელისის მეტროს ამოსასვლელი უნდა გერქვას შენ! – შექსპირის ჰამლეტის ერთ-ერთი ცნობილი მონოლოგის ქართული თარგმანის გადაკეთებაა.

გვ.80. *A morte la Venezia* – თომას მანის ცნობილი მოთხრობის, „სიკვდილი ვენეციაში“ იტალიურად გამოთქმული სათაური. ალბათ, ლუკინო ვისკონტის ამავე სახელწოდების ფილმის გახსენებაა, რადგან ჯორჯიას წამოსცდება, აღარ ვართ ამდენი სილამაზითო. ვისაც წიგნი წაუკითხავს, ან ფილმიც უნახავს, სულ იოლად ამოიცნობს, რას გულისხმობდა მისტერ ჯეფერსი.

გვ.80. კავკაველი მეძავი, ზოია კასაბროდოვა. – ავტორის მიერ აკვიატებული სახელი და გვარია. ერთგვარი გულუბრყვილო სიმბოლო იმისა, თუ იმპერიო-

ბის ხანაში რა იყო რიგითი ქართველისთვის კარგი და კეთილი რუსის ქალი. ზოია კასაბროდოვა გაკვრით მოჩანს მის რომანში „ავვისტოს პასიანსი“, ნახსენებია კიდევ ერთ გამოუქვეყნებელ რომანში და გმირად ჩანს კიდევ ერთ გამოუქვეყნებელ რომანში.

გვ.80. ძაუჯიკაუ – ვლადიკავკაზის ოსური სახელი იყო.

გვ.80. მინვოდი – რუსული ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში. მინერალურ წყლებს ნიშნავს.

გვ.81. მომითხრო დელისელი მანიაკის შესახებ. – იმ დროებაში თბილისში გავარდნილიყო ხმა, რომ დელისის სანახებში ღამლამობით დაძრნის სერიული მკვლელი, რომელიც ადამიანებს ყელს, უკეთეს შემთხვევაში კი ყურებსა სჭრის. ამ ამბავმა ერთ-ერთი გაზეთშიაც გაჟონა, თუმცა სერიული მკვლელი არავის აღმოუჩენია და მგონი არც არსებობდა. სხვა საქმეა, რომ იმხანად ამ უდაბურ ადგილას ღამლამობით მართლა ხდებოდა ხოლმე თავდასხმები და ამას მსხვერპლიც მოჰყოლია. პეტრე ჯაფარიძეს კი იმიტომ თუ ახსენდება დელისელი მანიაკი, რომ უკვე შეჯდომია მშვიგნავი ჯეკის შიში. თანაც, ეგებ უნდა, დაგვანახოს, რომ სადღაც მანიაკიც კი ნამდვილია, მის ქვეყანაში კი მოგონილი.

გვ.82. ანჟელიკა ვარუმი – რუსი მომღერალი.

გვ.82. „მულენ რუჟი“ – ნითელი ნისქვილი. ცნობილი პარიზული კაბარე.

გვ.82. ზოია კასაბროდოვა ქალი იყო და შველს არ ჰგავდა. – პეტრე კვლავ თავისებურად გადააკეთებს

ლიტერატურულ ფრაზას გურამ დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“: „ანა მარია ქალი იყო, მაგრამ შეელს ჰგავდა.“ პეტრე მიგვანიშნებს, რომ მის ცხოვრებაში სილამაზე არ დარჩენილა.

გვ.82. უმუშევარი მკერავი, რომელმაც სამი პოლიციელი მოკლა ისტ ენდში – გახმაურებული შემთხვევა ლონდონში, რომლის არსსაც ახლა ველარ ვიხსენებ.

გვ.83. მთელი ლონდონის ურთულესი აჩრდილები და მოჩვენებები იკრიბებიან... – ისტ ენდი, ლონდონის აღმოსავლეთი არის ძველისძველი, მუშათა, ლატაკებისა და ჯურღმულების უბანი. ოდესღაც აქ ადგილობრივ ლატაკებთან და ქურდებთან ერთად ცხოვრობდნენ მთელი მსოფლიოს რევოლუციონერები, ათასი რჯულის ხალხი და ამათ შორის კი მშვიგნავი ჯეკიც აქ სჩადიოდა თავის საშინელ მკვლევლობებს.

გვ.83. ივან დელისოვიჩის ერთი დღე. ივან დელისოვიჩი მე ვარ. იმათ ხომ ჰყავთ ივან დენისოვიჩი? – ალექსანდრ სოლჟენიცინის პოვესტი „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ საბჭოთა კავშირში უზარმაზარი ტირაჟებით გამოიცემოდა, მერე კი სოლჟენიცინის ანტიკომუნისტობის გამო აიკრძალა და დამალულად ვრცელდებოდა. ამ წიგნში აღწერილია რუსი გლეხის ერთი დღე სტალინურ ლაგერში და ეს არის პირველი გახმაურებული და საუკეთესო წიგნი საბჭოთა ლაგერების შესახებ. ივან დენისოვიჩის ივან დელისოვიჩად გამოცხადებით, პეტრე ჯაფარიძე გვეუბნება, ქვეყანაში კი არა, ლაგერში ვცხოვრობო. სახელი დენისი და ტოპონიმი დელისი მეტად ახლომყდერი სიტყვები გამოდგა და მეტიც რალა იყო საჭირო?

გვ.83. აღარ მეგონა, რომ სწორედ აქ შეეხვებოდნი ჩვენს გრიბოედოვს. – უკვე ნახსენები რუსის მწერალი და დიპლომატი გრიბოედოვი (იხ. დანვრილებით მე-40 გვერდის შენიშვნა) სპარსეთში მოკლეს და თბილისისკენ ურმით წამოასვენეს. ამ დროს საქართველოდან სამხრეთისკენ მიემართებოდა რუსი პოეტი ალექსანდრ პუშკინი, რომელიც გზაში შეხვდა გრიბოედოვის გადმომსვენებლებს და მეტადაც შეწუხდა ამ შეხვედრით, რაიც აღწერა კიდევ თავის წიგნში „მოგზაურობა არზრუმში თურქული ლაშქრობის დროს 1829 წელს.“ აქ მოტანილი წინადადებაც სწორედ ამ თხზულებიდანაა მოხმობილი..

გვ.83. არის ერთი საფლავი ჰაიგეიტზე. საფლავი წვერგაბურძგნული კაცისა. – ლონდონის ჰაიგეიტის სასაფლაოზე დაკრძალულია ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ისტორიკოსი, ეკონომისტი და საერთოდაც ჭკვიანი კაცი კარლ მარქსი, წარმოუდგენლად გაღმერთებული საბჭოთა იდეოლოგიის და მეცნიერების მიერ. ლონდონში ჩასული ყოველი საბჭოთა დელეგაცია ჰაიგეიტზე მიდიოდა და „მამის“ საფლავს ყვავილებით ამკობდა. ჩვენის მიხვედრილობით კი მარქსი ბევრად საინტერესო ვინმეა, ვიდრე ამას საბჭოთა უფროსობა წარმოგვიდგენდა, მაგრამ ამ იდეოლოგიური დანოლის გამო ჩვენ მარქსს სულელადა ვთვლიდით, ისევე, როგორც ჩარლზ დარვინს. თანაც ისე, რომ არ წაგვეკითხა. არ ვკითხულობდით კი იმიტომ, რომ ხელისუფლება გვავალებდა და უნივერსიტეტებში გვასწავლიდა.

გვ.83. როგორ ამოვალწიე ამ თვითმფრინავში? თვითმფრინავია თუ ავტობუსი? – სემთან ერთად ლონდონის ცაში მოღივლივე ჯორჯიას ახსენდება, თუ

როგორი ძნელი იყო მოსკოვში თვითმფრინავით მგზავრობა. თბილისი-მოსკოვის თვითმფრინავი ჰგავდა ხოლმე გადაჭედულ მეტროს ვაგონს ან ავტობუსს, სადაც ხალხი ფეხზე იდგა ხოლმე. უფრო მწარედ კი ჯორჯიას უნდა ახსენდებოდეს ჯარისკაცებითა და დაჭრილებით გადაჭედული სამოქალაქო თვითმფრინავები, სოხუმსა და თბილისს შორის რომ დაფრინავდა აფხაზეთის ომის დროს.

გვ.84. გაჩერდა ის ყოვლად გათახსირებული BMW.
– ისევე, როგორც 79-ე გვერდზე, უცებ აქაც გამოჩნდა ტალახიან მწვანე მანქანაში მხდომი ორი საბურთალოელი რეკეტირი, რომლებიც კვლავაც გამოჩნდებიან ნიგნის ბოლოში და თავიანთ შავ საქმეს მოაკვარახჭინებენ.

გვ.84. მე აფრიკა ვარ, შაქარლამის საძმოდან. – ამგვარი სახელი და ამგვარი განგსტერული ერთობა თბილისში არ არსებობდა, თუმცა არსებობდა საძმო, რომელსაც სახელი დაერქვა თავშეყრის ადგილის, კულინარიის მაღაზიის მიხედვით.

გვ.84. ნაღდად კალიფსოლის გადაზიდვაში ჩამართეს. – უცხო კაცისთვის სხვა ქალაქში ჩემოდნის გატანება იქ ჩემი ნაცნობი დაგხვდებოდა, ქართველთათვის ჩვეული ამბავია. მაგრამ ჯორჯიას ეშინია, რომ მას სახიფათო წამალი არ გაატანონ. უნდა გამოვტყდე, რომ ხეირიანად არ ვიცი „კალიფსდოლით“ რას მკურნალობენ, გამიგია კი, რომ თუ იმას სარი კაცი დალევს ხშირხშირად, ჯოჯოები მოელანდება.

გვ.84. შემდეგ შემოგვეყარნენ სქოთი მესტვირენი: ლაიამ ნისონი და მელ გიბსონი. – აქედან იწყება

ჯორჯიას კიდევ ერთი სახიფათო მოჩვენება, რომელიც დაკავშირებულია ნაციონალიზმისა და თავისუფლების უხერხულ ნაზავთან, რომლის გაქარწყლებასაც სემ ფილიპსი ფიქრობს. 84-დან 87-ე გვერდამდე ჯორჯიასა და სემს უნევთ ბრძოლა ორ ცრუ აჩრდილთან, რომლებიც ჯორჯიას სულ იოლად გადაიხვევენ ხელზე და ამით აჩრდილთა ქვეყანაში შეტყუებას ცდილობენ. ლაიამ ნისონი და მელ გიბსონი სახელგანთქმული მსახიობები არიან, რომლებიც მონაწილეობენ შოტლანდიელ გმირთა ცხოვრებაზე შექმნილ ასევე განთქმულ ფილმებში: პირველი გმირ რობ-როის თამაშობს, მეორე – გმირ უოლესს, ინგლისელთა წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს. ისინი ტკბილ პატრიოტულ მუსიკებს აუღერებენ ჯორჯიას ტვინში.

გვ.84. „სამშობლოო, სამშობლოო, კავკასიონზე თენდებაა...“ – პერესტროიკის დროის სახელგანთქმული ქართული სიმღერა, რომელსაც სოსო პავლიაშვილი მღეროდა ხოლმე, აქ კი მელ გიბსონი მღერის.

გვ.84. ჰაილენდისკენ მივდივარ, უკან მამბრუნებს ქარიო. – პეტრე ჯაფარიძეს კვლავ თავში უტრიალებს თავისი საყვარელი ქართული ხალხური ლექსი (იხ. 44-ე გვერდის შენიშვნა. ჰაილენდის შესახებ კი კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მთიანი შოტლანდიაა).

გვ.84. იგვირგვინებს ბაგრატივანი – ანუ, კვლავაც აღდგება ქართული სამეფო დინასტია. შეძახილი გადმოტანილია მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „თეთრი საყელო.“

გვ.84. საით, გაყაჩაღებულ გლეხებო? – სემი დამ-

ცინავად მიმართავს მესტირეებს და მათ არა პატრიოტებად, არამედ ყაჩაღებად თვლის.

გვ.85. ხვალ შემოვენყოფით ნორფოლკს – ნორფოლკი ინგლისური ქალაქია, რომელიც გიბსონ-უოლესმა აიღო და დანვა ფილმში „ბრეივჰათი.“

გვ.85. Freeeeeeedom! – თავისუფლებააააა! ასე ამოიხრიალებს ინგლისელთა მიერ ნანამები უოლესი იმავე ფილმის მიწურულს.

გვ.85. Это была махровая... – ჯორჯიას კვლავ ახსენდება გენერალ როდიონოვის სიტყვები საბჭოთა პარლამენტის ყრილობაზე. უფრო დანვრილებით იხ.63-ე გვერდის განმარტებათა შორის.

გვ.85. „მალლა ასნიეთ მზე, მალლა... მოხუცი მამა, მოხუცი მამა, სასხლავით ხელში დადის ვენახში.“ – ნაკუნები გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიდან. ამ ნაკუნებს ხშირად იყენებდნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტების მისაღებ გამოცდებზე თავისუფალი თემების სათაურებად.

გვ.85. წადი, დაიკარგე შენს ადელაიდაში. – სემი მიანიშნებს, რომ მელ გიბსონი შოტლანდიელი კი არა, ავსტრალიელია.

გვ.85. ბრუს და უოლეს, გაგვიძეხთ წინა! – ნანყვეტი დიდი შოტლანდიელი პოეტის, რობერტ ბერნსის ლექსიდან.

გვ.85. განა შენ რობერტ მაკფერსონი ხარ? – მგონი, სემი კვლავ იხსენებს ბერნსის სხვა ლექსს გმირ

შოტლანდიელზე. იხ. შენიშვნა მე-60 გვერდისა. ამასთან, რობ-როი მაკფერსონთა გვარისა იყო.

გვ.85. თქვე ცრუშინდლერებო – გერმანელმა მეწარმემ და ნაცისტური პარტიის წევრმა ოსკარ შინდლერმა ათასობით ებრაელი გადაარჩინა ჰიტლერის ბანაკებში სიკვდილს. სემს ეს ამბავი უფრო იმიტომ ახსენდება, რომ შინდლერის როლს სტივენ სპილბერგის ცნობილ ფილმში ლაიამ ნისონი ასრულებს.

გვ.86. ლერმონტ-მესტვირეზე გიამბობ. – ლერმონტი სქოთური თქმულებების გმირია.

გვ.86. ვთქვი დასავლეთისკენ, მივფრინავ აღმოსავლეთისკენ. – ეს არის ერთგვარად გადაკეთებული ფრაზა 90-იანი წლების დასაწყისისა, რომელიც პეტრე ჯაფარიძეს გონებაში ჩარჩენია. როდესაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, სამხედრო საბჭოს მიერ დატუსაღებულმა ტერორიზმისთვის განსჯილმა და სიკვდილმისჯილმა გამსახურდიას ერთ-ერთმა მომხრემ განდევნილი პრეზიდენტის შესახებ სევდიანად თქვა: „თქვა დასავლეთისკენ, წავიდა აღმოსავლეთისკენ.“ პეტრე ჯაფარიძემ ვერაფრით დაივიწყა ეს უცნაური, მძიმე და მრავლისმეტყველი სიტყვები, რომლებიც მისი აზრით, საქართველოს მთელი ისტორიის შესაფასებლად გამოდგება.

გვ.86. „ო, დასავლეთი დასავლეთია,... თუ ორი რაინდი არ შეხვდა ერთმანეთს“. – სემი და ჯორჯია ერთმანეთს ეპასუხებიან კიპლინგის ცნობილი ბალადის „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახებ“ სიტყვებით.

გვ.87. „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს ნვეთი... შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“. – ჯორჯიას ახსენდება უპოპულარულესი ქართული ლექსები. პირველის ავტორი მურმან ლებანიძეა, მეორისა – მუხრან მაჭავარიანი. ეს ლექსები აღანთებდა ქართველობას ბრეჟნევის მმართველობის წლებში, სემს კი აშფოთებს სისხლის ხშირი ხსენება აჩრდილებით სავსე ადგილებში, ეგებ შექსპირის ტრაგედიებში მოტრიალე მოჩვენებები და იქ დაღვრილი უზომო სისხლიც უტრიალებს თავში.

მშიგნავი ჯეკის მხარეში

გვ.88. მშიგნავი ჯეკის მხარეში – ვიქტორიანული ეპოქის, უფრო ზუსტად კი XIX საუკუნის მიწურულს ლონდონის ჯურღმულთა ადგილი იყო მისი აღმოსავლეთი უბნები, რომელთა გამოც, ზემოთაც მოგახსენეთ. მშიგნავი ჯეკი, ანუ მეძავთა ამოუცნობი მკვლელი და მათი გვამების საექიმო მონყობილობებით დამამახინჯებელი მანიაკი, სწორედ ამ აღმოსავლეთ რაიონებში, ისტ ენდში მოქმედებდა. ამიტომაც, ამ თავს მშიგნავი ჯეკის მხარე დავარქვი.

გვ.88. დოქტორი კევორკიანი – ამერიკელი ექიმი, რომელიც თავმოებზრებულ მძიმე ავადმყოფებს, ან უბრალოდ სიკვდილის მსურველ ადამიანებს თავისივე მოგონილი უმტკივნეულო მონყობილობით შხამებს შეუსხურებდა და ნუთისოფელს გამოასალმებდა. მგონი, დღესაც ცოცხალია.

გვ.88. დურვარდ სტრიტი – ამ თავში ყოველი ქუჩი-

სა და ადგილის სახელწოდება ნამდვილი და ისტენდუ-
რია და პეტრე ჯაფარიძე და სემი სწორედ იმ ალაგებში
დადიან, სადაც თავის მკვლევლობებს სჩადიოდა უხი-
ლავი მშვიგნავი ჯეკი.

გვ.89. გაზის სინათლე, ქუჩის ლამპიონი. – გაზის
სინათლის დროის ლონდონი რომანების მწერალთათ-
ვის ნამდვილი საგანძური გახლავთ.

გვ.89. მერი ენ ნიკოლსი – ისტ ენდელი მეძავი, რო-
მელიც მშვიგნავმა ჯეკმა მოკლა და აკუნა.

გვ.89. ისინი რევოლუციონერები არიან. – ისტ ენ-
დში სახლდებოდა ბევრი რუსეთიდან „პოგრომებს“ გა-
მორიდებული ებრაელიცა და მეფის რეჟიმის მტერიც,
სხვანაირად კი რევოლუციონერი.

გვ.90. ვაი, შენს გოგიას! – ნიგნის ავტორის ერთ-
ერთი საყვარელი შეძახილი. ცხოვრებიდან გამომდინა-
რე, ხშირადაც მოხმარებული.

გვ.90. სპიტელფილდის ბაზრობა – ასევე მშვიგნავ
ჯეკთან დაკავშირებული ადგილია. სემმა ჯორჯიაზე
მეტი იცის აქაურობისა და აფრთხილებს, რომ მეტის-
მეტად საშიშარ ადგილებში არ მოხვდეს.

გვ.90. Buble gum – სალექი რეზინი, რომელიც კარ-
გად იბერება.

გვ.90. რიჩარდ გირს რო კიბზე ასვლის ეშინია. –
პეტრეს ახსენდება საქართველოს ტერიტორიაზე „ლა-
მაზმანის“ სახელით ცნობილი ჰოლივუდური ფილმი

„კობტა გოგო,“ რომელშიაც რიჩარდ გირი მილიონერს თამაშობს, ჯუღია რობერტსი კი მეძავს, რომელიც ამ მილიონერის ცოლი შეიქნება. ამ ფილმში გირის გმირს, მისტერ ლუისს სიმალლისა ეშინია.

გვ.91. – სხვანაირად, „გალუბაია კიტაიანკა“. კენ რასელი გაგიგია?

– მე თვითონ ვიყავი ლორდთან. – ჯორჯიას გონება კვლავ მეძავთა შესახებ ფილმებს უტრიალებს. კენ რასელის ფილმი „ცისფერი ჩინელი ქალიც“ ერთგვარად მეძავის ცხოვრებაზეც მოგვითხრობს. მერ ენის მიერ ბრიტანელი რეჟისორის ხსენება კი ჯორჯიას მოაგონებს ამავე რეჟისორის სხვა ფილმს, „გოთიკა,“ სადაც ლორდ ბაირონი, პერსი ბიში შელი, მერი შელი, ექიმი პოლიდორი ჩანან და ამიტომაც მისი და სემის სტუმრობას შიდსიან ლორდთან, კვლავ ბაირონს უკავშირებს.

გვ.91. მე რეგისტრირებული ვარ. – ჯორჯიას სადაც გაუგია, რომ რიგ ქვეყნებში მეძავეები რეგისტრირებულები არიან პოლიციაში, არარეგისტრირებული მეძავის დაკავება კი ყოველ წუთს შეიძლება.

გვ.91. ნეტავ ვაშლის კასრი იქნებოდეს სადმე. შევძრებოდე შიგ და ვიცხოვრებდი. არც სანთელი მომინდებოდა და არც სხვა რამ... კარგი თამბაქო და ორიოდ ლუკმა პური. ტომი არ დამამადლებდა. – პეტრე ჯაფარიძეს ახსენდება თავისი საყვარელი ლიტერატურული გმირი, ჰეკლბერი ფინი, რომელიც მარკ ტვენის ნიგნში „ტომ სოიერის თავგადასავალი,“ ვაშლის კასრში ცხოვრობს. მას ასევე ახსენდება ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი, რომელიც ასევე კასრში ცხოვრობდა და დღისით ანთებული სანთლით დადიო-

და, ადამიანს დავეძებო. ჰაკად გადაქცევის შემთხვევაში, ჯორჯია იმედოვნებს, რომ მას ძმაკაცი, ტომ სოიერი მიუტანს ხოლმე საზრდოს.

გვ.91. დისქაუნთი – ფასდაკლება.

გვ.91. ჯიბეში ფორტ ნოკსი კი არა მაქვს. – ფორტ ნოკსში ინახება ამერიკის ოქროს მარაგი.

გვ.91. მგონი არც პეტრიოტი გაქვს ცოტა იქეთ. – პეტრიოტი ამერიკული საბრძოლო რაკეტაა. მეძავი მიანიშნებს ჯორჯიას, რომ დიდი ვერაფერიშვილი სალოგინე კაცი ჩანს.

გვ.92. მე შენ მოგელანდები! – იხ. განმარტება 42-ე გვერდისა.

გვ.92. „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გახარ ზღვას...“ – სახელგანთქმული ქართველი რომანისტი, კონსტანტინე გამსახურდიას ლექსია, ცალკე დაბეჭდილიც და მის ერთ-ერთ რომანში წარმოთქმულიც. კონსტანტინე გამსახურდია იყო მამა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასი, რომლის ხელისუფლების დამხობის ამბებზეც ლაპარაკია ზემორე შენიშვნებში.

გვ.92. „თქვენ ვერ გაიგებთ ჩვენს ტკივილს“... ერთმა სომეხმა ვაჭარმა უთხრა სპარსელებს ერთ ფილმში. – ჯორჯიას ახსენდება საბჭოთა დროის ქართული ისტორიული ფილმი „ნიგნი ფიცისა,“ რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ ცდილობენ რუსეთთან დამეგობრებას სხვადასხვა ქართველი მეფეები და როგორ ებ-

რძვიან სპარსელებს თუ ოსმალებს. რუსეთში კახეთის მეფის წერილებით მიმავალ სომეხ ვაჭარს გზად სპარსელი მზვერავები დაიჭერენ და ისიც მაშინ ამბობს ამ ფრაზას, როცა მოკვლას უპირებენ. ჯორჯია ირონიულად წარმოსთქვამს ამ სიტყვებს, იმიტომ რომ ფილმი საბჭოთა დროშია გადაღებული და მასში გათვალისწინებულია საბჭოთა ხალხთა ურთიერთმშობის პრინციპები, რომელსაც მეტად მედიდურად და გაუბრალოებულად წარმოაჩენდა ხოლმე საბჭოთა პროპაგანდა.

გვ.93. რიცი – უძვირეს სასტუმროთა ქსელი მთელს მსოფლიოში.

გვ.93. ნიცაში მინდა – ამ გვერდზე პეტრე ჯაფარიძე თითქოს იხსენებს ამავე ავტორის მიერ დაწერილი წიგნის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ პერსონაჟს, ზაზა კობახიძეს, რომელსაც სხვის მაგივრად კლავენ. ის თითქოს ხვდება, რომ ისევე დაბოდიხლობს ლამით, როგორც ცხონებული ზაზა კობახიძე დაბოდიხლობდა და ცდილობს გაემიჯნოს მას, აქაოდა, მე არ მომკლავენო.

გვ.94. „ოჰ, ღამევ, ფიქრისა ჩემისაებრ ბნელო! არავინ იფიქროს ვახტანგა შალითურს სიკვდილის ეშინიაო.“ – პეტრე ჯაფარიძე კვლავ აერთიანებს წინადადებებს ორი სხვადასხვა ქართული წიგნიდან. „ოჰ, ღამევ...“ – ეს არის ფიქრი მეფის მონინაალმდეგე მამამზე ერისთავისა კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა.“ „არავინ იფიქროს...“ – ამ სიტყვებს წარმოსთქვამს მთვრალი ოფიცერი ვახტანგ შალითური, გამორჩეული ბრიყვული გამბედაობით, ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია.“ ამ ფრაზათა ძალაუნებური გაერთიანებით, ჯორჯია ცდი-

ლობს ქართული მოხერხებულობა და გამბედაობა შეუზავოს ერთმანეთს მისთვის მღელვარე ნუთებში.

გვ.94. ჩემი დაქალები, მისტერ ჯეფერს. – მერი ენი, ჩამოთვლის იმ ოთხ მეძავს, რომლებიც ასევე დახოცა მშიგნავმა ჯეკმა. ყველას გარეგნული აღწერილობა ნამდვილია.

გვ.95. მერი ჯეინი, მართლაც ლამაზი იყო... ნაღდად ირლანდიელი იქნებოდა, ისე არ გამიწევდა მისკენ გული. – მერი ჯეინ კელი, ყველაზე ლამაზი იყო მშიგნავი ჯეკის მიერ მოკლულ და დასახიჩრებულ მეძავთა შორის და კლიენტები მდიდრული უბნებიდანაც, ლონდონის დასავლეთიდან მოუდიოდნენ. ის მართლაც, ირლანდიელი იყო, ჯორჯიას კი იმიტომ თუ მიუწევს გული ირლანდიელებისკენ, რომ დაპყრობილი ქვეყნის შვილთა შორის არსებულ სოლიდარობას თუ გრძნობს. ინგლისურ-ირლანდიულ ისტორიას ერთგვარად ჩამოჰგავს ქართულ-რუსული ისტორიაც. ხოლო როგორც დიდმა ირლანდიელმა ბერნარდ შოუმ ინგლისურად შენიშნა, დაპყრობილი ქვეყანა კიბოიანი ავადმყოფივითაა, თავისი ავადმყოფობის გარდა მეტზე ვერაფერზე ფიქრობს.

გვ.96. ...ჩემ წინაშე ამოიმართა ცრუ პურიფერია, სინამდვილეში კი, იფრითი, და არ მომცა გზა-გასავალი, მომეცა მე ჯანი მეზარგულისა, ერთ დროს ბაღდადში რომ მოხვდა სამ უცნაურ ქალს შორის. გუნჯუთობისა იქაურობას აღარაფერი ეცხო და ვწვდი ყელში და შევყვირე:

– აი, შე ძალით იულ ბრინერო, შე ვითომ შინედ ო'კონორო, შენი ტრანსჩათლახი შუბა დავხიე! – რო-

გორც ვხვდებით, პიტერ ჯეფერსი აღმოაჩენს, რომ მე-
ძავი მერი ენ ნიკოლსი ქალი სულაც არ ყოფილა, არა-
მედ ტრანსვესტი და ეს აღაშფოთებს. რახან მეძავს თა-
ვი გადაპარსული აქვს და პარიკი ადევს, ჯორჯიას ახ-
სენდება ქაჩალი კინოვარსკვლავი იულ ბრინერი და
ირლანდიელი მომღერალი ქალი შინედ ო'კონორი, რო-
მელიც თავგადაპარსული დაიარებოდა. საერთოდ კი,
ეს ამბავი ჩვენს გმირს „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთი
ზღაპრის, „მებარგულისა და სამი ქალისაკენ“ წაიყვანს
და თხრობასაც იმ სტილში წამოიწყებს, ამ წიგნის სა-
უცხოო ქართული თარგმანიდან რომ ახსოვს. „იფრი-
თი“ ფანტასტიკური ბოროტი არსება გახლავთ და
„ათას ერთი ღამიდან“ დაუმახსოვრებია, „ჰურიები“
მუსლიმთა ანგელოზებად ახსოვს, რომლებიც სამოთ-
ხის კართან დაუხვდებიან ხოლმე ჭეშმარიტ მორწმუ-
ნეს, „გუნჯუთი“ კი ხილია, რომელსაც იმ საოცარ ზღა-
პარში მებარგული ქალის სარცხვენალს ადარებს.

გვ.96. ნურადინ ვეზირი – „ათას ერთი ღამის“
ზღაპრების გმირია.

გვ.97. შავტარიანი დანა – მეტად მნიშვნელოვანი
ნივთი ქართულ ზღაპრებში, ხშირადა ჩანს შელოცვის
და მარჩიელობის რიტუალებში.

გვ.97. სეკატორი – პირბასრი მაკრატელი, რომლის
ქართული დანიშნულებაც რომანშივეა ახსნილი.

გვ.97. მამაცის ღიღილო – იმავ მებარგულის ზღა-
პარში იმავესა ნიშნავს, ოღონდ ეგებ პირიქითაც. მეტის
შეტყობის მსურველს ზღაპრის გადაკითხვას ვურჩევდი.

გვ.97. განა აქ საყასბოა ენკავედესი? – ენკავედე, შინსახკომი, ჩეკა, ოგეპეუ, უშიშროება, კაგებე, ეს ყველა სახელებია საბჭოთა პოლიტიკური და საიდუმლო პოლიციისა, რომლის სარდაფებშიაც ხალხს ხვრეტდნენ და აწამებდნენ.

გვ.97. ...საქონლის ხორცს, ბაზრის მოედანზე რომ უნახავს ბოკას-ხელმწიფის გამოგზავნილი. – ჯეფერსის საშინელი წარმოდგენა. ცენტრალური აფრიკის იმპერატორი ბოკასა აგერ ახლა, კაცის ხორცს ჭამდა, კანიბალი გახლდათ.

გვ.97. გავუმტვრევ დარაბას აქაურ ნოქრებს. – ჯორჯია კვლავ აღმოსავლურ ყაიდაზე საუბრობს. დარაბა დუქნის დარაბას გულისხმობს, ნოქარი გამყიდველია. ანუ, მივლენ-მოვლენავ აქაურობას და ისე ნავალო.

გვ.98. შაჰრაზადი – „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების მთხრობელი ქალი, რომელსაც, როგორც კი ზღაპრები შემოათავდება, იქავ მოჰკლავს ხელმწიფე.

გვ.98. მიდი, ჯეკ, მიდი... – ბოროტ აჩრდილებს სურთ, მშიგნავ ჯეკად აქციონ ჯორჯია და ამიტომაც ჩასძახიან ყურში.

გვ.98. მან კი გამიღიმა და ხელი გამომინოდა:

– კოსტროვი. – კოსტროვი იყო ერთ-ერთი პარტიული ფსევდონიმი ქართული სოციალ დემოკრატიის ლიდერის, ნოე ჟორდანიასი. ჟორდანია მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. 1918 წელს, როცა საქართველომ რუსეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჟორდანია შეიქნა

მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წელს, როცა კომუნისტური რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს საქართველო, ჟორდანია საფრანგეთში გაიქცა და იქვე გარდაიცვალა 1953 წელს. ახალგაზრდობაში ის ბევრს მოგზაურობდა და სწავლობდა ევროპულ ცხოვრებას. ლონდონში არაერთხელ ყოფილა და უცხოვრია, იქაური ყოფის შესახებ წერილებსაც აქვეყნებდა ქართულ გაზეთებში. ის უპირისპირდებოდა საქართველოს რუსეთისგან გამოხსნისათვის მებრძოლებს, თუმცა მეტად პატიოსანი კაცი იყო. ენა ებმოდა. 98-ე-102-ე გვერდებზე გადმოცემული მისი შეხედულებები გამომდინარეობს მისივე ნაწერებიდან. ამ გმირის მეტყველება, აგებულია მისივე წერის სტილზე.

გვ.100. სტანცია ბეიკერ სტრიტზე – ბეიკერ სტრიტი მსოფლიოს უძველესი მეტროს სადგურია. იმავე ქუჩაზე შერლოკ ჰოლმსის მუზეუმი.

გვ.100. მოვიხედე და რას ვხედავ? სდგას ჩემი კაი ნაცნობი. ნიკოლოზ ლენინი. – ლენინთან ეს შეხვედრა ლონდონში ნოე ჟორდანიას აღწერილი აქვს თავის წიგნში „ჩემი წარსული“.

გვ.100. ერთი ბლანკისტი მოღვაწეა. – ოგიუსტ ბლანკი, განთქმული ფრანგი მემარცხენე რადიკალი, რომლის იდეებსაც დიდად დაესესხა სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების ლიდერი ლენინი.

გვ.100. ამხანაგო კოსტროვ, თქვენ, ქართველები რატომ ერევით ჩვენს საქმეებში? გვაცალეთ ჩვენ, რუსებს, რუსულად გადავწყვიტოთ რუსული საქმეები.“ – ასე უთქვამს ლენინს ჟორდანიასთვის იმ ლონ-

დონური შეხვედრის დროს. საქმე ის არის, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები დიდი ძალა იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ოღონდ წარმოადგენდნენ ლენინის მოწინააღმდეგე, მენშევიკურ მიმართულებას.

გვ.100. აბა, რათ ჰყოფს ქართველებს რუსეთისგან? – ქართული სოცალ-დემოკრატია წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარ იდეად ხალხის და არა ქვეყნის თავისუფლებას აღიარებდა.

გვ.101. გონების ინკვიზიცია – „გონების ინკვიზიტორს“ ჟორდანია უწოდებდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიას.“

გვ.101. ადამ სმიტი – დიდი ინგლისელი ეკონომისტი.

გვ.101. მეტ-ფასი – ნოე ჟორდანია ასე თარგმნის პოლიტიკონომიურ ტერმინს, რომელსაც საბჭოთა დროებაში უწოდებდნენ ზედმეტი ღირებულების კანონს.

გვ.102. „საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა გამოჩენილი ხიმიკი ლავუაზიე, მაგრამ რევოლუცია ამისთვის არავის დაუგმია.“ – ეს სიტყვები ჟორდანიამ დაწერა რუსეთის პირველი რევოლუციის მიწურულს, როცა სოციალ-დემოკრატმა ტერორისტმა გლეხებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

გვ.103. ჯონ ბობიტი ხარ? – ჯონ ბობიტი მგონი პორნოვარსკვლავი, თუ რაღაც ამგვარი იყო.

გვ.103. ალფრედ დუგლასი – იხ. შენიშვნა 68-ე გვერდზე.

გვ.104. ჩვენ იარაღის სიყვარული სისხლში გვაქვს. – კავკასიელები იტყვიან ხოლმე, ჩვეულებრივ, რუსებთან ლაპარაკისას, ან რაიმეს გასამართლებლად.

გვ.104. მერი ენი რობინ ჰუდის ცოლს ერქვა. – ლეგენდარული ინგლისელი ყაჩაღის, რობინ ჰუდის შესახებ დარჩენილ თქმულებებსა და ბალადებში, მართლაც სჩანს მისი მიჯნური მერიენი, ოღონდაც ინგლისურად მერი ენ და მერიენ, ორი სხვადასხვა სახელია.

გვ.104. 1888 წლის 31 აგვისტოს... – სემი უამბობს ჯორჯიას მშიგნავი ჯეკის ამბავს.

გვ.105. მიხაილ ოსტროგი, ალექსანდრ პედაჩენკო. – ეს რუსები ეჭვიმტანილნი იყვნენ, მშიგნავ ჯეკობაში.

გვ.106. ჰანბერი სტრიტი – ასევე ისტ ენდშია, მშიგნავი ჯეკის მარშრუტზე.

გვ.106. გოგსში ფედერაციული გერმანიის გამოფენა იყო – გოგსი აბრევიატურაა, საბჭოთა დროებაში უცხოეთთან საზოგადოებრივი ურთიერთობის დანესებულებას ერქვა. იმ გოგსის შენობაში ახლა ამერიკის საელჩოა.

გვ.106. ალექსანდროვის ბალი – იგივე ალექსანდრეს ბალი, რუსთა იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელდარქმეული. ძველად ყაბახი ერქვა. ზედა მხრით ქაშვეთის ეკლესიას ებჯინება, ქვედათი მშრალ ხიდს,

რომლის კიდეზეც არის ამერიკის საელჩო თბილისში.

გვ.106. კისლოვოდსკი – მინერალური წყლებით განთქმული კურორტი რუსეთში.

გვ.107. მე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ქურდით სროლა. – მაშინ მართლა არ ვიცოდი, რომ ქურდი მხოლოდ რალაცის მპარავს არ ნიშნავს და ეს არის დამნაშავეთა კასტის მეთაური, შეკრული ათასგვარი ქცევის წესებით, რომელსაც ძველად რამკები (ჩარჩოები) ერქვა, მერე კი კანონები. ის მთვრალი კაციც, ალბათ იმ ძველ ქურდებს გულისხმობდა, რომლებსაც ხშირად უწევდათ სროლა.

გვ.107. სტირლინგ სილიფანტი – ძველი დროის განთქმული ამერიკელი რეჟისორი.

გვ.107. – „ათ ზარში“ მივდივართ.

– მანდ უყვარდა ჯდომა. იღებდა კათხას, თვლემდა და აგრე იგონებდა თავისი პიესების სიუჟეტებს. – როგორც მოგახსენეთ, ლუდხანა „ათი ზარი“ შეტანილია ლონდონის მშიგნავი ჯეკის ტურისტულ მარშრუტში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამოუცნობი მკვლელი ეგებ ამ ლუდხანაშიც მჯდარიყო ხოლმე და აქედან ადევნებოდა მსხვერპლს. „იღებდა კათხას, თვლემდა და ასე იგონებდა...“ ეს არის ფრაზა კონსტანტინე გამსახურდიას ესეიდან „ჰენდრიკ იბსენ,“ დიდი ნორვეგიელი დრამატურგის შესახებ.

გვ.107. მე მინახავს ჰერმან სტრუკის მიერ დახატული ნორვეგიის თეთრფაფრიანი ლომი ჰენდრიკ იბსენ. – ჩანს, ჯორჯიას კარგად ახსოვს კონსტანტინე

გამსახურდიას ხსენებული ესსე, რადგან ჯერ სემს ათქმევინებს ნაწყვეტს იქედან, მერე კი თვითონაც ამბობს, თუმცა, ერთგვარად სახეცვლილს. ალუზიას ლუდის კათხა უნდა იწვევდეს.

გვ.108. ვაიტჩიპელი – ამავე სახელწოდების ეკლესიის მიდამო ისტ ენდში, სადაც ძველ დროში მეძავეები ჩამოდგებოდნენ ხოლმე.

ბარრაკა იარრო!!!

გვ.109. ბარრაკა იარრო!!! – თავს სათაურად აქვს გაუგებარი სიტყვები, უფრო კი შეძახილი, ან საბრძოლო ყიყინა, ან კიდევ, ჭყვივილი. „ბარრაკა იარრო!!!“ – თავისთავად არც არსებობს და არც რამეს ნიშნავს. ეს არის დამახინჯებული სახელი ერთი ადგილისა, რომელიც არგენტინაში მდებარეობს, თუ მდებარეობდა. იგი ამოღებულია XIX საუკუნის არგენტინელი განმანათლებლის და პოლიტიკოსის, ფაუსტინო დომინიკო სარმიენტოს წიგნიდან, „ცივილიზიაცია და ბარბაროსობა, ანუ ფაკუნდო კიროგას ცხოვრება.“ ადგილს სინამდვილეში ჰქვია ბარანკა იაკო, თუმცა „შენს თავგადასავალში“ დამახინჯებულადაა წარმოდგენილი, რის მიზეზსაც ამ თავის ნაკითხვა სჭირდება.“

გვ.109. ჰაიგეიტელ ბებერსაც – ამ სახელით, სემი მოიხსენიებს კარლ მარქსის აჩრდილს. სემის მოწმობით სწორედ ის არის აჩრდილთა უსტაბაში. ამ მოწმობის ახსნა სრულიად იოლია, რადგან ჯორჯიას თავში მოტრიალე კომმარებში ის კაცია ყველაზე საშიში, ვისი სახელის ძახილითაც შეიქმნა საბჭოთა კავშირი და საკ-

ვირველიც არაა, რომ ეს თავისთავად ალბათ, მეტად ჭკვიანი და დარდებით და ამოცანებით შენუხებული კაცი ყოფილ საბჭოელ ჯორჯიას ნამდვილ ურჩხულად, თავის მთავარ გამაუბედურებლად დაესახება. მარქსი იყო ასევე პირველი ადამიანი, ვისაც ძეგლი დაუდგეს საბჭოთა კავშირში.

გვ.109. უუსაკი – ალექსანდრ დიუმას რომანის „სამი მუშკეტერი“ მეთეხარისხოვანი პერსონაჟი, რომელსაც სასიკვდილოდ დაჭრის დ'არტანიანი.

გვ.109. ნახდა აჩრდილთა საქმე, განსაკუთრებით ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტი წლის შემდეგ. – დე უუსაკის პირით კვლავ გაისმის საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე სისხლიანი წელიწადის შეხსენება. აქ ის თუ იგულისხმება, რომ აუტანელმა სისხლმა და დახოცილთა სიმრავლემ აჩრდილთა საუფლოს იმგვარი ზრდა გამოიწვია, რომ ძირფესვიანად შეცვალა მათი არსებობის წესები. თანაც, ისიც სათქმელია რომ აჩრდილებად მეტად საშიშარი ადამიანები გარდაისახნენ. ვთქვათ მიქსიმილიან რობესპიერი. რომელთა სააჩრდილოში ყოფნამაც სიბოროტე გააძლიერა.

გვ.110. კლოშარი – საფრანგეთში ლოთსა და მანან-ნალას ეტყვიან. განსაკუთრებული კასტაა.

გვ.111. ღვინოს არ მიირთმევთ? კლერის შუშხუნას... ნოჟოლეც შეიძლებოდა. – შედარებით იაფი ფრანგული ღვინოები გახლავს. კლერის შუშხუნა, იგივე კლარეტი, იგივე კლედეტი თუ იგულისხმება. პატარა ქალაქ დიში მითხრეს, ჩვენი ალაგი კლარეტის სამშობლოაო. კაი რიტინა შუშხუნა ღვინოა.

გვ.112. კლოდინ – დე ჟუსაკიც ცოლსა ჰქვია. ასე ერქვა იმ სახლის პატრონს, სადაც ვცხოვრობდი, ქალაქ დიში, დრომის პროვინციაში, სამხრეთ საფრანგეთში.

გვ.112. რალა თქვენ და რალა ჰალიფაქსელი მოჭიდავეები. – სემი იმ შეხვედრას იხსენებს, ამ წიგნის მეორე თავში რომაა აღწერილი.

გვ.112. ეს „ფრანგი“ განსაკუთრებით აგდებულად წარმოთქვა. – ინგლისელთა და ფრანგთა შორის კატათაგვობანა და ერთმანეთის არსიყვარული ძველთაგანვე ცნობილია. ინგლისელები ათას ცუდ რამეს ხშირად „ფრანგულს“ უწოდებდნენ, ვთქვათ, სიფილისს „ფრანგულ ავადმყოფობას“ ეტყოდნენ. დაგლას ჯეროლდმა კი ერთხელ თქვა, საუკეთესო, რაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის არის, ზღვა გახლავთო.

გვ.113. როდემდე კლოდინ... – დე ჟუსაკის ეს შეძახილი ჯორჯიას თავში ეგებ ერთი საბჭოთა ფილმიდანაც მომდინარეობდეს, რომელსაც „უდაბნოს თეთრი მზე“ ჰქვია. იმ ფილმში, მამაც გადამდგარ მეზაჟეს ვერეშჩაგინს ცოლი ნყალში გადაუყრის იარაღს, რათა ეს უკანასკნელი შორიახლოს ატეხილ ბრძოლაში არ ჩაებას.

გვ.114. ნოტინგ ჰილი – ლამაზი უბანია ლონდონის დასავლეთში.

გვ.114. „აჩრდილი დაძრწის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა...“ – ამ სიტყვებით იწყება მარქსის კომუნისტური პარტიის მანიფესტი.

გვ.114. ვინც არ არის დამალული, ჩემი ბრალი არ

არის. – ეს სიტყვები წარმოითქმის საქართველოში, დამალობანას თამაშისას.

გვ.114. – ჩვენ ეგ ტიპი უნდა წამოვიხიოთ?..

– ხინკლის ჩეკივით, პატივცემულო მასწავლებელო. – ხინკლის ჩეკივით წამოხვევა საბჭოთა დროის თბილისური გამოთქმაა. იმ დროისა, როცა სახინკლეში შესული კაცი წინდანინვე იხდიდა შეკვეთილი ხინკლის ფულს, სანაცვლოდ კი ქალაქის ჩეკს აძლევდნენ. როცა ხინკალი მზად იყო, ჩეკს დახლიდარს გაუნვდიდი და ისიც უდარდელად ჩამოაცვამდა, ანუ წამოახვედა საგანგებო ხელსაწყოზე, ფანერის სადგამიდან ამოჩრილ, ბოლონამახულ მავთულზე. დოქტორ ფრეიდს აღარ შევანუხებთ, ხინკლის ჩეკივით წამოხვევა კი ვილაციის დამარცხებას ნიშნავს, რაც საინტერესო პარალელად ჩანს, სულხან-საბას მიერ მოცემულ სექსის აღმნიშვნელ სიტყვის განმარტებასთან: „კაცის მიერ ქალის დამდაბლება.“

პატივცემულო მასწავლებელო – ასე უნდა მიემართა საბჭოთა მოსწავლეს მასწავლებლისთვის.

გვ.114. ვინა ხარ, მაიკლ ჯექსონი? – აქ სემი იმას თუ გულისხმობს რომ ნახსენები პოპ-ვარსკვლავის შოუებში ძალიან ბევრი სინათლის თამაში დაულანდავს.

გვ.114. – შენ მე მიცნობ? – ასძახა სემმა იმგვარად, რომ ვიფიქრე: გოდერძი, შვილო... – ჯორჯიას ახსენდება საბჭოთა დროის ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, სადაც უბრალო ქართველი გლეხი შვილის მოსანახულებლად გაემგზავრება მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ ფრონტზე, ვერ იპოვნის და თავადაც ჯარისკაცი გახდება. ფილმს ტრაგიკული ფინალი აქვს:

ომის მიწურულს მამა შვილს შუაგულ ბრძოლისას მიაგნებს. შვილი ერთი შენობის ზედა სართულზე გამაგრებულია, მამა კი ქვემოდან უტევეს, მტერი ამ ორთა შუაშია მოქცეული და მამა და შვილი ჩამოვარდნილი სიჩუმისას, გადაძახილით იცნობენ ერთმანეთს. ამ გადაძახილისას შვილს მტერი ესვრის და მამაც მაშინ შესძახებს: გოდერძი, შვილო...

გვ.115. – ვინ ხარ?

– **ჟენი ფონ ვესტფალენი.** – ჟენი კარლ მარქსის ცოლი იყო. რახან აჩრდილთა მეუფე თავს ისე წარადგენს, როგორც ვილაცის ქმარს, ავტორს ამით იმის წარმოჩენა თუ დაუპირებია, რომ უზომო ძალის მიუხედავად, მას მაინც ექნება სუსტი ადგილი, ისეთი, როგორიც ბოროტ ჯადოქრებს აქვთ ხოლმე ზღაპრებში. კავკასიური გაგებით, კაცი რომ იტყვის, ამის და ამის ქმარი ვარო, ქალაჩუნა გახლავთ და სიმართლე ითქვას, არც იტყვის არასდროს. თუმცა, ავტორის ეს ფანდი, ფრიად გულუბრყვილოა.

გვ.115. **ჯორჯ ელიოტი** – ინგლისელი რომანისტი ქალი. ჩვენის ამოცნობით მეტად მოსაწყენი მწერალი.

გვ.116. „წისქვილი ისეთი ადგილია, სულ ფიქრობს კაცი...“ – ჯორჯია აყრანტალებს სიტყვებს, რომელსაც ჟანდარმერიის მიერ მოსყიდული მენისქვილე წარმოთქვამს უკვე ნახსენებ რომანში, „დათა თუთაშხია.“ მენისქვილესთვის კეთილშობილ აბრაგ თუთაშხიას მოკვლა დაუვალეებით, მაგრამ ამან ფანდი ამოუცნო და იარაღი აართვა. ამ დაყრანტალებით ჯორჯია დასაბამს აძლევს აჩრდილისა და სემის დიალოგს, რომელიც ამ რომანიდანაა გადმოტანილი. არსობრივი მიზეზი ამ

ციტატისა გამოკვეთილი არ არის. კეთილშობილი აბრაგის როლს ამ შემთხვევაში ავი აჩრდილი ასრულებს, გულბოროტი მენისქვილისას კი პირკეთილი სემ ფილიპსი. ალბათ დამნერს უნდოდა ეთქვა, რომ არის ადგილები, სადაც როლები იცვლება და იმის აღნიშვნაც სწადდა, რომ ჰაიგეიტელმა, რომელიც ეგებ ჩვენი საერთო-სახალხო ბიძაც იყოს და მხოლოდ პირობითად ერქვას უენი ფონ ვესტფალენის ქმარი, ყველაფერი იცის ჯორჯიას განცდებისა.

გვ.116. შენ რომ გისმინოს კაცმა... – აჩრდილის ეს მონოლოგი მხოლოდ სახელთა ცვლილებით ზუსტად იმეორებს იმას, რასაც იარაღმომარჯვებული აბრაგი დათა თუთაშხია ეუბნება მენისქვილე ბონიას მას შემდეგ, რაც მის ჩანაფიქრს ამოიცნობს.

გვ.116. „აგერ, ა, და მესროლე.“ – აჩრდილი ისე იქცევა, როგორც აბრაგი იმავე წიგნში: თუთაშხია შეშინებულ მენისქვილეს სთავაზობს, მომკალიო.

გვ.116. „სხვას ვფიქრობ მე...“ – სემიც ზუსტად ისე პასუხობს აჩრდილს, როგორც მენისქვილე აბრაგს.

გვ.116. ბეზიკი – ფრანგული ბანქოს თამაშია. როდესაც „შენი თავგადასავალი“ გაზეთში იბეჭდებოდა სულ სხვა სათაურით, იქ ამ თამაშის წესები გადმოცემული იყო, წიგნიდან კი ამოვიღე.

გვ.117. – თქვენ კომანდორი ხართ?.. ჰო, ისა, ხელს რომ ჩამოართმევს და კვდებიან. – ჯორჯიას ახსენდება დონ ჟუანის ამბავი, ქვრივ დონა ანას მკვდარი ქმრის ქანდაკება რომ წამოადგება თავს და ხელს რომ

უნვდის. ეს მეტად მკვეთრად არის აღწერილი პუშკინის „ქვის სტუმარში,“ თუმცა სხვა დონჟუანობებშიც დიახაც საინტერესოა. მინიშნება არ არის დაკავშირებული ბაირონის „დონ ჟუანთან,“ თუმცა, შეგვიძლია დავაკავშიროთ.

გვ.118. „ასე მთავრდება ამბავი გრიფინისა“ – ეს წინადადება დამახსოვრებულია ჯ.პ.უელსის რომანიდან „უჩინარი კაცი.“ გრიფინი იმ მთავარ პერსონაჟს ჰქვია, რომელიც შეიმუშავებს უჩინმარინობის ხერხებს, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ მისი გამოკვლევები ამ საკითხზე უბირი კაცის ხელში ხვდება და ამიტომ, მეცნიერი ვერავინ ნაიკითხავს. იხ. შენიშვნა მე-8 გვერდისა.

გვ.118. „ფული-საქონელი-ფული“. – უნივერსიტეტში, პოლიტიკონომიის კურსიდან დამახსოვრებული ფრაზა „ზედმეტი ღირებულების კანონთან“ ერთად. მარქსი არის ავტორი დიდი გამოკვლევისა „კაპიტალი,“ რომელსაც ხსენებულ ლექციებზე გვასწავლიდნენ, თუმცა არავინ სწავლობდა ხეირიანად, ყველაზე მონდომებულებიც კი.

გვ.118. ფოიხცვან, ფოიხცანგ, ფოირბახ, ბახ, ურტახ, რედლიხტ... – თითქოსდა ჰაიგეიტელი გერმანული ჟღერადობის სიტყვებს ბუტბუტებს. ამ სიტყვებში გაკრთება ფილოსოფოს ლუდვიგ ფოიერბახის გვარი. მარქსის ნაშრომია „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული.“ „ბახ“ – არ ნიშნავს იოჰან სებასტიან ბახს. გაისმის ასევე სიტყვა „რედლიხტ“ – ნითელი შუქი. ამ სიტყვას რომ ეტყვი ტაქსისტს გერმანიის მხარეში, მეძავების და ბორდელების, მოკლედ, ნითელი ფარნების ქუჩაზე მიგიყვანს.

ანუ ჯორჯიას კვლავაც ახსოვს თავს გადამხდარი ფათერაკი მეძავეების ბინაზე.

გვ.118. „ეს იყო დრო, როცა საფრანგეთის ტახტზე იჯდა კაცი...“ – ერთგვარი გამეორება ჩარლზ დიკენსის რომან „ორი ქალაქის ამბავის“ პირველი წინადადებისა. რომანი ასევე საფრანგეთის რევოლუციის თაობაზეა დანერილი და პეტრე ჯაფარიძეს არ შორდება სარევოლუციო, სისხლიანი განწყობა.

გვ.118. „პირჯვარი გადაისახე, არა მოგელანდოს რა.“ – სიტყვები, რომლებსაც ყარაჩოლელი გიჟუა წარმოთქვამს განთქმულ ქართულ ფილმში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელიც ავქსენტის ცაგარელის ამავე სახელის პიესის მიხედვითაა გადაღებული. გიჟუა ამ სიტყვებს მუქარით წარმოთქვამს.

გვ.118. „მოგზაურობა სახიფათო იქნება“. – ჰაიგეიტელმა დილიჟანსში ჩასვა ჯორჯია, რომელსაც ცხადია, ახსენდება ონ ფორდის კლასიკური ვესტერნი „მოგზაურობა სახიფათო იქნება“, რომლის სათაურიც საბჭოთა კავშირში იყო „დილიჟანსი.“

გვ.119. „ტომ! – პასუხი არ არის, ტომ! პასუხი არ არის...“ – მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ პირველი სიტყვები. დეიდა პოლი ონავარ ტომს დაეძებს.

გვ.120. „რომის ცივილიზაციის ერთადერთი მიღწევა არის მის დაპყრობათა ისტორია“. – დიდი ფრანგი მწერლის, რომენ როლანის სიტყვებია.

გვ.120. მისის ვოინიჩი... მისის ბიჩერ სტოუ. – მეც-
ხრამეტე საუკუნის მწერალი ქალები: ლილიან ეტელ
ვოინიჩი ინგლისელი იყო, ჰარიეტ ბიჩერ სტოუ კი ამე-
რიკელი იყო და თითქმის ას წელიწადს იცოცხლა, 1960
წელს გარდაიცვალა ნიუ იორკში.

გვ.121. „Gedfly“ და „Uncle Tom’s Cabin“ – „კრაზა-
ნა“ ვოინიჩის რომანია იტალიის ავსტრიელთა უღლის-
გან განმათავისუფლებელ გმირზე, „ბიძია თომას ქოხი“
კი ზანგი მონის გაუხარულ ყოფაზე მოგვითხრობს ამე-
რიკის სამხრეთში. ორივე წიგნი არანორმალურად გავ-
რცელებული იყო საბჭოთა კავშირში მათი სოციალურ-
პოლიტიკური არსის გამო და ბევრი ბავშვისთვის „ბი-
ძია თომას ქოხი“ იყო პირველი წიგნი, რომელიც წაი-
კითხა. მე პირველი რაც წავიკითხე, იყო ენ ჰოგარტის
მოთხრობები ჩოჩორ მაფინის შესახებ, მაგრამ მახ-
სოვს, რომ გვერდით მედო „ბიძია თომას ქოხის“ 50-ია-
ნი წლების გამოცემაც, რომელსაც გაძვალტყავებული,
ბორკილებიანი მონა ეხატა. ეს წიგნი ახლაც მაქვს.
მთელი „ბიძია თომადან“ მომწონდა ერთადერთი თავი,
რომელშიაც აღწერილი იყო, როგორ გარბიან პისტო-
ლეთიანი მონები კანადაში. მახსოვს ერთადერთი პერ-
სონაჟის სახელი, რომელსაც ელზა ერქვა. წიგნი დამ-
თრგუნველად მოქმედებდა მოზარდზე, თუმცა მოზარ-
დულ საკითხავად ითვლებოდა. არანაკლებ დამთრგუნ-
ველი იყო „კრაზანაც“, სადაც მთავარი რევოლუციო-
ნერი, კარდინალის შვილი იყო, ოლონდ ეს არ იცოდა და
ნაიარევი, კოჭლი და საშინელი რადიკალი გახლდათ.
მისი სახელი არც კი მაგონდება. სიყვარულის ამბავიც
მეტად დამთრგუნველი იყო.

გვ.121. მე თქვენი საბჭოეთში ადაპტირებული... –

საბჭოთა დროში დიდად იყო გავრცელებული „კრაზანასა“ და „ბიძია თომას ქოხის“ ინგლისურენოვანი, ადაპტირებული გამოცემები, თანდართული ლექსიკონებით და მათ ხშირად მოიხმარდნენ ინგლისურის რეპეტიტორები, საკითხავ-სასწავლო წიგნებად.

გვ.121. გრიგორი კოტოვსკიზე დამინერე წიგნი და ეს გრიგორი კოტოვსკი, ანუ ბესარაბიელი ყაჩაღი წარმომადგინე ლამის ბერძენ მოჯანყეთა თავგანწირულ დამცველად. – ჯორჯია კვლავ უტევს საბჭოთა პროპაგანდისტულ მანქანას და „კრაზანას“ გმირს ადარებს კოტოვსკის, რომელიც საბჭოთა დროებაში ქედუხრელ რევოლუციურ მეთაურად იყო წარმოდგენილი ფილმებსა და წიგნებში, პერესტროიკის დროს კი დაწერეს, რომ ბანდების მეთაური იყო და კომუნისტებთან მხოლოდ პირადი საჭიროების მიხედვით თანამშრომლობდა. „ბერძენ მოჯანყეთა დამცველში“ კი ჯორჯია ალბათ გულისხმობს ლორდ ბაირონს, რომელიც ასევე მთელი გულით ეხმარებოდა იტალიელ პატრიოტებსაც ავსტრიელთა წინააღმდეგ. ჯორჯიას აბრაზებს ის, რომ კრაზანა გმირადაა წარმოდგენილი, როცა ბაირონი არსებობს. მას, აგეთვე ახსოვს, რომ ბიჩერ-სტოუ ბაირონის შესახებ დაწერილი პასკვილის ავტორია.

გვ.121. კენდლინის სამტომეული – ინგლისურის სასწავლო ძველი სახელმძღვანელო.

გვ.121. „მოზი დიკი“ – რომანი ჰერმან მელვილისა, რომლის ნაკითხვასაც ადრეული ასაკიდანვე ცდილობდა პეტრე ჯაფარიძე, მაგრამ ვერ ერეოდა სისქისა და თხრობის სტილის გამო. ისე გამოვიდა, რომ ბარე ათ

წელიწადს კითხულობდა ამ წიგნს, თუმცა, როგორც კი დაასრულა, ხელახლავე დაიწყო და ნამდვილად შეიქნა მისი საყვარელი რომანი.

გვ.121. დედოფალი ელისაბედი – საუბარია ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს ფოტოზე. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ბრეჟნევის დროის თბილისში ინგლისური ენის განთქმულ რეპეტიტორთა სახლებში, სადაც ისინი თავიანთ მონაფეებს ამზადებდნენ, მეტად თავისებური ვითარება სუფევდა. ეს სახლები არ ჰგავდა საბჭოთა სახლებს არც იერით და არც განწყობით. ინგლისსა და ამერიკაში სტაჟირებაზე, ან სხვა რამ პროფესიასთან დაკავშირებულ საქმეზე ყოფნა საკმარისი იყო, რომ ამ ადამიანებს, რომელთა სრული უმრავლესობაც შუახნის ქალი იყო, სულ სხვა ქარები შემოებერთათ შენს თავში. სხვა საქმეა, რომ ინგლისურის ცოდნის საჭიროება ნაკლებად არსებობდა და ხშირად ამ ენებში მეცადინეობა კერძო მასწავლებლებთან ლათინურისა და ძველბერძნულის, სხვანაირად მკვდარი ენების სწავლას ჰგავდა. უფრო დანერვილებით ამ ქალბატონთა თაობაზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ ამავე ავტორის წიგნში „ძირს სიმინდის რესპუბლიკა.“

გვ.122. „კოლხეთი“ – ქართული სიგარეტია, საბჭოთა დროისა, მოკლეფილტრიანი, 60 კაპიკი ღირდა.

გვ.122. თქვენნაირებმა დახვრიტეს პრინცი სინთარდხი. – დეიდა ეტელი მიანიშნებს კოლონიური ჯარების მხეცობებზე ინდოეთში. პრინცის სახელი მოგონილია, იგი მსუბუქად მიგვახედებს ერთი გერმანული წიგნისაკენ.

გვ.122. – „ჩვენთან მთებია... აქლემის კუზები-
ვით... – მთები არ ჰგავს აქლემის კუზებს, არამედ
თეთრ სპილოებს“. – ჯორჯიას კვლავ ახსენდება ცნო-
ბილი ფილმი „მიმინო“, სადაც მძლოლი ხაჩიკიანი ცდი-
ლობს რუს ტელეფონისტ გოგოს აუხსნას, რომ კავკა-
სიაში მთებია. რუსმა თითქოს არ იცის რა არის მთა და
ხაჩიკიანი ეუბნება, აქლემის კუზს ჰგავსო. დედიდა
ეტელს კი ახსენდება ჰემინგუეის მგონი იტალიური
მოთხრობის სათაური, „თეთრი სპილოების მსგავსი
მთები.“

გვ.122. „ჩვენთან წყალიც ისეთია, რომ მხოლოდ
სან-ფრანცისკოსი სჯობს“ – ამასაც ხაჩიკიანი ამ-
ბობს ფილმ „მიმინოში.“

გვ.123. სან-ფრანცისკო... მექსიკური ქალაქია. –
ამ დეიდების დროს მართლაც ასე იყო.

გვ.123. „მწვანე ნიანგი არ იშოვება, წითელი კი
თავზე საყრელია.“ – ფილმ „მიმინოში“ ხაჩიკიანი შვი-
ლისათვის მწვანე სათამაშო ნიანგს ეძებს მოსკოვის მა-
ლაზიებში, მაგრამ ვერ შოულობს, წითელი კი არ უნდა.

გვ.123. პამპაში ვართ... კორდობის უნივერსიტეტი-
ში მივდივართ ლექციების წასაკითხად. – ჯორჯია
ძნელად იჯერებს რომ არგენტინაშია, პამპასებში.
კორდობის უნივერსიტეტი უძველესია არგენტინაში.
ისევე, როგორც ამ თავის დასაწყისში, ამბები კვლავ
უახლოვდება სარმიენტოს ნიგნს „ცივილიზაცია და
ბარბაროსობა.“

გვ.123. თქვენ სუზან ს(ზ)ონტაგი ხომ არ გქვიათ?

– ჩვენი დროის განთქმული მწერალი ქალია, რომლის ლექციებზე დასწრებასაც რამდენიმე წლის წინათ აპირებდა ავტორი, თუმცა მისი ესეე ნაიკითხა და აღარ დაესწრო.

გვ.124. ოსკარ შმიდტი მქვია... თევზები თუ არის ამ ტბაში? – ოსკარ შმიდტად წარუდგენს თავს თავისი სკოლების დედას ჰოლდენ კოლფილდი ჯერომ სელინჯერის რომანში „თამაში ჭვავის ყანაში.“ თევზები თუ არის ამ ტბაშიო, ასევე ჰოლდენი ეკითხება ტაქსისტს ნიუ იორკში. ოსკარ შმიდტი განთქმული ბრაზილიელი კალათბურთელიც იყო, თუმცა, არა მგონია ჰოლდენს გაეგონა მისი სახელი, იმ დროს, როცა „თამაში ჭვავის ყანაში“ დაიწერა, ეს ოსკარი ბავშვი იქნებოდა. საერთოდ კი, საკვირველი არ არის, რომ ჯორჯიამ ჰოლდენ კოლფილდად წარმოიდგინა თავი. „თამაში ჭვავის ყანაში“ ალაღად პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში.

გვ.124. ვთქვათ, ელ ჩე? – რახან არგენტინაშია და თან რევოლუციის მოყვარულ ქალბატონებთან ერთად, ჯორჯია დიდ არგენტინელ რევოლუციონერს და რადიკალს, ერნესტო ჩე გეგარას იხსენებს.

გვ.124. ერთი-ორი, ფრედი მოვა შენთან. – გათვლა ამერიკული საშინელებათა ფილმიდან „კომმარო ვერხვების ქუჩაზე.“

გვ.124. ფრედი კრუგერი... ვიაზოვის ქუჩიდან. – ფილმ „კომმარო ვერხვების ქუჩაზე“ გმირი, სახედამწვარი მანიაკი მკვლელი. რუსულად ფილმს ჰქვია „კამმარ ნა ულიცე ვიაზოვ“ და ოდესღაც ერთი ქართული გაზეთის ტელეპროგრამაში პეტრე ჯაფარიძეს ამოუ-

კითხავს: „22 საათზე – მხ.ფ. „კომმარი ვიაზოვის ქუჩიდან,“ ანუ პროგრამის მთარგმნელს რუსული ჯეროვნად არ სცოდნია და „ვიაზოვ“ უბრალოდ ქუჩის სახელი ჰგონებია და არა ვერხვის რუსული შესატყვისი. ჩაკირკიტებით კი ის გამოვა, რომ მაშინ, როცა რუსთა ჯარმა თბილისის დემონსტრაცია დაარბია 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოეთის თავდაცვის მინისტრი იყო მარშალი იაზოვი და ჯორჯია ეგებ მასაც იხსენებდეს.

გვ.125. ადრე ფრედი ენგელსი ერქვა. – ფრიდრიხ ენგელსი მარქსის ახლო მეგობარი, თანამებრძოლი, თანაავტორი და განთქმული პუბლიცისტი იყო. ბევრი საინტერესო ნიგნი დაუნერია, მაგრამ საბჭოთა პროპაგანდამ ყველას ყელში ამოუყვანა ეს კაცი, ასე რომ, მისა და მარქსის ოჯახის შესახებ უნმანური ანეკდოტებიც კი გაჩნდა.

გვ.125. კარლო და ფრედი. – იხ. ზემორე შენიშვნა.

გვ.125. ერნესტოზე გეკითხები. – ჩე გევარა იგულისხმება.

გვ.125. ჩეს ხომ ყოველთვის მეოცნებე ნიამორად მიაჩნდა კარლო... ეს ყმანვილი კი კარლოს კაცია. – „მეოცნებე ნიამორები“ ქართულ დეკადენტ პოეტთა ჟურნალი იყო. ჩე გევარა, როგორც პრაქტიკოსი რევოლუციონერი ვითომდა მხოლოდ თეორეტიკოსად თვლიდა მარქსს და გააკრიტიკებდა კიდევცო, შიშობენ დეიდები. თანდათან კი თითქოს ირკვევა, რომ ჰარიეტი და ეტელი ჩე გევარასთან მიდიან.

გვ.125. აბემაილს დავარქმევთ. – აბემაილ გუსმა-

ნი პერუს ულტრამემარცხენე კომუნისტური მოძრაობის „სონდერო ლუმინოსოს“ მეთაური იყო.

გვ.125. ინგლისელებს ჩვენი მხარის აყვავება სწაღიათ... – მედუქნის ნალაპარაკევი თითქოს სრულიად ეხამება საქართველოში არსებულ ვითარებას.

გვ.125. გაუჩოები გენერლები გახდნენ. – გაუჩო არგენტინელ მწყემსთა განსაკუთრებული კასტაა, რომელმაც გვარიანი როლი ითამაშა ამ ქვეყნის სამოქალაქო ომებში. კვლავ მინიშნება სარმიენტოს ნიგნზე „ცივილიზაცია და ბარბაროსობა, ანუ ფაკუნდო კიროგას ცხოვრება.“ გენერალი კიროგა გაუჩო იყო.

გვ.126. მონტევიდეოში ჩამოხდით თუ ბაირესში. – მონტევიდეო ურუგვაის დედაქალაქია, ძველად აღმოსავლეთ არგენტინისა, ბაირესი, ბუენოს-აირესის შემოკლებული სახელია. ორივე ქალაქი მდებარეობს ლა პლატის ყურეს სხვადასხვა ნაპირზე.

გვ.126. პალერო დი ჟუჟუი – ჟუჟუი მდინარეა არგენტინაში.

გვ.126. სანტა კრუსი – ადგილია არგენტინაში.

გვ.126. ოლა – ესპანური ხორციანი კერძია ძველი.

გვ.126. პულპერია – არგენტინული დუქანი.

გვ.127. ძმები რივერები, დიეგო და დევიდ ალფრედო. – ორი მებრძოლის სახელები ისეა გამოყვანილი, რომ თითქმის სრულად იმეორებს დიდი მექსიკელი

მხატვრების დიეგო რივერასა და დავიდ ალფრედო სიკეიროსის სახელებს. ალბათ იმიტომ, რომ სიკეიროსი განთქმული კომუნისტი იყო და ახალგაზრდობაში მექსიკაში მცხოვრებ ლევ ტროცკიზე თავდასხმაშიც კი მონაწილეობდა. ლევ ტროცკი, გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი მის მექსიკაშივე მოკვლამდე რჩებოდა სტალინის უპირველეს მტრად.

გვ.127. ვექილი ბლანკო – მოგონილი პერსონაჟია.

გვ.128. სკორსეზე – ამერიკელი რეჟისორი მარტინ სკორსეზე.

გვ.129. ჯო პეში – ამერიკელი მსახიობი, ტანდაბალი და მეტად მოძრავი იერის შესუქებული კაცი, გარეგნობით კომიკოსი, სკორსეზეს ფილმებში სისხლისმსმელ სასტიკ განგსტერებს ასახიერებს.

გვ.129. მზადაა, სენიორ კიროგა... – პეტრე ჯაფარიძე ხვდება გაუჩოთა დაუნდობელ სარდალს, ფაკუნდო კიროგას, რომლის შესახებაც ნაუკითხავს სარმიენტოს წიგნი.

გვ.129. ნევადის უდაბნოში რომ მარხავს ვილაცუებს. – ამბავი სკორსეზეს ფილმიდან „კაზინო.“

გვ.130. ზარნავად არ გამომიყვანა? გახსოვს ზარნავა? – კიროგა დუქნიდან არ უშვებს ჯორჯიას, რადგან არ ერიდება, ამ ინგლისელმა ვინმეს არ შეატყობინოს ეს ამბავი იგივე განწყობისაა, რაც ეპიზოდი არაერთგზის ნახსენებ ქართულ რომან „დათა თუთაშხიაში“, სადაც აბრაგ დათა თუთაშხიას მასპინძლობს პოლიცი-

ასთან შეკრული გლეხი ზარნავა. ამ დროს ზარნავასთან სხვა სტუმრებიც მოვლენ და თუთაშხია მათ ადრე ისტუმრებს, თუ ვინმე აგედევნათ, თქვენვე აგედევნოთ, მე არ დამბრალდესო. ჩასაფრებულ პოლიციას ის სტუმრები თუთაშხია და მისი ხალხი ეგონება და სროლა ატყდება. ზარნავა კი თითქოს მათ დახმარებას ცდილობს და იარაღს წამოაგვლებს ხელს მას შემდეგ, რაც სროლა მორჩება. აბრაგი ხვდება, რომ ზარნავა შეკრულია, იარაღს დააგდებინებს და გარეთ არ უშვებს.

გვ.130. ლა რიოხა – არგენტინული პროვინცია, საიდანაც იყო ფაკუნდო კიროგა, რომელიც ერთხანს მართავდა კიდეც ამ პროვინციას, როგორც კაუდილიო.

გვ.130. უნიატები – 1820-იანი წლების არგენტინის სამოქალაქო ომში გამარჯვებულ ძალა გენერალ როსასის მეთაურობით. ეს როსასი ერთხანს დიქტატორი იყო, მაგრამ მერე ლიბერალთა ჯარებმა აჯობეს და ინგლისში გაიქცა, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე.

გვ.131. „ძმობა, ერთობა, თავისუფლება.“ – ფრანგული სარევოლუციო გამოთქმა, რომელიც ილია ჭავჭავაძესაც უხმარია თავის ნაწერში, თუმცა ქართული გამათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის ამჯობინებდა მის სხვა ნათქვამს; „ენა, მამული, სარწმუნოება.“

გვ.131. „რელიგია ან სიკვდილი“ – სარმიენტოს მონუმბით კიროგას საბრძოლო დროშას მართლაც ეს სიტყვები ეწერა.

გვ.134. ხორხე. ხორხე ინგლისელი. – შეიძლება რომ ეს იყოს ერთგვარი მინიშნება დიდ არგენტინელ

მწერალ ხორხე ლუის ბორხესზე, რომელსაც გვარში ინგლისელებიცა ჰყავდა. ბორხესი ამბობდა, ისეთივე არგენტინელი ვარ, როგორც ინგლისელი, ან შვეიცარიელი, ყველა იმ ქვეყნიდან ვარ, რომლის კულტურამაც დალი დამასვაო. სიყმანვილეში ბორხესი მშობლებთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობდა და ეგებ ამის ბრალიც იყოს, რომ ჯორჯიას პამპაში შეხვედრილი მედუქნე შვეიცარიელია.

გვ.135. მეტის მოსმენა შეუძლებელი იყო. – ეს მდარე მწერალი ქალები კითხულობენ ნანყვეტს საუცხოო მწერალი ქალის, ემილი ბრონტეს რომანიდან „ქუხილიანი ულელტეხილი“.

გვ.135. ძმები რივერები... განთქმული მღებავები ყოფილიყვნენ, მაგრამ რა უხილავთ შეკრებილი ლაშქარი ფაკუნდო კიროგასი, ფუნჯები და კასრები გზაზე დაეყარათ და მათ გაჰყოლოდნენ. – მინიშნება იმაზე, რომ დიეგო რივერა და დავიდ ალფერდო სიკეიროსი მხატვრები უნდა იყვნენ. ფუნჯების გზაზე დაყარა, და ლაშქარს გაყოლა კი მკრთალად მიგვახედებს ბულგაკოვის „ოსტატ და მარგარიტასკენ,“ სადაც პილატეს უამბობენ, როგორ დაყარა გადასახადების ამკრეფმა მათემ გზაზე თავისი დავთრები და როგორ გაედევნა გა ნოცრის.

გვ.138. ბარაკა იარო – უკვე ახსნილია, რომ იმ ადგილს ბარანკა იანკო ჰქვია. ისტორიულად ეს არის ადგილი, სადაც დიქტატორ როსასის დავალებით მოჰკლეს დილიუანსით მომავალი ფაკუნდო კიროგა, რომელმაც იცოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ და არ შეუშინდა.

გვ.139. რაღაც ინდიელური ბოძი დგას უდაბნოში, იქ უნდა ილოცონ. – ჯორჯიას აზრით, ეს ბოძი ჩე გე-ვარას ტოტემი უნდა იყოს.

გვ.139. „რა საოცარი ბაჭიები იყვნენ.“ – ფრაზა ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს წიგნიდანაა, „წერი-ლები ჩემი წისქვილიდან.“

გვ.140. „რატომ მიგყავს ჩვენი ბოცვრები?... თუ არა, გესვრით.“ – ჯორჯიას კვლავაც „დათა თუთაშ-ხია“ ახსენდება. დათა ცხენებს აართმევს საზიზლარ მკვლევებს და ისინიც ასე ეძახიან. ეს ყაჩაღები მხო-ლოდ ბოლოს გაიგებენ, რომ დათა თუთაშხია დათა თუთაშხიაა.

გვ.140. „მაგენს დამბაჩები აქვთ“ – ეს სიტყვებიც „დათა თუთაშხიადანაა.“

გვ.141. ხარაგაულის სადგური. – ჯორჯია ნანობს, რომ ვერ დაუმახსოვრებია გალაკტიონ ტაბიძის საუც-ხოო ლექსი, რომელშიაც ხარაგაულის, პანანინა ქარ-თული ქალაქის, დაფაბფაბებული სადგური ერთი სხარტი სტრიქონითაა აღწერილი.

გვ.142. „ჯარისკაცებო, ესროლეთ თქვენს სარ-დალს“. – კიროგა იხსენებს ნაპოლეონის შეძახილს, მას შემდეგ, რაც იმპერატორი ელბადან ჟუანში გადმოჟდა და თუ არა ვცდები (ალბათ ვცდები), გრენობლთან და-უძახა ბურბონთა, ანუ თავის ყოფილ ჯარისკაცებს, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოუშვეს: „ჯარისკაცე-ბო, ესროლეთ თქვენს იმპერატორს.“ ცხადია, არ ის-როლეს და ატირდნენ.

გვ.142. ოპო, მთელი დამკრძალავი კანტორა მო-
უყვანიათ. – პატარა ქალაქის რამდენიმე თავზეხელა-
ღებული მკვიდრი უარზეა, რომ მოხუცი ინდიელის
ცხედარი მათი ქალაქის სასაფლაოზე დაიკრძალოს.
კუბოს წასვენებას ვერავინ ბედავს და ორი მოხეტიალე
კოვბოი, კრისი და ვინი ითავენს ამ საქმეს და ბაღდა-
ხინს გაუძღვება. სასაფლაოს კარიბჭესთან შეიარაღე-
ბული კაცები დგანან და კრისი ამბობს: „მთელი დამ-
კრძალავი კომიტეტი გველოდება.“ ასე ხდება ჯონ
სტარჯესის ფილმში „შესანიშნავი შვიდეული.“ კირო-
გაც ერთგვარად იმეორებს ამ სიტყვებს, რადგან რო-
გორც კრისს, მასაც არ ეშინია თოფიანი კაცებისა. „შე-
სანიშნავი შვიდეული“ კი იყო უპოპულარულესი უცხო-
ური ფილმი 60-იანი წლების საბჭოთა კავშირში.

გვ.143. არ მესროლოთ, კიროგა ვარ! – სარმიენტო
ასე გვიამბობს, რომ როდესაც ეკიპაჟი გაჩერდა, კირო-
გამ ფარდა გადასწია სარკმელზე და დაიძახა: კიროგა
ვარ! ჯორჯიას კი ეს ეპიზოდი ახსენებს საქართველოს
ისტორიის ტრაგიკულ წუთს, როცა ტერორისტები წინ
გადაუდგნენ ილია ჭავჭავაძის ეტლს, მან შესძახა: არ
მესროლოთ, ილია ვარ! შედარება კიროგასა და ილიას
შორის ცხადია უხერხულია, მაგრამ კიროგას გზის ეპი-
ზოდი პეტრე ჯაფარიძეს საქართველოში ყველაზე
ცნობილ გზის ეპიზოდს ახსენებს.

გვ.143. „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკ-
ლისა.“ – გამიგონია, რომ ასე აწერია ქართლ-კახეთის
მეფის, ერეკლე II-ს ერთ-ერთ ხმაღს. ჯორჯიასაც ახ-
სოვს ეს სიტყვები, რაიც მუქარას ნიშნავს, თუმც ზუს-
ტად არ იცის, „ავის“ ნაცვლად „ხმალი“ ხომ არ უნდა
ენეროს?

გვ.144. იყო ცხოვრება ერთ დროს უბრალო და ლამაზი. – 144-147-ე გვერდებზე ჰაიგეიტელი თავისებურად უამბობს ჯორჯიას ადამიანთა შორის უთანასწორობის გაჩენის ამბავს. და თანასწორობისთვის ბრძოლის გარდუვალობას უსაბუთებს.

გვ.146. რატომ უნდა ჰქონოდა ერთს ნანვეტებული ქვა და მეორე შეეშინებინა? – ჯორჯიას ახსენდება სადღაც ნაკითხული მახვილგონივრული მოთხრობა უმბერტო ეკოსი, რომელსაც სათაურად მგონი „იარალი“ ერქვა და რომელშიაც გენერალი და მეფე საშინელი ძალის ახალ იარაღზე ლაპარაკობენ. ბოლოს ირკვევა, რომ ეს იარაღი ქვა ყოფილა.

გვ.147. „ისტორია კლასთა ბრძოლაა... საზოგადოება იყოფა ორ კლასად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად... წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის“. – საბჭოთა მონაფისა და სტუდენტისათვის მეტად ნაცნობი მარქსისტული ფრაზეოლოგია ძველი დროის სახელმძღვანელოებიდან.

გვ.147. ქ(ხ)ლოდვიგი – ფრანკების ბელადი იყო მეხუთე საუკუნეში, მას იმიტომ ახსენებს ჯორჯია, რომ სკოლის ისტორიის სახელმძღვანელო აგონდება.

გვ.147. საზოგადოებათმცოდნეობა – მარქსისტული საგანი, რომელიც საბჭოთა სკოლის მაღალ კლასებში ისწავლებოდა მგონი 70-იანი წლების მიწურულიდან.

გვ.148. კაპიტანი პერეს სანტოსი – კიროვას თანამედროვე სისხლისმსმელი ოფიცერი, რომლის ამბებიც

აღუნერია სარმიენტოს „ცივილიზაციასა და ბარბაროსობაში.“

გვ.148. – მამაჩემი არავისში გამცვლის...

– იაკობი სიკვდილს ამჯობინებს ტყვეობას. – რივერა გაათამაშებს მეორე მსოფლიო ომის ცნობილ ეპიზოდს, როცა სტალინის უფროსი ვაჟი, იაკობი გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. იმ დროს სტალინს თითქოს ეთქვას, იაკობი სიკვდილს ამჯობინებს ტყვეობასო. არსებობს ასევე ლეგენდა, რომ გერმანელები იაკობის საბჭოელთაგან დატყვევებულ ფელდმარშალ პაულიუსში გაცლას ლამობდნენ, მაგრამ სტალინს ეთქვას, მე ჯარისკაცს ფელდმარშალში არა ვცვლიო. იაკობის აღსასრული თვითმკვლელობასაც ჰგავდა: ტყვეთა ბანაკში ის მავთულხლართების მესერისკენ გაიქცა და ტყვია მიაყოლეს. გერმანელები მისი სახელის პროპაგანდისტვის გამოყენებას ცდილობდნენ.

გვ.148. იკითხა რივერამ, რომელიც სულაც არ ჰგავდა თავის ძმას. – რახან ერთ-ერთი რივერა იაკობ ჯულაშვილად გარდაისახა, ცხადია, რომ ის არ ჰგავს თავის ძმას, თუმცა, არც იაკობი ჰგავდა თავის უმცროს ძმას, ლოთბაზარა და ტრაბახა გენერალს, ვასილი სტალინს.

გვ.149. სნუკერი – საბილიარდო თამაშია, ბრიტანეთში მეტად გავრცელებული.

გვ.149. იაკობი... ადგილს მონყდა და გაიქცა. – კვლავ მინიშნებაა იაკობ ჯულაშვილის სიკვდილის ეპიზოდზე.

გვ.149. „ერთი მოხდენილი დარტყმით ძირს დასცა

გაი გისბორნი“. – სიტყვები მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლიდან.“ ტომი და ჰაკ ფინი რობინჰუდიბანას თამაშობენ და ტომი აღწერს ნოტინგემის საძულველი შერიფის, გაი გისბორნის სიკვდილს.

გვ.149. მომაკვდავს ვეცი. შავტუხა ბიჭი იყო, დაღლილი და მონყენილი. – თითქოს ეს იაკობ ჯულაშვილის იერია.

გვ.149. „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში ძევსა.“ – ხალხური ლექსის მიხედვით ასეთი იყო ყველაზე ცნობილი ქართველი ყაჩაღის არსენა ოძელაშვილის სიკვდილის წინა სიტყვები. რობინ ჰუდის გახსენება არსენასაც გაახსენებს კაცს. თან იმასაც მიგვანიშნებს, რომ მოკლული რივერა ყაჩაღი იყო და სადმე ფული ექნებოდა დამალული.

გვ.149. „ვერ შეხვდებიან ერთმანეთს, ლამე და დღე.“ – ახალი დროის ქართული სიმღერის გადაკეთება. იქ ნათქვამია, რომ ლამე და დღე ერთად ვერ იქნებიან.

გვ.150. ტროიკა – სტალინის დროს შინსახკომში ერთხანს მოქმედებდა სწრაფი სასამართლო, ტროიკა, ანუ სამეული, რომელიც უცებ ასამართლებდა „ხალხის მტრებს“ და მათ ძირითადად დახვრეტას უსჯიდა.

გვ.150. საქართველოს სსრ – ასე ერქვა საქართველოს საბჭოთა დროში: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

გვ.150. ვენსერემოს – როცა გენერალმა პინოჩეტმა გადატრიალება მოაწყო ჩილიში 1973 წელს, საბჭოთა

კავშირი დევნილი ჩილელი კომუნისტებით გაივსო, აქაურმა პროპაგანდამ კი ისინი გამოიყენა. იყო ასეთი საბჭოთა ფილმი, მგონი დევნილი ჩილელის გადაღებული, „სანტიაგოში წვიმს.“ ამ ფილმში აღწერილი იყო ხუნტას მხეცობები და სანტიაგოს სტადიონზე მოწყობილი ხვრეტაც. იქ მამაცი ადამიანები დახვრეტის წინ მღეროდნენ, „ვენსერემოს, ვენსერემოს ჩვენ გავიმარჯვებთ.“

გვ.150. დაუვინყარი ნახატი... ვილაც ესპანელის. – „დახვრეტა“ შთამბეჭდავი ნახატია, თავს ვერ დავდებ, რომ ვთქვა ვისია. საბჭოთა კალენდარში ეხატა და ბავშვობის შემდეგ არ მინახავს.

გვ.151. ჯორჯიაააა!!! – ეგებ ეს იყოს რეი ჩარლზის ხმა ჰოუგ კარმაიკლის და კიდევ ვილაცის სიმღერიდან „ჯორჯია ინ მაი მაინდ.“

გვ.151. „და ნაკვალევს წვიმა შლის“ – გერმანული ფილმი იყო, დიდხანს ეკიდა საბჭოთა ეკრანებზე.

გვ.151. პირდაპირ იმ ბარაკში გაგიშვებენ, ყიყლიყოს ხალხის ბარაკში, – საბჭოთა ლაგერებში, „ზონებში“, ჰომოსექსუალისტ პატიმრებს „პეტუშოკებს“ (ჯორჯიაც ამიტომ ახსენებს „ყიყლიყოს“) უწოდებდნენ, ეს იყო ყველაზე სამარცხვინო კასტა, რომელთან ყოფითი კონტაქტიც სხვა, „სუფთა“ პატიმრებისთვის მათნაირად ქცევას და მათთან გადაბარგებას უდრიდა. ჰომოსექსუალისტებს ცალკე კუთხე, ან ბარაკები ჰქონდათ და ახლაც ასეა.

გვ.151. ვიფიქრე, რომ სწორედ ის მხედრები არი-

ან, ბორის სავინკოვმა რომ აღწერა თავის წიგნში-მეთქი. – რუსი სოციალისტ-რევოლუციონერი და ტერორისტი, ბორის სავინკოვი მშვენიერი მწერალიც გახლდათ და ვ. როპშინის ფსევდონიმით ორი მეტად პოპულარული წიგნიც გამოაქვეყნა. ამ წიგნების სათაურები აღებულია იოანეს გამოცხადების მეექვსე თავიდან, აპოკალიფსის ოთხი მხედრის იერიდან. ერთ წიგნს ჰქვია „ცხენი ჩალისფერი“ და „ცხენი ყორნისფერი.“ ამ კაცის და ამ წიგნების გახსენებით ჯორჯია თითქოსდა გრძნობს საყოველთაო ნგრევის მოახლოებას და ვითომდა გვეუბნება, რომ ჩალისფერ ცხენს ერქვა სიკვდილი და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას.

გვ.151. მხედარი მოჰქროდა ისე, როგორც ჰარი შემოვარდება მექსიკელთა სოფელში. – გონებაში ამოტივტივდება ეპიზოდი უკვე ნახსენები ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული“ (იხ. შენიშვნა 142-ე გვერდისა). ამ სურათის არსი ის არის, რომ მექსიკური სოფლის შვიდივე დამცველს ამ სოფლის ბატონ-პატრონი ყაჩაღი კალვერა ხელში ჩაიგდებს, თუმცაღა პატივს სცემს და ცოცხლად გამოუშვებს. სამშვიდობოს გამოსულნი უკან დაბრუნებას და სოფლის კალვერასგან გათავისუფლებას გადანყვეტენ და მხოლოდ ერთი ამხანაგთაგანი, ჰარი უარობს. ექვსნი დაბრუნდებიან. შუა ომში ჰარი შემოჭენდება სოფელში და ამ ბრძოლაში დაიღუპება.

გვ.151. „დაინოს იმის დამწველი“. – ქართული სახალხო-სახუმარო გამოთქმაა, იმ გრძნობის რა ვთქვი, ეს რომ გაგაკეთებინაო. უიმედო შეყვარებულზეც იტყვიან.

გვ.152. – ისროდნენ.

– დაბერებულხარ.

– შენ კიდევ ომობ. ისევ ომობ...

– კარგი სახლი, ლამაზი ცოლი, სხვა რა სჭირდება ტკბილ სიბერეს? – დიალოგი შეკონინებულია უკვე ნახსენები საბჭოთა ფილმის „უდაბნოს თეთრი მზის“ ცნობილი, ხალხში გასული ფრაზების მიხედვით.

გვ.152. პლეტი! – ჯორჯიას ბავშვობაში ასე იტყოდნენ, გავიქცეთო.

გვ.152. ცხენები, ცხენები, ჩქარა! – გახსენება გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან. „დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!“

გვ.152. აღარ იყო რივერა, არამედ სრულიად უჯიგრესი ჟან მარე. – ფრანგი დე ჟუსაკის გამოჩენა ჯორჯიას გონებაში აცოცხლებს კიდევ ერთ ფრანგს, კინოვარსკვლავ ჟან მარეს, რომელიც მეტად პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში. ფარიკაობის მოხეტიალე დიდოსტატების განმასახიერებელი ამ ამბავში თითქოს გამოდის ძველი ფილმებიდან „კაპიტანი“ და „კუზიანი,“ სადაც ის ხმალში დაუმარცხებელ ხელმოკლე აზნაურს ასახიერებს.

გვ.153. წყეული ფაეტონი გარი ოლდმენისა. მაპატიეთ, გრაფ დრაკულასი. – გარი ოლდმენი ასახიერებს ვამპირ დრაკულას როლს ფ.ფ. კოპოლას ფილმში „ბრემ სტოკერის დრაკულა.“

გვ.153. მაგას წყლის ემინია... ცოფიანია და იმიტომ, ძაღლმა დაკბინა ბავშვობაში. – ისევე როგორც ვამპირ დრაკულას ემინია ვერცხლისა, ჰაიგეიტელ აჩრდილს წვიმისა შინებია. ეს საზღაპრო კანონია, რომ

ბოროტს ყოველთვის აქვს სუსტი ადგილი, რომელიც უნდა უპოვნო. ცოფიანი ძაღლის დაკბენილს კი, თუ წამლობა დაუგვიანდა, წყლის სმა უჭირს.

გვ.153. „- მე არ მინდა ტყუილა სიკვდილი. მითხარი, სისულელისთვის ხომ არ ვკვდები?

- არა...

- იქ რა იყო?

- ოქრო.“ - დიალოგი გადმოტანილია ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული.“ ჰარი თავიდანვე დარწმუნებულია, რომ შვიდეული მექსიკური სოფლის დასაცავად კი არ მიდის, არამედ ოქროს მოსაძებნად და როდესაც მომაკვდავი წევს შუა სოფელში, თავის ძმაკაცს, კრისს ეკითხება, ამ ტილიანებისთვის ხომ არ ვკვდები, აქ ხომ ოქროსთვის ჩამოვედითო. კრისი არ უტეხავს მომაკვდავ მეგობარს და ეუბნება, ოქროსთვის მოკვდი და არა ადამიანებისთვისო, რახან ადამიანებისთვის სიკვდილი ჰარის ტყუილად სიკვდილად მიაჩნია. მომაკვდავ დე უუსაკს ოქრო არ უყვარს და ეგებ სულ სხვა რამედ გაიაზრებდეს ჯორჯიასაგან ნათქვამ ამ სიტყვას.

გვ.153. დასავლეთისკენ იარე, სულ დასავლეთისკენ. - „შენს თავგადასავალში“ მიმდინარე ამბების გათვალისწინებით ეგებ ამ ნათქვამმა სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინოს, თუმცა ამის დამწერს არ უყვარს სიმბოლოები, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ურყევი მნიშვნელობა აქვთ ხოლმე.

გვ.154. ნახვამდის, ედმონ დანტეს! - ედმონ დანტესი არის ალექსანდრ დიუმას რომანის, „გრაფ მონტე კრისტოს“ მთავარი გმირი. ერთ-ერთ კინოვერსიაში მას ჟან მარე ასახიერებს. უსამართლოდ დატუსაღებუ-

ლი და ჯურღმულში ჩაგდებული ედმონ დანტესი ციხიდან გარბის და მრავალი წლის შემდეგ შურს იძიებს თავის დამლუპველებზე. ის გამარჯვებული გმირია და ჯორჯიაც გამარჯვებულად გრძნობს თავს, რახან საბოლოოდ დააღწია თავი ჰაიგეიტელს. ამიტომაც თუ გაახსენდა ეს სახელი, იმასთან ერთად, რომ უან მარს ემშვიდობება.

გვ.154. ...ვუყურებდი ლოდთან გარინდულ ცხენზე ამხედრებულ ჩაფიქრებულ რაინდს... – ეს საბჭოთა კავშირში მეტად გავრცელებული რეპროდუქცია იყო XIX საუკუნის რუსი მხატვრის, მგონი სურიკოვის ტილოსი.

გვ.154. ილია მურომეცი, ალიოშა პოპოვიჩი და დობრინია ნიკიტიჩი. – რუსი გოლიათები, იმათი თქმულებების, ბილინების გმირები.

გვ.154. კირილიცა – ანბანი, ბერმა კირილემ მოიგონაო. ზოგიერთი სლავური ქვეყანა ამ ანბანით წერს და კითხულობს, რუსებიც, რა თქმა უნდა.

გვ.154. ლოდი... მარცხნივ წახვალ, თავს დაკარგავ... – რუსული ზღაპრებიდან გადმოტანილი ლოდია, რომელსაც ბედისწერის ამბები ანერია. ჯორჯიაც ფიქრობს რომ საბედისწერო ამბავშია გახვეული და სწორედ რომ ამ რუსულ ლოდთან დგას.

გვ.155. „ნაკაშიძე, ს ვეშჩამი!“ – შეძახილი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „თეთრი ბაირალები.“ „ს ვეშჩამი“ – საბჭოთა ციხის შეძახილია და ნიშნავს, რომ გაგათავისუფლეს და ბარგიანად უნდა გამოხვიდე საკნიდან.

სახენაიარევი კაცის კვალდაკვალ

გვ.156. „სახენაიარევი კაცის კვალდაკვალ“ – იყო ასეთი წიგნი საბჭოთა დროებაში. იგი მოგვითხრობდა ფაშისტური გერმანიის საიდუმლო დავალებების ოფიცრის, ოტო სკორცენის შესახებ. ამ წიგნის ავტორი და შინაარსი არ მახსოვს, მაგრამ სახენაიარევი კაცი რომ სწორედ სკორცენი იყო, ეს კაცი, ცნობილია. ის მაგონდება, რომ მოკავშირეთა სასამართლოს გარიდებული, სკორცენი მადრიდში ცხოვრობდა და ავეჯით ვაჭრობდა. მგონი, სწორედ მან გამოიხსნა მუსოლინი იტალიის ერთ-ერთი მთიანი სოფლიდან და ბერლინში ჩამოუყვანა ჰიტლერს. იმ წიგნში სკორცენი მხეცად იყო გამოყვანილი.

გვ.157. კრიკეტი – ძველი ინგლისური თამაში, ტაფელითა და კორპის ბურთით. მეტად გავრცელებულია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში.

გვ.158. ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ სამყაროს განაგებს. – თითქოსდა მინიშნებაა ეშმაკეულად აღიარებულ რიცხვზე, ექვსას სამოცდაექვსზე.

გვ.159. აბა, ერთი აქ მოდი... – ამ გვერდზე აღწერილი ლონდონის ალაგების გამო მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ერთხანს ჰემპსტედში ჩარლზ დიკენსსაც უცხოვრია.

გვ.160. „პიტერ პენი“ – წიგნის დასაწყისშიაც ნახსენებია, რადგან ლონდონში ძველიც უდგას. ეს არის ფრენის უნარის მქონე ბიჭი, რომელიც არ გაიზარდა, გმირი ჯეიმს მეთიუ ბარის ზღაპარ-რომანისა.

გვ.160. შერილის სიყვარული მნადია... ვითომ ვენ-
დი იყოს. – ვენდი მეთიუ ბარის იმავე ზღაპრის გმირი
გოგონაა.

გვ.161. ამერიკელები არა ვართ. – საქართველო,
ანუ ჯორჯია ხშირად სრულიად უცნობია ხოლმე უც-
ხოელთათვის და როცა იმათ ეტყვი ჯორჯიელი ვარო,
უმალ ამერიკის შტატ ჯორჯიას გაიხსენებენ ხოლმე.
თუმცა, ბოლო დროს უცხოეთში მყოფი ქართველი შე-
ამჩნევს, რომ ჯორჯია-საქართველო სმენიათ.

გვ.161. ბერტ ბიორინგ – მოგონილი სახელი და გვა-
რი ჩანს, განსაკუთრებით გვარი. რაც შეეხება სახელს
„ბერტ,“ იყო ასეთი მოხუცი კაცი, რომელსაც საქარ-
თველოს მთიანეთი ტურისტად მოევლო. მას მეგზუ-
რად ჩემი მეგობრები ახლდნენ. მოხუცი ბერტი დიდად
საინტერესო კაცი იყო, ტომით გერმანელი შვეიცარია-
ში ცხოვრობდა, მეორე მსოფლიო ომში გერმანელი ჯა-
რისკაცი იყო. არა უბრალო ჯარისკაცი, არამედ საგან-
გებო მომზადებისა და თუ არ ვცდები, ბევრგან ებრძო-
ლა საგანგებო დავალებებით. ჩემს მეგობრებს მრავალ
ძველებურ ჯარისკაცულ ფანდს ასწავლიდა, ვთქვათ,
საჭმლის გამოზოგვის ხერხს, ანდა დაღლილობის და-
მარცხების წესს. ახლა მისნაირებს სპეცნაზელებს, თუ
რალაც ამგვარს უწოდებენ. რახან „შენი თავგადასავ-
ლის“ ამ თავის სათაურს თუ გავიხსენებთ, გაირკვევა,
რომ პეტრე ჯაფარიძეს ფიქრებში ჩარჩენია საბჭოთა
ჟურნალისტების მიერ მხეცად უკვდავყოფილი ოტო
სკორცენის სახე და მას მოხუცი შვეიცარიელი ჯარის-
კაცის, ძია ბერტის იერს უკავშირებს.

გვ. 163. „ლიბელს დოკი“ – სემი რომელიღაც კოქ-

ტილის სახელს წარმოთქვამს. მოგონილი სახელია, რათა ძია ბერტს, რომელიც კოქტიელების ოსტატად თელის თავს, გუნება ნაუხდინოს.

გვ.163. კურასაოს წვეთი – ტროპიკულ კუნძულ კურასაოს რომელიმე ხილის წვენი თუ იგულისხმება, ანდა ქოქოსის ლიქიორი, რომელსაც „კურასაო“ ჰქვია.

გვ.163. აი, ჩემი პირველი ცოლი, აგნესა. ეს ჰედლი... ესეც პოლინი... ეს კი მარტა და მერი. – ძია ბერტი მოულოდნელად ჩამოთვლის ერნესტ ჰემინგუეის ცოლების სახელებს. გამონაკლისი მხოლოდ პირველია: აგნესა ფონ კუროვსკი ჰემინგუეის ცოლი არ ყოფილა, პირველი მსოფლიო ომის დროს მათ ხანმოკლე რომანი ჰქონდათ. აგნეს ფონ კუროვსკი ნახსენებია ამავე ავტორის რომანში „გაქრები მადათოვზე“, სადაც ეს ახალგაზრდა ქალი ორ ქართველ სტუდენტს შეუყვარდება. ჯორჯიას წარმოსახვაში ოტო სკორცენის ეზავება ჰემინგუეიც, ალბათ ისევ და ისევ ომში მონაწილეობის და მხნე, მამაკაცური იერის, ერთგვარი ყოჩაღი ბიჭობის გამო.

გვ.163. ლურჯწვერა კაცის ამბავი გაგიგონიათ? – განთქმული ფრანგული ზღაპარი ლურჯწვერას შესახებ, რომელიც ქალებს ირთავდა და ხოცავდა.

გვ.163. ხედავ იმ ლეოპარდის თავს? ჩემი ნანადირევია. – კვლავ მინიშნებაა ჰემინგუეიზე, რომელიც ბევრს ნადირობდა აფრიკაში და თავისი კუბური სახლის, ფინკა ვიხიას კედლებზე ეკიდა მონადირებულის ფიტულები და ტყავები.

გვ.164. სანადირო თოფები – იხ. წინა განმარტება.

გვ.164. აი, ეს არის თბილისი... აქედან ნავედით თელავში. – ამ გვერდზე ძია ბერტი ზუსტად აღწერს ფშავში, თუშეთსა და ხევსურეთში მოგზაურობის მარშრუტს. ასახელებს ყველა იმ სოფელსა და ტოპონიმს, სადაც ფეხი დაუდგამს.

გვ.166. თუ გგონია, რომ ჩემისთანების ტყავისგან აბაჟურები უნდა გააკეთო? – სემი ზანგია და ნაფაშისტარ ძია ბერტს ფაშისტურ წარსულზე მიანიშნებს. ჯორჯიას კი მიხეილ კვესელავას განთქმული ქართული წიგნი „ას ერგასის დღე“ ახსენდება, სადაც ფაშისტების ნამოქმედარი მრავალი სულისშემძვრელი ამბავია აღწერილი, ვთქვათ, ადამიანის ტყავისგან ქალების აბაჟურების დამზადება.

გვ.166. სად გააქრეთ, მარცხენა ტუჩის კუთხესთან რომ ნაიარევი გქონდათ? – ოტო სკორცენს რამდენიმე ღრმა ნაიარევი ჰქონდა სახეზე.

გვ.166. კლაუს ბარბიე გაასამართლეს. ბატონი ჰესი შპანდაუს ციხეში აღესრულა. – კლაუს ბარბიე მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ორმოცი წლის შემდეგ გაასამართლეს, როგორც ფაშისტი ჯალათი. პიტლერის მარჯვენა ხელი, რუდოლფ ჰესი კი სამუდამო პატიმრად იჯდა ბერლინში, შპანდაუს ციხეში.

გვ.167. მადრიდში რომ იმალებოდით... – სკორცენი ომის შემდეგ მადრიდში ცხოვრობდა, გენერალ ფრანკოს რეჟიმის ფრთის ქვეშ. ჰემინგუეი ფრანკისტებს ებრძოდა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს და მერე ლა-

მის ოც წელიწადს არ ყოფილა ესპანეთში, სანამ ყველა ჩემს მეგობარს ციხიდან არ გამოუშვებენ, იქ არ ჩავალო.

გვ.168. „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...“ – ფრაზა გალაკტიონის ლექსიდან.

გვ.168. მუსოლინიც სხვას მოუტაცია. – მინიშნება სკორცენის ცნობილ ოპერაციაზე. იხ. 156-ე გვერდის შენიშვნა.

გვ.168. ლოურენს არაბის ნაამბობს არ აჯობებს? – სემი ახსენებს ტ.ე. ლოურენსს, ინგლისელ ოფიცერს, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია პოლიტიკას არაბეთის ნახევარკუნძულზე XX საუკუნის 20-იან წლებში.

ლოურენსი იყო რთული ბედისა და საინტერესო ცხოვრების დიდგვაროვანი, ოქსფორდში ნასწავლი არქეოლოგი, ავანტიურისტი, მზვერავი, სარდალი და არაბთა მეგობარიც, რომელიც მოტოავარიაში დაიღუპა ინგლისის სოფლის გზაზე. მანვე დაწერა საუცხოო წიგნი „სიბრძნის შვიდი საყრდენი,“ რომელსაც ბორხესმა სამყაროს ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი უწოდა.

გვ.168. „ეს ტარანია... შენს არაყს მოუხდება.“ – ჯორჯია კვლავ ქართულ ლიტერატურას უბრუნდება. ტარანს ჩვენში უწოდებდნენ შებოლილ თევზს.

სემი კი მსუბუქი სახეცვლით იმეორებს სიტყვებს ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.“ იქ ილარიონი ქალაქიდან ტარანს ჩამოუტანს თავის მეგობარ ილიკოს და ეუბნება, შავ ღვინოს უხდებაო. ეს მეტად ტკბილი სცენაა, რომელსაც წინ ამორი მეგობრის ჩხუბი უსწრებს და სემიც, ალბათ, გულისხმიერი სიტბოს ნიშნად ჩუქნის ტარანს ძია ბერტს .

გვ.169. გვიამბე... გენერალ... რომელისა, აღარ მახსოვს... აღარ მახსოვს, რომელი იყო? – ქართულად სიტყვების თამაში გამოდის. სემი აფრიკის უდაბნოში მიმდინარე ბრძოლების გახსენებას სთხოვს ძია ბერტს და ეკითხება, რომელი გენერლის ხელქვეითად მსახურობდიო. ახსოვს, რომ იქ განთქმული გერმანელი გენერალი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს და ვითომ არ ახსოვს, რომ ამ გენერლის გვარი არის რომელი.

გვ.169. ძია ბერტმა ერთი ამოიხვნეშა და დაიწყო. – 169-177-ე გვერდებზე ძია ბერტი ჰყვება ამბავს, რომელიც თითქოსდა რომელიღაც ჯვაროსნულ ომში ხდება და იქ ორი ევროპელი რაინდის თავგადასავალს მოგვითხრობს. ეს ამბავი დაწერილია ჰემინგუეის ნოველების ერთგვარი მიბაძვით.

გვ.169. ჰამილკარ ბურსა – ეს სახელი და გვარი დამწერს დაამახსოვრდა ერთი საკრივო ჟურნალიდან, რადგან მეტად მოეწონა. (ჰ)ამილკარ ბურსა კრივის მწვრთნელად ყოფილიყო არგენტინის ქალაქ სანტა ფეში და გამოუზრდია დიდი ჩემპიონი კარლოს მონსონი.

გვ.170. ბალდუინი – ქართული წყაროებით „ბალდვინ“ იგულისხმება იერუსალიმის მეფე XII საუკუნის დასაწყისში. ბალდუი, ბოდუინ, ბოდუენ, ბოდუინ... დიდი მოხერხების კაცი იყო.

გვ.170. ბალანტრეი – ბალანტრე არის რ.ლ. სტივენსონის რომანის „მემამულე ბალანტრე“ ორთაგან ერთი მთავარი გმირი. რომანში მოთხრობილია ორი ძმის დაპირისპირების ამბავი. სტივენსონთან ბალანტრე ნამდვილი ბოროტი სულია, თუმცა უშიშარი და მეტად

ჭკვიანი. ძია ბერტს კი სხვანაირი ბალანტრე სცნობია.

გვ.170. ბალანტრეი ჟღალი შოტლანდიელი იყო დიურის გვარიდან. დერისდირში მის მამა-პაპას დიდი სასახლე ედგა... – ესეც სტივენსონის რომანის სახელებია, იქაც ბალანტრე დიურია და დერისდირში ცხოვრობს.

გვ.170. ანაბელ ლი – დაღუპული სატრფო ედგარ პოს ამავე სახელწოდების ლექსში. სტივენსონის რომანში, ბალანტრესა და მის ძმას, ჰენრის ერთი ქალი უყვართ და ეს მათი წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზია.

გვ.171. ამას სხვანაირად „უცნაურ განავარდებას“ უწოდებდა – ჰამილკარ ბურსას ვითომდა გასართობად, გასანავარდებლად მიჰყავს ბალანტრეი და ბიურინგი, მაგრამ ამავედროულად ავისმომასწავებელი ნიშანიც გაკრთება: „მირუობი ჯუკსის უცნაური განავარდება“ რედიარდ კიპლინგის ერთი ცნობილი მოთხრობაა, სადაც ცხენით მონავარდე გმირი საშინელ ხევში თუ ორმოში ჩავარდება და იქ საზარელ ავადმყოფთა შორის აღმოჩნდება, რომლებიც ყვავის ხორციით იკვებებიან.

გვ.172. გარშემო ნითელი სინათლეც იღვრებოდა. – ნითელი ფარანი სამეძავო სახლის ნიშანია. იხ. განმარტება 118-ე გვერდისა.

გვ.172. აბუ მუჰამედ ატტავილი მძარცველი და რეიტერი იყო. – რეიტერი დაქირავებული გერმანელი ჯარისკაცია ძველ ევროპაში. აბუ მუჰამედ ატტავილი კი არის პერსონაჟი კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „დავით აღმაშენებელი.“ ეს არაბი ასისტავი ხსე-

ნებულ რომანში ქართველთა ბანაკს დაესხმება თავს და უფლისწული დავითი მას მოკლავს.

გვ.173. აბდულაჰ ქერიმი წერილს დანერს. აბდულაჰ, მართალო კაცო... – ჯორჯიას კვლავ ახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის გმირი, ბორჩალოელი თათარი აბდულა. უფრო დანვრილებით იხილეთ შენიშვნა 46-ე გვერდისა.

გვ.173. „დერისდირელი ორი დიური, ერთად ცხოვრობდა კოშკში...“ – სტივენსონის რომან „მემამულე ბალანტრედან“ ამოღებული სიმღერის ნაწყვეტი.

გვ.174. „Que va... რას იზამ? ასეთია კაცის ცხოვრება.“ – ფრაზა ჰემინგუეის მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა.“

გვ.174. შარბათისა გაგეგება რამე? – თითქოს კვლავ მივდივართ ჰემინგუეისთან და მის წიგნებსა თუ ცხოვრებაში არსებულ კოქტივლებთან.

გვ.177. სტრასბურგში ან ჰააგაში გააქანებენ. – სტრასბურგში ევროპარლამენტი, ჰააგაში ევროსასამართლო. სემი გულისხმობს, რომ ძია ბერტს, როგორც საერთაშორისო დამნაშავეს, გაასამართლებენ ჰააგაში.

გვ.180. „თლათ ღვთის პირიდან გადავარდნილები ყოფილან ეგ კაცები.“ – ძია ბერტი სახეცვლით იმეორებს დათა თუთაშხიას სიტყვებს იმ სამი ყაჩაღის შესახებ, რომელთაც მედუქნის ჭკუასუსტი გოგოს შეცდენა მოუნდომებიათ რომანში „დათა თუთაშხია.“

გვ.180. მაშინ იქ ქონდათ კომენდატურა... რა ქვია იმას, ქალაქი როა, სადაც ცეკვავენ. – ლაპარაკია საბჭოთა სამხედრო კომენდატურაზე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, 1945-46 წლებში.

გვ.181. დაგეწო ჯიგარი? – ქართული ნახევრად სახუმარო გამოთქმაა, მართლა შეწუხებას აღნიშნავს, ოღონდ ხალისით.

გვ.182. პელ მელი და ჩარინგ კროსი. – შუა ლონდონის განთქმული ქუჩებია.

გვ.185. ეს იყო ძველი, ტალახიანი BMW, მონგრეული ფარით, შეჭყლეტილი ფერდით... ვიცი, დელისელი ბიჭები იყვნენ. – ესენი ის რეკეტირები არიან, უკვე ორჯერ რომ გამოჩნდნენ „შენს თავგადასავალში“, 79-ე, 84-ე გვერდებზე .

გვ.185. ძია ბერტი თვალდახუჭული იწვა ქუჩის კიდეზე. – ნამდვილი ძია ბერტი, ის მრავლისმნახველი მოხუცი, ჩემს მეგობრებთან ერთად რომ მოგზაურობდა თუშეთსა და ხევსურეთში, სწორედ ავტოკატასტოფაში დაიღუპა შვეიცარიაში. მის შესახებ უფრო დანვრილებით 161-ე გვერდის შენიშვნაში შეგიძლიათ ნაიკითხოთ.

გვ.186. ლეონ ქილერი – ლუკ ბესონის ფილმი, სადაც მთავარი გმირი, პროფესიონალი მკვლელი, მომავლადავი თავს იფეთქებს და მტერსაც ნაიყოლებს. სისხლით მოთხვრილ, იარაღასხმულ ძია ბერტს რომ ხედავს, ჯორჯიას ლეონ ქილერის ეს კადრი ახსენდება და საკუთარ თავზე ბრაზობს.

მისის მანტლიპის საშინელი თოჯინები

გვ.188. „მისის მანტლიპის საშინელი თოჯინები“ – ეს არის სათაური ერთი საშინელებათა რომანისა, რომლის ავტორის ვინაობაც აღარ მახსოვს და რომელიც „პერესტროიკის“ დროს გამოიცა. მახსოვს მისი ერთადერთი პერსონაჟი, განგსტერი რიკორი. მეორე პერსონაჟი, ალბათ, მისის მანტლიპი იყო, კუდიანი. ეს წიგნი სადღაც უნდა მეგდოს სახლში, მაგრამ ვერაფრით ვიპოვე.

გვ.188. – ფრანგებმა რა დაანგრიეს?... რაღაც ციხე დაუნგრევიათ, ადრე.

– ბასტილია. – ჯორჯიას კვლავ ახსენდება საფრანგეთის რევოლუცია, ბასტილის აღების ამბავი 1789 წლის 14 ივნისისა. კვლავ რევოლუციისკენ უბრუნდება გული, რადგან დამხმარე აღარავინ ჰყავს.

გვ.188. ვინრო ქუჩებზე არ შემოდიან. შენ გგონია, კომუნიზმი შემოეტევა ამ პატარა სტოუროუდზე? – პეტრე ჯაფარიძეს ახსენდება სტრიქონი მუხრან მაჭავარიანის ლექსიდან, „ამ ვინრო ქუჩაზე კომუნიზმი ვერ შემოეტევა“ და მას უკავშირებს რუსის ჯარის მიერ თბილისის პატრულირებას 1989 წლის აპრილში, როცა პატრული მხოლოდ მთავარ ქუჩებზე იდგა და მოძრაობდა.

გვ.188. „ჩვენ, კომუნისტები სხვანაირი...“ – ჯორჯია იწყებს და ვერ ამთავრებს სტალინის სიტყვებს, რომ ბოლშევიკები სხვანაირი ცომისგან არიან ნაზელნი.

გვ.189. – კრუპიეა კაზინოში.

– წიგნი რომ დანერა და მამამ რომ ქალი იმასუქნა? – ჯორჯი ჰყვება იმხანად ნანახი, პოპულარული

ინგლისური ფილმის, „კრუპიეს“ სიუჟეტს და ამ საქმეში სემიცი ეხმარება. ფილმში, კრუპიე მართლაც მინის სართულზე, ბეისმენტში ცხოვრობს.

გვ.189. ტაუერის ეზოში ყვაფი რობერტი გარდაიცვალა. – ტაუერის ეზოში მართლაც ცხოვრობენ შოტლანდიიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ყვაფები. რობერტი მართლაც ერქვა ერთ-ერთს, რომელიც ექვსიოდ წლის წინათ გარდაიცვალა და მისი სიკვდილის ამბავი „როიტერის“ სააგენტომაც გაავრცელა.

გვ.189. შემჯდარა და ცე ჰეპატიტიო. – ჰეპატიტის ეს ქრონიკული ფორმა ხშირად შეეყრებათ ხოლმე ნარკომანებს, რომლებიც ნემსით მოიხმარენ ნარკოტიკს, ეს ნემსი კი მანამდე სხვასაც უხმარია.

გვ.190. ლენდლორდი – ლენდლორდს სახლის პატრონს ეტყვიან, ვინც ბინებს აქირავენ.

გვ.191. ძალიან კარგი ძმისშვილი გყავთ. – ამ გვერდზე მისტერ მანტლიპი იწყებს იმის ახსნას, თუ რატომ გულშემატკივრობს საფეხბურთო კლუბ „არსენალს.“ ამ გვერდის ყოველი განმარტება ფეხბურთს შეეხება.

გვ.191. იან რაიტი – „არსენალის“ ვარსკვლავი 90-იან წლებში.

გვ.191. მეთოფე – „არსენალს“ სახალხოდ „განერზს,“ ანუ მეთოფეებს უნოდებენ, გუნდის გერბზე ზარბაზანია გამოხატული.

გვ.191. ჰაიბერი – „არსენალის“ სტადიონი.

გვ.191. ისლინგტონი – ალაგია ჩრდილო ლონდონში, იქ არის „ჰაიბერის“ სტადიონი.

გვ.191. ჩარლი ნიკოლსი, ჩარლი ჯორჯი – „არსენალის“ ვარსკვლავები 70-იან წლებში.

გვ.191. აი, იქ ვუყურებ ხოლმე... აირინი ისეთი ქალია, სახლში „სქაიცი“ არ მიყენია. – მისტერ მანტლიპის ცოლს ფეხბურთი სძულს და ამიტომაც შინ არ ჰქონიათ საკაბელო ტელევიზიის „სქაის“ არხები, რომლებიც ფეხბურთს გადმოსცემენ. ამიტომ, მისტერ მანტლიპი პაბში უყურებს ხოლმე ფეხბურთს, რაც გავრცელებული ამბავია ბრიტანეთში.

გვ.191. სამხრეთში დავდივარ და სამხრეთში ვქომაგობ.

– „ჩელსი“... ჩაცმულობაზე შეგატყვეთ. ოსგუდის ხალხი... – „ჩელსი“ სამხრეთ ლონდონის გუნდია, რომელსაც უფრო ფრონცკი გულშემატკივარი ჰყავს, რადგან ამ უბანში არისტოკრატია და სელებრიტები მრავლად ცხოვრობენ. კრის ოსგუდი კი „ჩელსის“ ვარსკვლავი იყო 70-იან წლებში, როცა გუნდმა პირველად მოიგო ევროპის თასი.

გვ.193. თავისუფლების მხედარი, – აუხსნა სემმა. – აქ მინიშნებაა მიგელ ოტერო სილვას რომანზე „ლოპე დე აგირე, თავისუფლების მხედარი,“ რომელშიაც მოთხრობილია ერთი უბრალო კონკისტადორის მხეცური ცხოვრების შესახებ ახალ მინაზე. ჯორჯია აგირეს ადარებს რუს სამხედროებს, თუმცა ამ სიტყვებს სემი წარმოთქვამს.

გვ.193. რაღაც უცნაური გაზეთი უჭირავს. – მგონი საბჭოეთის მთავარი გაზეთი, „პრავდა“ უნდა იყოს.

გვ.193. „მხნედ, მხნედ, ტომლინსონ.“ – მისტერ მანტლიპი ახსენებს რედიარდ კიპლინგის ჯარისკაცულ ბალადას „ტომლინსონი.“

გვ.195. ნონოლაქუდიანი დეიდა აირინი უზარმაზარ წიგნს ჩაჰკირკიტებდა. – მისტერ მანტლიპის მეუღლე კუდიანი გამოდგა, სხვანაირად კი ჯადოქარიც. ეს გავრცელებული ამბავია დღევანდელ ინგლისშიაც.

გვ.195. დანმორ... მაგორი... ბელია. – თითქოსდა აირინ მანტლიპი რაღაც შელოცვებს კითხულობს წიგნში. ავტორი უნდა გამოტყდეს, რომ ძალიან გაუჭირდა ამ შელოცვების გამოგონება, რადგან მაგიის წიგნებს არ იცნობს და მხოლოდ მიხვედრილობით სცადა ამ სცენის გათამაშება. „დანმორ“ ძველი ბრიტული სახელი უნდა იყოს, რომელიც რომელიღაც მოთხრობაში ამოუკითხავს და ამავე „შენს თავგადასავალში“ ლორდ ექსმურის მსახურისთვის დაურქმევია. იხ. გვ. 64.

გვ.195. იისფერი ნათურების შუქი ფილმ „ოთხი ოთახიდან.“ – ეს ფილმი ოთხი კინონოველისაგან შედგება და ერთ-ერთში, სასტუმროს ოთახში შეკრებილი კუდიანები მეტრდოტელს დაამტერებენ.

გვ.197. ეგ რა გიჭირავს?

– არაფერი მისის.. .

– მიპასუხე, „მკვდარი კატა.“

– მკვდარი კატა.

– ჰი, სულ არ გაშეშებულა? – მოულოდნელად მი-

სი მანტლიძეს, უფრო კი ალბათ პიტერს (ჯორჯს) ახსენდება ტომისა და ჰეკის საუბარი მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლიდან.“

გვ.198. ის წყეული წერილი: „პეტას გაუმარჯოს.“ – ის. შენიშვნა 38-ე გვერდისა.

გვ.199. წერილი უსახო თოჯინას შემოაკეცა ტანზე და ძაფი შემოახვია... მახათები, ერთი, ორი... – ავტორს ნაუკითხავს არტურ მილერის „სალემის პროცესი“ და ჯონ აპდაიკის „ისტვიქელი ალქაჯები.“ ამ ნაწერების მიხედვით გადაღებული ფილმებიც უნახავს.

გვ.201. „პეი, მანდ, ვინ მოდის მომავლიდან?.. Отзовитесь, горнисты!... студенты ленинских университетов миллионы. – ტელეგადაცემების სახელები საბჭოთა დროში. პირველი თბილისის არხზე იყო, დანარჩენი ორი მოსკოვისაზე. „ოტზოვიტეს გორნისტი“ (გაგვეპასუხეთ, მესაყვირებო) მონაფეებისთვის იყო, „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტისა“ კი მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთხელ იქ „ბიტლზის“ სიმღერა გაუშვეს და ყველა ამაზე ლაპარაკობდა.

გვ.201. შეხედეთ, ჩკალოვი, კოკინაკი... – სტალინის დროის განთქმული საბჭოთა მფრინავები იყვნენ. საკუთრივ ფრაზა კი მოდის განთქმული საბჭოთა საბავშვო მწერლის, არკადი გაიდარის ნიგნიდან „მედოლის ბედი.“ იქ ნორჩი მედოლე საზეიმოდ გამოეწყობა და ბიძა სწორედ ამ შეძახილით ეგებება. თუმცა, მერე ირკვევა, რომ ბიძა სულაც არ არის ბიძა, არამედ იმპერიალისტების აგენტია. სხვა დროს და სხვა ქვეყანაში გაიდარი საუცხოო მწერალი იქნებოდა, რადგან მარ-

თლა კარგად წერდა, მაგრამ მისი წიგნები სრულ სიც-
რუეზე იყო აგებული და მოზარდებს საბჭოურ მორალს
უტენიდა თავში.

გვ.201. ...ია ოცდასამი ხაზზეა?

– ხაზზეა. – დიალოგის ნაწყვეტი პოლონური სერი-
ალიდან „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია.“ ამის
გამო უფრო წერილად იხილეთ 31-ე გვერდის შენიშვნა.
ია-23 ობერლეიტენანტ კლოსად გადაცემული პოლონე-
ლი მზვერავის, იანეკის კოდური სახელია.

გვ.201. მაქსიმე ისაევი ხომ არ შეგხვედრია? – იუ-
ლიან სემიონოვის რომანის „გაზაფხულის ჩვიდმეტი
გაელვება“ მთავარი გმირი. საბჭოთა ჯაშუში, რომე-
ლიც დიდი ხანია გერმანიის დაზვერვაში მუშაობს მაქს
ოტო ფონ შტირლიცის სახელით. წიგნის მიხედვით გა-
დაღებული სერიალი უპოპულარულესი იყო საბჭოთა
კავშირში.

გვ.201. დავერბოება – ნაგოიმო ვარიანტი სიტყვისა
„დავერბოვება,“ რომელიც მოდის რუსული სიტყვი-
დან „ვერბოვკა,“ საიდუმლო სამსახურებთან თანამ-
შრომლობაზე კაცის დათანხმებას ნიშნავს.

გვ.202. ვნახე ის თქვენი ისაევი... ბუტბუტებდა,
ინგრიდ, სახელოზე ღილი შემიკარიო... სულაც არ
იყო ლამაზი კაცი, თქვენ რომ მეუბნებოდით, ლამა-
ზი კაციო... – ჯორჯია კვლავ უბრუნდება ტელესერი-
ალ „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვებას“ და იხსენებს
ფილმის ეპიზოდს, სადაც ისაევს შვეიცარიაში გადაჰ-
ყავს გესტაპოსაგან ძებნილი საბჭოთა რადისტის კანია,
ცხადია, სხვისი პასპორტით. საზღვარზე, საბუთების

შემონმებისას კანია ძალიან ღელავს და ვითომაც მშვიდად მყოფი ისაევი ხელს გაუნვდის, სახელოზე ღილი შემიკარო. ისაევის როლს ძალიან სიმპათიური რუსი კინოვარსკვლავი, ტიხონოვი ასახიერებდა.

გვ.202. მეოთხე სამმართველო – საბჭოთა დროში ეს სამმართველო საბჭოელ დიდმოხელეთა ჯანმრთელობაზე ზრუნავდა და საგანგებო პოლიკლინიკა-საავადმყოფოები და პანსიონატ-სანატორიუმები ჰქონდა.

გვ.202. მეორე და მესამე (თუ პირველი) განყოფილება. – ახლა ნომრობა ზუსტად არ მახსოვს, ერთი კაგებესი იყო, მეორე ჯარში განვევისა. ორივე უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, წვრილი კიბეებით ასასვლელ, ნაკლებად შესამჩნევ ადგილებზე მდებარეობდა.

გვ.202. როგორც მრავალი ათასი ორჯონიკიძის რაიონელი წვევამდელი, ავადმყოფი გახლდით. – საბჭოთა დროის თბილისის ორჯონიკიძის რაიონი მოიცავდა ვაკის და საბურთალოს (ნანილის) უბნებს. ამ უბნებში საკმაოდ ცხოვრობდა ინტელიგენცია, პარტიული ნომენკლატურა და შეძლებული ხალხი. 80-იანი წლების დასაწყისიდან, გახურებული ავღანეთის ომის დროს საბჭოთა კავშირში შემოიღეს სავალდებულო სამხედრო განვევა, ანუ განვევას ექვემდებარებოდნენ ის სტუდენტებიც, რომლებიც ადრე თავიანთ სასწავლებელში გადიოდნენ სამხედრო მომზადებას და ესაპყოფნიდათ. ამ დროს ორჯონიკიძის რაიონში იფეთქა ჯარში გასანვევ სტუდენტ-ახალგაზრდათა ავადმყოფობის ეპიდემიამ. არსებობდა მძიმე გონებრივ თუ ფიზიკურ დაავადებათა, შინაგან თუ გარეგან სნეულებათა გრძელი სია კოდური ნომრებით, რომლებიც ახალ-

გაზრდას რუსული ჯარიდან დაიხსნიდა ან დროებით, ანაც სამუდამოდ. ცხადია, ავადმყოფობათა სრული უმრავლესობა მოგონილი იყო ჯარიდან თავის დასახსნელად. ნაირგვარი ქრთამებითა და ხერხებით, ავადმყოფი ჯარში არ მიდიოდა და სტუდენტი სტუდენტადვე რჩებოდა. ცხადია, ამ თავის დახსნებს მშობლები აგვარებდნენ ექიმებთან და სამხედროებთან. ჩანს, გამოვნაკლისი არც ჯორჯია იყო.

გვ.203. ფრიდრიხსაჰაფენიდან ნიუ-იორკს გაფრენილი ცეპელინი... თავზე დაასკდა წითელკანიან მონადირეს, დასავლეთიდან მომფრინავი თეთრი კაცი რომ ეზმანა სამი ათასი წლის წინათ... – ჯორჯიას გონებაში ამოტივტივდება წინათქმა კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „დიონისეს ღიმილი.“ ოლონდ კი ჯორჯია ტრაგიკულად ხედავს ატლანტიკის თავზე გადაფრენილი დირიჟაბლის ამბავს. დირიჟაბლი გასკდება, რაც ახალი სიზმრისათვის მეტად ცუდი ნიშანი უნდა იყოს.

გვ.204. ერქვა... გოგოს ლუჩია, იტალიელი მაშინ ბევრნი იღუპებოდნენ აბისინიაში. – კვლავ „დიონისეს ღიმილი,“ სადაც მთავარ გმირს, კონსტანტინე სავარსამიძეს ერთდღიანი სასიყვარულო თავგადასავალი აქვს იტალიელი ოფიცრის ქვრივ ლუჩიასთან. მათი შეხვედრისას მოკლული ოფიცრის ფოტო სანოლ ოთახში კიდია.

გვ.204. „არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა“. – ეს სიტყვები განთქმული აგიოგრაფიული თხზულებიდან („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) უნდა იყოს.

გვ.204. ეს სტუმრის პატივისცემის ჩვენებური ნე-

სია. კედლებისგან ტივებს ვაკეთებთ და უცხოელ სტუმრებს ტემზაზე ვასეირნებთ. – რახან აფეთქებულმა გენერალმა სახლის კედელი გაანგრია, პეტრე ჯაფარიძე ლენდლორდ მანტლიპის წინაშე თავის გასამართლებელ საბუთს ეძებს და ახსენდება ერთი ქართული ფილმი, რომელშიაც გმირი თავის სახლს კედელს მოხსნის და ტივად გადააკეთებს, რათა სტუმარი მტკვარზე გაასეირნოს. ტივით მტკვარზე ცურვა და ზედ ნადიმობა ძველი თბილისური წესია.

გვ.204. იცი, რა იოლია ტრიბუნის აშენება? ბრიტანეთის მუზეუმს ზურგი უნდა გამოუნგრეო, ახლომახლო სახლები ააფეთქო დინამიტით და მერე ამავე ნანგრევებით უნდა აღმართო მშვენიერი თაღოვანი კვარცხლბეკი. – პიტერ ჯეფერსი ლონდონზე კი საუბრობს, მაგრამ თავში თბილისი აქვს, სადაც ერთი მოხდენილი ძველი უბნის რეკონსტრუქციის შედეგად სააღლუმო მოედანი და ტრიბუნა ააშენეს საბჭოთა დროში.

გვ.204. მსვლელობა ჰაიდ პარკ კორნერიდან იწყება... ოქტომბრის რაიონის მშრომელები... – კომუნისტური აღლუმები თბილისში, ჯორჯიას ლონდონში გადმოაქვს.

გვ.205. „აგუგუნდება მთა-ბარი.“ – ნანყვეტი ქართული კომუნისტური სიმღერიდან.

გვ.205. ბიჭია! ბიჭი! – ქალის მშობიარობას მოყოლილი ქართული შეძახილი, როცა ვაჟი დაიბადება.

გვ.205. ციხეა, ციხე! – ძნელად რომ საბჭოთა მოქალაქეს ციხე არ გაახსენდეს.

გვ.205. ხარჩოსა! ნახეთ და დარდაკასაც! ვაა, ეს რაები ხდება, კაცო? თბილისის ციხესა ვხედავ. დარდაკასა და ხარჩოსა, სულ ყვავილების ვაჭრებსა და ის ვინ არის, ერთობ შილიფი? – ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ აღწერილია 1905 წლის თბილისის საგუბერნიო ციხის ამბები. საკანში ამტყდარი ჩხუბისას მამათმავალი ხარჩო დროს იხელთებს და მამათმავალ დარდაკას გაუპატიურებას დაუპირებს. ჯორჯიასაც ეს მშფოთვარე ეპიზოდი ახსენდება.

გვ.205. თმა კი აქვს გრუზა და ულვაშიც – გადაგრეხილი... სერგო ყოფილა ის შილიფი და რას უპირებენ? – ჯორჯია ასე წარმოიდგენს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს რუს კომუნისტთაგან დაპყრობის ერთ-ერთი მოთავე, სერგო ორჯონიკიძე ხარჩოს და დარდაკას, თბილელ მამათმავლებს შეუპყრიათ და გაუპატიურებას უპირებენ. პეტრე ჯაფარიძის თაობის თავისუფალი ახალგაზრდობისთვის სერგო ორჯონიკიძე ერთ-ერთ ყველაზე საძულველ ისტორიულ პირად ითვლებოდა. სანამ აიღებდნენ, მისი ძეგლი დელისის მეტროს დაბლა პავლოვის ქუჩაზე იდგა და პერესტროიკის დროს ხან რა საღებავს შეასხამდნენ, ხან კიდევ რას. მერე მთავრობამ ძეგლი რკინის ყუთში ჩასვა, ბოლოს კი სულ აიღო.

გვ.205. „ღამეები კი მიჰქრიან, როგორც ვერცხლის ნალებით დაჭედილი ბედაურები“. – კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებიდან“ დამახსოვრებული სიტყვებია, ოღონდ პეტრემ ერთი სიტყვა შეცვალა. გამსახურდია წერს, „ნაბდით დაჭედილი ბედაურებიო,“ რაც იმას ნიშნავს, რომ ღამეები გადის სწრაფად და უხმაუროდ, ანუ რომანის თავაულებელ წერაში. ვერცხლი კი მალე ცვდება და

ამიტომ ნალის საჭედად არ მოიხმარება.

გვ.205. მამისონი?... მარუხი? – უღელტეხილები კავკასიონზე. მამისონი საქართველოშია, მარუხი მგონი გადაღმა. მეორე მსოფლიო ომის დროს იქ ბრძოლები იყო გერმანელებთან, ბევრი ქართველი დაიღუპა. ზემო ვაკეში არის პატარა „მარუხის გმირების ქუჩა.“

გვ.205. მიაღგები ქუხილიან უღელტეხილსო. – იხილეთ განმარტება 135-ე გვერდისა.

გვ.205. ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში... – გადაკეთება ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვებისა „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში... რასაც ვმსახურებთ, კვლავ ერთგულად მას ვემსახურით.“ რახან პეტრე ჯაფარიძე ქალაქს ხედავს თავისი ბინის გამონგრეული ადგილიდან და ეჭვობს, რომ ეს ქალაქი თბილისია, ახსენდება თუკი რამ მწარე და მისთვის მიუღებელი შეუგრძნია თბილისში. ეს სიტყვები აგრეც შეიძლება ამოვიცნოთ, რომ თბილისი ტაშის მოყვარული ქალაქია, ხოლო ტაშს გამოდევნებას მისთვის ხეირი არასდროს დაუყრია.

გვ.205. შენ ხომ ატნაშენია გიყვარდა... ორი ფრთა ატნაშენიასი, ტელეფონი და რესტორანი! – ამავე გვერდის მეთვრამეტე სტრიქონი ასეთია: „არსებობს ეჭვი, რომ ამ ქალაქს ატნაშენია ჰქვია.“ ჯორჯია თბილისს „ატნაშენიას“ უწოდებს, რაიც რუსული სიტყვაა და ურთიერთობას ნიშნავს. საერთოდაც, ამის დამწერს ჰგონია, რომ სიტყვა „ურთიერთობა“ ქართულ ენაში ასწელინადზე მეტის არ იქნება, და იგი სწორედ რუსული სიტყვიდან „ატნაშენიედან“ მოდის. ყოველი დანყვილე-

ბა „ურთიერთობისა“ სხვა სიტყვებთან, გინდა ზმნებთან, რუსულიდან პირდაპირ გადმოტანილ, კალკს რომ ეტყვიან, ისეთ რამეს წარმოადგენს. ვთქვათ, „ურთიერთობა გვაქვსო,“ „ურთიერთობა დავამყარეთო“ და ასე დაუსრულებლივ, სულ რუსულია. როცა ჯორჯია ამბობს, ამ ქალაქს ატნაშენია ჰქვიაო, ორ რამეს თუ გულისხმობს. ერთი, რომ ეს სიტყვა ბუნებრივად ქართული არ არის და მეორეც, ის რაც ამ სიტყვის ქვეშ, ალბათ, იმალება, არის არა მხოლოდ რაიმე მართლა ურთიერთობა, არამედ თბილისური ცხოვრების წესი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა, როცა უმრავლეს შემთხვევაში ყოველგვარი საქმე წამყვანი საზოგადოების წევრების პირადი ურთიერთობებით მოგვარდებოდა ხოლმე. ანუ, ამ შემთხვევაში, ატნაშენია სულაც არ ნიშნავს ადამიანთა შორის თბილ და ლიმილიან ურთიერთობებს, რაც აგრეთვე ითვლება თბილისის ერთ-ერთ დამახასიათებლად. „ურთიერთობას“ იმდენი მნიშვნელობა შეუძენია და იმდენი განხილვა უნდა ამ მნიშვნელობებს, რომ უმჯობესია ქალაქს პირდაპირ „ატნაშენია“ დაერქვასო, ფიქრობენ ჯორჯია, პიტერ ჯეფერსი და ამის დამწერიც. ამით, თითქოს იმასაც მიენიშნება, რომ ორას წელიწადს ეს ქალაქი რუსთა ნაირგვარი უღლის ქვეშ იყო და ბოლო სამოცდაათ წელიწადს იძულებული შეიქნა, რომ საბჭოთა ყოფას მორგებოდა, რის გამოც გამოუვიდა, რომ ატნაშენიების ქალაქია. „ორი ფრთა ატნაშენიისა, რესტორანი და ტელეფონი“: ტელეფონი ალბათ საქმეების წყნარად და უჩუმრად მოგვარებას გულისხმობს, რესტორნის ამბავი კი ცნობილია – თბილისი ყოველთვისაც მოქეიფე ქალაქი იყო. აქედან გამომდინარე ჯორჯიას თავში გაირბენს სტრიქონი გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსისა:

„შინმოუსვლელი, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა,
სად ლპება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოგიღამდა.“ – ოლონდაც „თბი-
ლისს“ „ატნაშენია“ შეცვლის. ეს ლექსი მეორე მსოფ-
ლიო ომის დროსაა დანერგილი.

გვ.205. რად მღერის გეპეის ჯაზი? არა, ეს გეპეის
ჯაზი არ არის. – მიუხედავად ნაირგვარი მინიშნებები-
სა, ჯორჯიას მაინც ბოლომდე არა სჯერა, რომ რასაც
ხედავს, თბილისია. თითქოს ჰგავს და არცა ჰგავს. „გე-
პეის ჯაზი“ – ყველაზე პოპულარული ქართული ბენდი
იყო 50-60-იან წლებში, საქართველოს პოლიტიქნიკუ-
რი ინსტიტუტისა.

გვ.206. ჩეკი – ჩვენებურად, ნარკოტიკის პორციას
ნიშნავს.

გვ.206. ლედბროკი – ტოტალიზატორების ქსელი
ბრიტანეთში.

გვ.206. თბილისიც ვერ დაერქმეოდა, რადგან ჩა-
მოჰგავდა მინსკს... რით ჰგავს თბილისი მოსკოვს?...
კოშკურიანი სახლებით. – ჯორჯიას იმიტომ ვერ გა-
დუნყვეტია ცხადლივ თბილისია, თუ არა ის ქალაქი,
რომელსაც ხედავს, რომ საბჭოთა დროებაში ყოველ
ქალაქს ერთ ყაიდაზე აშენებდნენ და იქაურ თავისებუ-
რებებს არად დაგიდევდნენ. მინსკი ბელარუსის დედა-
ქალაქია, მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დან-
გრეული და მერედა აშენებული, კოშკურიანი სახლები
კი სტალინური არქიტექტურის მთავარი ნიმუშებია და
ისინი ყოველ საბჭოთა ქალაქში იპოვება. თბილისში

ასეთი კომპურიანი ნაგებობა სამი იყო, ახლა, ორია.

გვ.206. თეთრ ცხენზედ ამხედრებული პოეტი ქუჩებში დააჭენებდა ამ ცხენს და ყვიროდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. – ჯორჯია ხედავს ლეგენდარულ ეპიზოდს საქართველოს ისტორიისა. 1921 წლის 25 თებერვალს, როცა რუსთა კომუნისტური ჯარები თბილისში შემოვიდნენ, მთავრობა უკვე წასული იყო. როდესაც მთავრობა მიდიოდა, ბევრმა დააპირა გაყოლა და ნაირგვარი ჩქარი თათბირებიც იმართებოდა, თუ რა ვქნათ და როგორო. რა თქმა უნდა, ბევრს ეგონა, რომ რუსები ქალაქს მოარბევდნენ, თუმცა პირდაპირი რბევა არ ყოფილა. რამდენიმე ცნობილი ქართველი მოღვაწე, მთავრობისავე თხოვნით მაშინ ქალაქში დარჩა, რათა რუსებს მოყოლილ ქართველ რენეგატებს დალაპარაკებოდა, ისინი მოეღბო, ვითარება განემუხტა და ხალხიც დაემშვიდებინა. ამათ შორის იყო ცნობილი და უაღრესად პოპულარული პოეტი პაოლო იაშვილი. დამწერს ლეგენდად გაუგონია, რომ პაოლო ცხენით დაქროდა ქალაქში და ხალხს ამშვიდებდა, რათა ოკუპანტთა რისხვა არ გამოეღვიძებინა.

გვ.206. რით ჰგავს თბილისი ყარაგანდას? და გორი — ულან ბატორს? – პეტრე ჯაფარიძე საბჭოთა ქალაქებს ადარებს ერთმანეთს. ყარაგანდა რომელ საბჭოთა რესპუბლიკაში იყო, ნამდვილად არ მახსოვს, გორი სტალინის სამშობლოა, ულან ბატორი კომუნისტური მონღოლეთის დედაქალაქი. დაახლოებით ერთი კომლობრივი ოდენობის ქალაქები იყო საბჭოთა დროში.

გვ.206. ერთ ქუჩაზე ცხენი დაფრთხა... — აქ მოყოლილი ამბავი იმის თაობაზე, რომ ქალმა ქუჩაზე წყალი

გადმოასხა და ცხენი კი დაფრთხა, უკავშირდება ერთ ტრაგიკულ ეპიზოდს. ამ შემთხვევაში პაოლო იაშვილი არაფერ შუაშია. 1846 წელს თბილისის დაღმართ ქუჩაზე ეტლით მოდიოდა პოეტი და გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე (იხ.შენიშვნა მე-40 გვერდისა) ამ დროს ვილაც ქალმა ქუჩაზე წყალი გადმოასხა და ცხენი დაფრთხა. ჭავჭავაძის ფარაჯის კიდე არეულობაში ეტლის ბორბალმა ჩაითრია და ის, ქვაფენილზე გადმოვარდნილი, თავის დარტყმით დაიღუპა. პეტრე ჯაფარიძის ფიქრებში ორი პოეტის ამბავი აირია. რაიც, ალბათ პოეტობამ და ცხენებმა, უფრო კი ორივეს უბედურმა აღსასრულმა დააკავშირა.

გვ.207. გაიფიქრა, არ დაიდგამსო. – კვლავ ცხენისა და ქართველთა დაუმორჩილებლობის კავშირი პეტრე ჯაფარიძის გონებაში. „თეთრი ცხენი არ დაიდგამს უნაგირს,“ 90-იანი წლების ქართული სიმღერიდანაა.

გვ.207. მაგრამ მაინც მოახერხა და ისროლა. – პიტერ ჯეფერსს პაოლო იაშვილის დაღუპვა ახსენდება. 1937 წელს, დიდი რეპრესიების დროს ყოველმხრივ ალყაშემორტყმულმა და მორალური ტერორით გამანარებულმა ამ პოეტმა თავი მოიკლა საბჭოთა მწერალთა კავშირის სახლში იმ დროს, როცა იქ მორიგი საზიზღარი მამხილებელი კრება მიმდინარეობდა.

გვ.207. ტყვია პირში მისცა. ორ რამეზე ამბობენ ასე... ჰემსპტედელი დოქტორი კი გამოიყვანდა აქედან რამეს... რაღა დროს ვენელი დოქტორია? – გადატენილ პისტოლეტზე ჩვენში ხშირად იტყვიან, ტყვია პირში აქ მიცემულიო. ქუჩური ლექსიკით იგივე სიტყვები გამოხატავს ორალურ სექსს. ჰემსპტედელ და ვენელ დოქტორ-

ში ზიგმუნდ ფროიდი იგულისხმება, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წელიწადი ლონდონში გაატარა, რადგან წამოვიდა ფაშისტთაგან ოკუპირებული ვენიდან.

გვ.207. ამ დროს სად დადგებოდნენ კლოდელი, ჟამი და სიუარესი – გალაკტიონ ტაბიძის ლექსის გახსენება: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი... ჩვენ ვიცით, ამ დროს სად დადგებიან კლოდელი, ჟამში და სიუარესი.“ ესენი კი ფრანგი პოეტები გახლავან.

ეს ლექსი საბჭოთა სკოლებში ისწავლებოდა, ვითომდა იგი გალაკტიონს ოქტომბრის რევოლუციის გამო დაენეროს. ჯორჯია კი თითქოსდა მიიჩნევს, რომ პოეტის ადგილი ბარიკადებზეა. ჯორჯია მთვრალია რევოლუციის, უფრო კი არეულობის მოახლოებით.

გვ.208. შეჰკივლა ქალმა, შეჰკივლა და გალმა, მეორე აივანზე გამოსულმა კაცმა დაუნანებლად ჰკრატყვია ქალს პირდაპირ გულში – ვინ არის, რომ ამ უთენია მიფრთხობს სიმშვიდეს... – ეს საზარელი მკვლელობის ამბავი ერთპირად თბილისის სამოქალაქო ომის დროს გვახსენებს, როცა ბრმა ტყვია ადამიანს საკუთარ სახლში, ფანჯრიდან აგნებდა, მეორე პირად კი ცნობილ ამბავს, XVIII საუკუნეში რომ მოხდა, როცა ერეკლე II-ს სიძემ, იმერელმა არჩილმა მინარეთზე მონამაზე მოლა მოჰკლა სასახლის აივნიდან, ამისმა კივილმა გამომალვიდაო.

გვ.208. ჰეი, თქვენ მებოქლომენო, გაუმაძღარნო ომითა. – ჯორჯია არა ლალატობს გაჩვეულ ხერხს, ლადო ასათიანის ლექსი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ ახსენდება: „ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო ომი-

თა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.“ ოლონდ კი აქაც გამოცვლის ერთ სიტყვას. ცხრა ძმა ხერხეულიძე 1625 წელს დაიღუპა მარტყოფის ველზე, სპარსელებთან დიადი ომის დროს. მგონი ეს იყო უკანასკნელი ომი, როცა ყველა ქართველი ერთად იბრძოდა. მეზოქლომეებს კი ჯორჯია ქართულ ტაბუთა შემომღებებს თუ უნოდებს. აქვე დამწერისგანაც ითქვას, რომ ბევრი ქართული ტაბუ ასი წლისა ძლივს იქნება, ვინაიდან ბოლო ასმა წელიწადმა წარმოუდგენლად შეცვალა ქართული ტრადიციები და ადათები, გადარჩენილი კი დაამახინჯა.

გვ.208. ერთხელ უკვე მოვიყარე მუხლი... დავრჩით მე და ნოპე ფეხზე მდგომნი და მუშტმუშუკვრელნი. ძალიან შეგვრცხვა და მოვიყარეთ. – პეტრე ჯაფარიძე იგონებს პერესტროიკის დროის ერთ-ერთ ანტისბჭოთა მიტინგს, როცა ორატორმა, რომლის ვინაობაც არ ახსოვს, ხალხს დაჩოქება და მუშტის შემართვა მოსთხოვა.

გვ.208. ფრანც მოორი – კეთილშობილი ყაჩალი, გმირი ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღებისა.“

გვ.208. მუსიო ვალუანი – გმირი ვიქტორ ჰიუგოს რომანისა „საბრალონი,“ ბიჭობაში პურის მოპარვისთვის გასამართლებული, მერე მომპარავი ეპისკოპოსის ვერცხლის შანდლებისა, მერე ქალაქის თავი და მილიონერი, ბოლოს წყნარი ტკივილიანი მოხუცი. მეტად მკვეთრი პერსონაჟი, რომელიც დაგაჯერებს, რომ დამნაშავეს ძალუძს შეცვალოს თავისი ცხოვრება. რომანტიზმია, მოკლედ.

გვ.208. ულან-უდე, სიკტივკარი – რუსეთის უსახური დიდი ქალაქები.

გვ.208. პრავადნიკ, უზლავოია – პირველი მატარებლის გამყოლს ნიშნავს, მეორე — საკვანძო სადგურს.

გვ.208. ციმბირი – რუსეთის უკიდევანო აღმოსავლეთი მინები. იმპერიობის დროს იქ იყო უთვალავი ციხე და ტუსაღთა დასახლებები. კომუნისტების დროს – უამრავი ლაგერი. თუმცა, კომუნისტების დროს ლაგერი ყველგან იყო, ციმბირს, ალბათ სიცივის გამო, მაინც უფრო საშინელი სახელი ჰქონდა.

გვ.208. მატარებლები მიდიან და მოდიან, ტყვია კი რჩება. – 80-იანი წლების ბოლოს მიტინგზე განაგონი: „იმპერიები მოდიან და მიდიან, საქართველო კი რჩება.“ საქართველო სხვადასხვა დროს დაუპყრიათ რომს, ხალიფატს, სპარსეთს, ოსმალეთს, რუსეთს.

გვ.208. ერთი მოხდენილი დარტყმით ძირს დასცაგაი გისბორნი. – იხ. 149-ე გვერდის შენიშვნა.

გვ.208. რატომ მატყუებდი, რობინ? – ეტყობა, ჯორჯია ბავშვობისას ხშირად კითხულობდა რობინ ჰუდის შესახებ და ხიბლავდა რობინი. არეულობის ჟამს კი ეჭვი შეჰპარვია, რომ ფრანც მოორი, ჟან ვალჟანი და რობინი ისეთები იყვნენ, წიგნებში რომ აღუწერიათ. მას ჰგონია, რომ თუკი რობინს იმ თავის მწვანე მოსასხამს შემოვაცლით, ხელში ფაკუნდო კიროგა შეგვრჩება.

გვ.208. რიჯენტს პარკი... აქ ბალახი ცოტაა, ვარდისფერი ხვინჭა კი ბევრი. – რიჯენტს პარკი ლონდო-

ნის განთქმული პარკია, მაგრამ პეტრე ჯაფარიძე უფრო ვაკის პარკს ამსგავსებს დანახულს, რასაც იქ შემჩნეული მოხუცი მოჭადრაკენიც ეხმარებიან.

გვ.208. ეპ, სადღა ნახავ ელამ ბაბუას, გულისფიცარზე მიკიდულ მედლით. – ჯორჯია შეცლილი ლექსით აღწერს მოხუცებს. იოსებ გრიშაშვილის ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ 1925 წელსაა დაწერილი და ალალი სევდით აღწერს ძველი თბილისის სიკვდილს და კომუნისტური თბილისის მშენებლობას. სტრიქონი ამ ლექსიდანაა:

„ეპ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს,
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით.“

გვ.209. მოხუცთა ბანაკი ზეცას მიემგზავრება... სვეტლანა ტომა! აჰ, ჩვენი ბავშვობის შვიდკაბიანი სტრიპტიზი. – საბჭოთა დროის მეტად პოპულარული ფილმი იყო „ბოშათა ბანაკი ზეცას მიემგზავრება,“ გადაღებული მაქსიმ გორკის ბოშური მოთხრობების მიხედვით. მთავარ როლში იყო სვეტლანა ტომა, იმ დროის მზეთუნახავი, რომელიც ერთ კადრში თავის ძალიან ბევრ ბოშურ კაბას იხდიდა მიჯნურის წინაშე. ეს ერთ-ერთი იშვიათი საბჭოთა ფილმი იყო, მსუბუქ ეროტიკულ სცენას რომ ნახავდით შიგა და მოზარდობა დიდად ეტანებოდა.

გვ.209. ძველ ინდურ დაცვას მეთამაშები? – ცნობილი საჭადრაკო დასაწყისია.

გვ.209. – ართმელაძე ვარ მე, ართმელაძე! – ჩემი მეგობრის მამა, ძველი ნაპატიმრალი კაცი სტალინის დროისა და მწერალი, წარმოუდგენელი იუმორით ყვე-

ბოდა ამბავს, როგორ ვერ იცნო მატარებლის გამყოლ-
მა ცეკას დიდმოხელე, იმან კი წითელი საბუთი ამოიღო
და რუსული აქცენტით უთხრა სწორედ ეს სიტყვები.

გვ.209. პურის ტალონები – სტალინის დროს (მეორე
მსოფლიო ომიდან მოყოლებული) პურის ნორმირებუ-
ლად გაცემის სისტემა, რომლის დროსაც პურის მაღაზი-
აში პურის ტალონის წიგნაკი უნდა წარგედგინა. იმ დღის
ქვითარს მოაჭრიდნენ და პურს აგინონიდნენ. ტალონის
დაკარგვა დრამა იყო, მოპარვა – გავრცელებული ილე-
თი. ყალბი ტალონის დამზადება — ცნობილი ხერხი.

გვ.209. თოთხმეტი დახვრეტა გადაუდია. – ამის
დამწერს ერთი მოხუცი უამბობდა სწორედ ვაკის პარ-
კში, როგორ გადაარჩინა თოთხმეტი კაცი დახვრეტას
ტყობულის რაიონში, დიდი რეპრესიების დროს. ამ კაცს
სარაიონო პარტიული თანამდებობა ეკავა.

გვ.209. ეკლესია ისტორიული ძეგლიაო, ყველაზე
კეთილი ამას ამბობს. – საბჭოთა დროებაში, პირველ
ათწლეულში ეკლესიების უმეტესობას ძარცვავდნენ
და ანგრევდნენ, არდანგრეულს საწყობებად იყენებ-
დნენ. სამღვდლოებას მხოლოდ თითებზე ჩამოსათ-
ვლელი ტაძრები დაუტოვეს. უკვე 70-იან წლებიდან სა-
ქართველოში უმღვდლო ეკლესიებს ისტორიული ძეგ-
ლების სტატუსი მიანიჭეს, ზოგან, ვთქვათ, მეტეხის
ტაძარში, თეატრი გაიხსნა, ზოგანაც საცეკვაო ან-
სამბლს მისცეს ბინა. ნახალოვკაში, მაგალითად, ეკლე-
სიაში საქალაქო აბანო იყო.

გვ.209. „ლამევ, ფიქრისა ჩემისაებრ ბნელო“. – იხ.
იგივე სიტყვები 94-ე გვერდზე.

გვ.209. გაფრინდიო, გაფრინდიო და ამბავი ჩამომიტანეო. – ასე ითვლება, რომ ქართული ხალხური სიმღერა: „გაფრინდი შავო მერცხალო, ამბავი ჩამომიტანე ომში წასული ძმისაო,“ ძლიერ უყვარდა სტალინს და თვითონაც მღეროდა ხოლმე.

გვ.210. გოგლიძის ხელმონერილი... გოგლიძე მინსკშიაც ყოფილა უფროსად. – ცნობილი ქართველი ჩეკისტი იყო, ბერიას ერთ-ერთი უახლოესი კაცი. ბერია რომ დაიჭირეს და დახვრიტეს, ისიც ზედ მიაყოლეს. ბელორუსიის შინსახკომის უფროსადაც იყო.

გვ.210. ლიოპკი კავალერისტი – მსუბუქი კავალერისტი. ერთი მოხუცი კაცი უამბობდა პეტრე ჯაფარიძეს, რომ ვილაც მეორე მოხუცი ეტრაბახებოდა, ჩემი უფროსი ძმა ლიოპკი კავალერისტი იყო. თუმცა, თავად ეს მოხუცი მაღალი აზრისა არ გახლდათ ამ კავალერისტებზე, მერე სულ ჩეკაში შევიდნენო. სიმართლე ითქვას და ამათი რაობისა ვერაფერი გამოირკვა, უბრალოდ კაი ეგზოტიკურ სახელად კი მოგეჩვენება კაცს და არდაკარგვის ამბავში აქაც მოესმა ჯორჯიას.

გვ.210. ჩემი ქვეყნის ოქროყანა გამოვა... ოქროყანაში უნდა ახვიდე და იქედან გადმოხედო. – ლადო ასათიანის ლექსის გახსენება: „ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მონეულო...“ ოქროყანა კი სოფელიც გახლავთ თბილისის თავზე.

გვ.210. ვაჰრადას სულაც არ ჰგავს ერგეაშვა. – „ერგეაშვა“ არის პირველი თავის სათაური კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „მთვარის მოტაცება.“ „ვაჰრადაცა“ და „ერგეაშვაც“ აფხაზური ხალხური

სიმღერებია და მათი რაობა, ხასიათი და კილო რომან-
შივეა განმარტებული.

გვ.210. აფხაზები ყოფილან! – ამ სიმღერების გა-
გონებაზე მოხუცები წარმოიდგენენ, რომ თბილისში
აფხაზები შემოსულან. ეს გახლავთ გამოძახილი აფხა-
ზეთის ომისა, რომელიც საქართველოს თავის სეპარა-
ტისტულ კუთხესთან და რუსეთთან მოუხდა 90-იანი
წლების დასაწყისში.

გვ.210. ჩიტა – ციმბირსიქითა რუსული ქალაქი.

გვ.210. „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ –
ცნობილი საბრძოლო ლოზუნგი, რომელიც საბჭოთა
ჯარისკაცებმა აიტაცეს მეორე მსოფლიო ომში.

გვ.210. „ჩემო ტკბილო მეგობარო“ – ქართული
სამხედრო მარში.

გვ.210. ჰაი, აფეთქებულ პრადის ქუჩებო! –
ჯორჯია პატარა იყო, როცა პრადის გაზაფხულის ამ-
ბები ხდებოდა, საბჭოთა ჯარებმა ტანკებით გადაუა-
რეს გამოღვიძებულ ჩეხურ დემოკრაციას.

გვ.211. „მშობელ მინაში მიდგას ფესვები“. – სტრი-
ქონი გიორგი ლეონიძის ლექსიდან (სკოლაში ნასწავლი).

გვ.211. „არსად ისე არ მღერიან...“ – სტრიქონი გა-
ლაკტიონ ტაბიძის ლექსიდან.

გვ.211. მოსკოვი, კრემლი. თბილისის თავზე ფრი-
ალებს ჩითის ნიფხავთა სერპანტინი. – სახეცვლა

განთქმული დეპუტისა, რომელიც სერგო ორჯონიკიძემ გაგზავნა ბაქოდან მოსკოვში 1921 წელს, თბილისის ალების შემდეგ: „მოსკოვი, კრემლი. ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე ფრიალებს გამარჯვების ნითელი დროშა. გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს!“

გვ.211. ავლაბარი – თბილისის ერთი ძველ უბანთაგანი.

გვ.211. ბლავიან ქარიშხლები ცათა შინა. – თხრობით გადმოტანილი სტრიქონი ანა კალანდაძის ცნობილი ლექსისა, სადაც ქართველთა გამაქრისტიანებლის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა არის აღწერილი:
„და ტყეებშის ქარიშხლები ბლაოდნენ.“

გვ.211. ცალი უღვაში მომპარსეთო. – ძველებური ქართული ნათქვამია. იმას ნიშნავს, დამიმონეთო. ზოგჯერ, მეტისმეტად სპარსთა ერთგული ქართველი თავადები ჩაიდენდნენ ხოლმე ამას, ცალ უღვაშს მოიპარსავდნენ და ასე ეახლებოდნენ ხოლმე ირანის შაჰს, აი, ამნაირად მორჩილი ვარ შენიო. უღვაში კი კაცობის, ნამუსის, ღირსების ნიშნად ითვლებოდა. ქოსა კაცს, კაცად არავინ თვლიდა. ქოსა, ორპირობის და ვერაგობის, გლახა კაცობის სიმბოლო იყო იმ ძველ დროში.

გვ.211. პირმოსხნილ ტომარას უჩვენებდა, შეენიეთ გამათავისუფლებელ მოძრაობასო. – მე თავად მინახავს ერთ ძველ მიტინგზე, როგორ დაიჭირეს თალღითი, რომელიც მომიტინგეებს ფულს აფცქვნიდა, სახალხო ფრონტიდან ვარ, ეროვნული საქმისთვის ვაგროვებთო და ტომარაში კი ტენიდა. მერე შორიახლო ბაღში გადასულა და ჯიბეებში იტენიდა. ბიჭები გაჰყო-

ლოდნენ და თავს წამოდგომოდნენ. ფული აართვეს, წაუთაქეს და გააგდეს. ან რამდენი უნდა შეეგროვებინა იმ სანყალ ხალხში. სხვათა შორის, ფული მეტად პატიოსნად და წყნარად დაურიგდა პატრონებს, არავინ შეტენვია, ჩემიც იყო.

გვ.212. რა უნდოდაო, თქვეს, დღეში ოცი ლერი პაპიროსი და ცოტაოდენიც სიყვარულიო. – სავარაუდებელია, რომ ამას იქ შეკრებილი ქალაქელი კაცები ამბობენ აფეთქებულის გამო, რომლის ხელსაც ფულიან ტომარას ვერ აგდებინებენ. აქ ასეა ხოლმე მიღებული, რომ რაც არ უნდა თახსირი კაცი მოკვდეს, ან მოკლან, ვილაცა მაინც გამოჩნდება და შეაქებს. სიკვდილისთვის ყველა ცოდვას, ასე ამბობენ საქართველოში, დანიელ დეფო კი ამბობს „რობინზონ კრუზოს“ ბოლოში, სიკვდილი ცოცხალ ნაძირალას მკვდარ ნაძირალად აქცევსო. აქ შეკრებილი ბიძები კი დავინყებულნი რუსი პოეტის, ვადიმ შერშენევიჩის სიტყვებს ამბობენ: „მნე ბი ტოლკო, ლიუბვი ნიმნოუკო ი დესიატკა დვა პაპიროს.“

გვ.212. დაინყეს პაპიროსების წევა. – ამ და შემდგომ გვერდებზე აფეთქებულის დაკრძალვაზე შეკრებილი კაცები გამუდმებით ეწევიან პაპიროსებს. ჩვენ იმას დავუმატებთ, რომ საქართველო ყველაზე მწველი ქვეყანაა მსოფლიოში.

გვ.212. ტანი ყუმბარამ წარიტაცა, ხელი კი დარჩა, ვითარცა ხატი მისი. დაიჭირეს ეს კაცი და მკლავი მოსჭრეს, ფული რატომ აგიღიაო. – ჯორჯიას ჩაესმის უცნაური რამ მსჯელობა, რომელიც გაახსენებს ლეგენდასა და ლექსს სვეტიცხოვლის ამგების შესახებ:

„ხეკორძულას ნყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია.“

ეს ლექსი იმას გვამცნობს, რომ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრისთვის მარჯვენა მკლავი მოუკვეთიათ. ამ ლექსის საფუძვლად კი ჩაითვლება ტაძარზე ნაკვეთი გამოსახულება მარჯვენა ხელისა, რომელსაც „გონიო უპყრია ხელთ.“ ხალხი რახან უყურებდა ამ ქვაზე ამოკვეთილ მარჯვენას, მოკვეთილ ხელად ჩათვალა და ლექსიც გამოთქვა, რაც მოგონილი რომ არ იყოს, ქართული შიდა კინკლაობის და ინტრიგანობის მაგალითადაც ივარგებდა. ამავე ლექსსა და კვეთილობაზეა დამყარებული კონსტანტინე გამსახურდიას რომანის, „დიდოსტატის მარჯვენას“ სიუჟეტიც. ამ რომანში ხუროთმოძღვარს მართლაც მოკვეთენ მარჯვენას. ჯორჯიას კი უკუღმა ქალაქში უკუღმა ამბები უმღვრევს გონებას. განგსტერი ააფეთქეს, მისი ფულის ტომარის ჩამბლუჯავი ხელი კი გადარჩა.

გვ.212. ბუხრის თავზე მივაჭედოთო. – მთაში ძველათ მტერს თუ მოკლავდნენ, მარჯვენას მოაჭრიდნენ და ბუხრის თავზე დაკიდებდნენ, ვითარცა ბარში ორდენს დაიკიდებენ ხოლმე. ასეთი ხელები მრავლად უნახავს ალექსანდრ დიუმას კავკასიის მთებში მოგზაურობისას და თავის „კავკასიაშიც“ ჩაუნერია. ხოლო თუ მართლა გვინდა გავიგოთ, რას ფიქრობს გონებაგახსნლი და წესიერი კაცი ამნაირ ორდენებზე, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ უნდა ნავიკითხოთ, სადაც ბრიყვი და უხეში თემი ალუდას იმას გადააყოლებს, რომ ეს უკანასკნელი არაფრით მოჭრის მარჯვენას მოკლულ მტერს, რომელსაც რაინდულად სცემს პატივს.

გვ.212. ჩვენს ქალაქში დაფერფლვა ჯერ არ მოხერხებულაო. – თბილისში წესად არ არის მიცვალებულის კრემაცია.

გვ.213. სანნახელი – ღვინის სანური ძველებური ჭურჭელი, საუკუნო ხეებისგან ნათალი. რომ შევხედავ ხოლმე სულ ბიბლია მახსენდება, რატომ არ ვიცი, კი ვხვდები, მაგრამ სხვა დროს იყოს.

გვ.213. სრესი – დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ტელევიზორში ელექტროგანათების გამო ახსენებენ ხოლმე. რაღაც სტანცია უნდა იყოს. ცხადია, აბრევიატურაა. „სრესი“ სრესვას არ გულისხმობს.

გვ.213. და ამოვიცანი ამ გემრიელ წვეთებში წვიმა ჩიპებისა. – ჩიპი გახლავთ სათამაშო სახლის, სამორინეს, კაზინოს ფულის შემცველი ჟეტონები. აქედან თანდათან ვიგებთ, რომ ჯორჯიას კაზინოები არ უყვარს.

გვ.213. ჩიპ-სოლდ, პას-პაროლ, ნითელი და შავი... სერვი. – საბჭოთა დროს ფულზე თამაში აკრძალული იყო და მალულად არიგებდნენ ბანქოს. პოკერი ოჯახებში ითამაშებოდა, ძირითადად ელიტარულ წრეში. ამ წრეში პოკერი მეტად პოპულარული იყო 60-იან, 70-იან წლებში. ყველა აქ ჩამოთვლილი ტერმინი, ერთის გარდა, სწორედ ამ პოკერისაა. ნითელი და შავი კი ბზრილას (რულეტკას) ფერებია. იმავდროულად სტენდალის რომანის სათაურია და იმავდროულად ხიზილალას ფერებიც. ისე, რომ საბჭოთა დროში, რესტორანში შესულ ნაგოიმო მდიდარს შეიძლებოდა მიმტანისთვის ეთქვა, ზაკუსკა და სტენდალი (ორივენაირი ხიზილალა) მოგვიტანეო.

გვ.213. ზელინოგრადი, ჩელიაბინსკი, ტულა – რუსეთის ქალაქები.

გვ.214. ხტებოდნენ შიგ, ვითარცა ომარ შარიფი ერთ დავინყებულ ფილმში. – ომარ შარიფი ასახიერებს ბანდიტს კოლორადოს ფილმში „მაკენას ოქრო.“ ექსპედიცია ოქროს კანიონს მიაღწევს და კოლორადო ოქროს მტვრით გაჯერებულ გუბურაში ჩახტება.

გვ.214. მაგრამ განა მგლებს აქვთ ატნაშენია? ამოდის, ნათდება! ეს კი აღარ მოეწონებოდა ლეგრონა ბიჭ ტოტიას. – პეტრეს ახსენდება ვაჟა ფშაველას გასაგიჟებელი მოთხრობა „ამოდის, ნათდება“ სადაც ზამთრის ღამეს, დამშეული ახალგაზრდა მგლები, თავიანთ წინამძღოლს, ტოტიას დაგლეჯენ.

გვ.214. პინოქიო, ონავართა კუნძულზე რომ მოხვდა. – ამ კუნძულზე ბიჭები მიჰყავთ, ათამაშებენ, აცელქებენ და ვირებადაც გადააქცევენ. ვირებს კი მერე ყიდიან.

გვ.214. დინოზავრები – წინაისტორიული ძალიან დიდი ცხოველები, ქერცლიანი და მეტად უშნო ბამბაოზნი.

გვ.214. თენგიზ... თამაზ... რობერტ.... ავთუშ... ნოდარ და გურამო – ამ სახელებს ხშირად არქმევდნენ ვაჟებს 30-იან წლებში.

გვ.215. ისინი კი, დაბნეულნი, ვითარცა ტალახით მოსვრილი სესილია თაყაიშვილი „ნატვრის ხეში“. – ქართული ფილმის, „ნატვრის ხის“ ფინალური ეპიზოდი: ულამაზეს გოგოს, მარიტას სოფელი ვითომდა

ქმრის ლალატისათვის ვირზე უკულმა შემჯდარს ჩაატარებს გზაზე და ტალახის სროლით მოაკვდინებს. მისი საბრალო ბებია, უსასოოდ, ტალახში ჩაჩოქილი რჩება. ბებიას სესილია თაყაიშვილი ასახიერებს, ფილმი კი აგებულია გიორგი ლეონიძის ამავე სახელწოდების მოთხრობებს წიგნის მოტივებზე.

გვ.215. მეთვრამეტე პარტიული კონფერენცია. – საბჭოთა კომპარტიის უკანასკნელი კონფერენცია, რომელსაც გორბაჩოვი უძღვებოდა.

გვ.215. „ტაშკენტისკენ ცხრა მთა გადავიარეთ“. – სიტყვები ქართული სიმღერიდან, რომელიც მანიშნებელია ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი სიხარულისა. 1964 წლის შემოდგომაზე, უზბეკეთის ქალაქ ტაშკენტში თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხა გადამწყვეტ თამაშში და პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში. სიმღერაც –

„ტაშკენტისკენ ცხრა მთა გადავიარეთ,
საქართველოს ოქროს ბიჭებმა,
რომ დაგვეცვა უზბეკეთის მინაზე,
საქართველოს სახელი და დიდება...“

იმ დღეებში დაიბადა და მეტად პოპულარულიც იყო.

გვ.215. იქნებ ტაშკენტი? პურის ქალაქი. – საბჭოთა ფილმის სათაურიდან მახსოვს, „ტაშკენტი, პურის ქალაქი.“ ფილმის შინაარსი იმგვარი იყო, რომ შუარუსეთში შიმშილობაა და ხალხი ტაშკენტისკენ მიდის, სადაც ბევრი ხორბალი ეგულება.

გვ.215. სულ გარეუბნელ სიდედრთა გარეუბნელი მკვლელები ჩამოთვალა. – აქ ის თუ იგულისხმება,

რომ სამოქალაქო ომის შემდეგ თბილისში ბევრი მკვლელობა ხდებოდა, მაგრამ ხშირად მკვლევებს ვერ იჭერდნენ არა იმიტომ, რომ არ იცოდნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ გავლენიანი ადამიანები შველოდნენ.

გვ.216. მინგეჩაური – წყალსაცავია აზერბაიჯანში, თბილისზე გამავალი მდინარე მტკვარი მას უერთდება.

გვ.216. ტაშკენტიდან ქარავნები მოდიანო – 60-იანი, 70-იანი წლების ქუჩური სიმღერის გახსენება:

„ტაშკენტიდან მოდის ქარავანი,
ჩემთვის მოაქვს ანაშა და პლანი,
აქლემზე ზის ერთი სქელი ქალი,
ახ მამაჯან, ეტყობა, რომ მორფინისტი არი.“

სიმღერის არსი ის გახლავთ, რომ შუა აზიაში ნარკოტიკები იაფია და ბევრია.

გვ.216. პიკასოს ბიჭობის ამბავი. – ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ხიდის მოაჯირზე მჯდომი პატარა ბიჭი შლაპებს აართმევს აგული ერისთავსა და შავლეგს და მდინარეში გადაეშვება. ამ შემთხვევამდე, აგული, ვითარცა შემოქმედი, ბიჭის იერში რალაც განსაკუთრებულს დაიჭერს და აი, პიკ: ის ბიჭიო, ამბობს. შლაპაართმეული შავლეგი კი შესძახებს: „ესაა პიკასოს ბიჭი? ამით ერთობა პიკასო?“ ეს შეძახილი კარგა ხანია სახალხო თქმაა და იმედგაცრუებას გამოხატავს.

გვ.216. მაუდ-კამეოლის კომბინატი – საბჭოთა თბილისის ერთ-ერთი ცნობილი ფაბრიკა.

გვ.217. მამალო – შინნამზადი ჯოხიანი კანფეტი

თბილისში, საბჭოთა დროებაში. მამლის ფორმისა იყო და ქუჩებში ჰყიდდნენ ბოშები.

გვ.218. ელვის პრესლი – როკენროლის მეფე.

გვ.218. ჯონი დეპი – ამერიკელი კინოვარსკვლავი, პირთხელი კაცი.

გვ.218. კინუ რივზი – ამერიკელი კინოვარსკვლავი, აზიური თვალების ჭრილით.

გვ.218. მესამე ძალა მოვედი. – „პერესტროიკის“ დროს გაჩენილი გამოთქმაა. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ხოლმე მტერს, რომელიც დაპირისპირებულთა წინააღმდეგობით სარგებლობს. იშვიათად, ვილაც დაარქმევდა ხოლმე საკუთარ თავს, სიჯანსაღის ამბავში: არც ერთი, არც მეორე, არამედ სწორედ ჩვენ, მესამეო. თუმცა, უფრო პირველი მნიშვნელობით მოიხმარებოდა.

გვ.218. მამაშა – დედილო. თბილისში არაოფიციალურ ბორდელთა მმართველ ქალებს უწოდებენ.

გვ.218. ძველ დროში ქალი არიგებდა მოსისხლეებს. – ძველი ადათია ქართული, რომ უეცარ მოჩხუბართა შუა ქალი თავის მანდილს ჩააგდებდა და ისინიც უნდა დაშოშმინებულიყვნენ.

გვ.219. მიქელანჯელო ანტონიონი – დიდი იტალიელი რეჟისორი.

გვ.219. – უგანდონოდ მაინც არ შეიძლება.

– აპასნია... ტრაპზონიდან ეგრე მოგორავენ. სო-

ფელი არ გაუცდენიათ. – „განდონი,“ მოდის სიტყვიდან „კონდომი“ და საბჭოეთში ასეც ეძახდნენ პრეზერვატივს. ტრაპზონის ხსენება კი იმას ნიშნავს, რომ რაც საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვარი გაიხსნა, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ქალაქებში ქართველ მეძავეებს ხშირად შეხვდებოთ. საერთოდ კი საბჭოთა კავშირში, პრეზერვატივი არ იყო დიდად გავრცელებული საგანი და ეს დიალოგიც მის მზარდ მნიშვნელობას მიანიშნებს.

გვ.219. ჩემი ფერარის დაღწეები... ჩემი ლენდკრუიზერის დაღწეები. – განთქმულ ავტომობილთა შორის განათების შესაძლებლობებზეა დავა. „დაღწეები“, ანუ „შორები“ სწორედ ამას ნიშნავს.

გვ.219. კომპრაჩიკოსთა მეთაურის, გერინალდუს გალდაუზენის ნათქვამი გამახსენდა, შუა ზღვაში ზარი რეკავსო. – ჯორჯიას კვლავ ვიქტორ ჰიუგო მოაგონდა, უფრო კი მისი რომანი „კაცი, რომელიც იცინის.“ კომპრაჩიკოსები ბავშვების დამამახინჯებელ ოპერაციათა ოსტატები არიან ამ წიგნში, მათი მეთაურის სახელი კი ასევე დამახინჯებულად და შეცდომით დახსომებია. როცა კომპრაჩიკოსთა გემი ილუპება ზღვაში, მართლაც მოისმის ზარის ხმა.

გვ.219. აშორდიას სტუდენტები – სოლომონ აშორდია მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20-ის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა საქართველოში. ის აზნაურობის ყალბ საბუთებს უმზადებდა გლეხებს, რომლებსაც ეს ნოდება შვილებისათვის სჭირდებოდათ, რადგან მეფის რუსეთი ნოდებრივი ქვეყანა იყო და აზნაურობით მრავალი რამისკენ გაგეხსნებოდა გზა. პეტრე ჯაფარი-

ძე „აშორდიას აზნაურებს“ ადარებს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს, რომლებსაც მთავარი დიპლომის მიღებაა და არა სწავლა.

გვ.219. ყავა „ბუნდიასი“ და ვისკი „ჩ(შ)ივას რიგალისა“. – ბუნდია ყავის ერთ-ერთი კოლუმბიური კონცერნია და „ჩ(შ)ივას რიგალი“ კი ძვირიანი შოტლანდიური ვისკია.

გვ.219. ეკლერი – შოკოლადგადასხმული, ძალიან ტკბილი თბილისური ნამცხვარია.

გვ.219. მაინც არ მასვენებს მწარე სინანული. რომელი ქალაქია, რომელი ქალაქია... – კვლავაც გადაკეთება გალაქტიონ ტაბიძის კიდევ ერთი ლექსიდან: „მაინც არ მასვენებს მწარე სინანული, რომელი საათია, რომელი საათია...“

გვ.219. „უსახელო მალლობზე... ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე.“ – ხუტა ბერულავას ეს ლექსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ჯარისკაცებზეა დანერილი, სკოლაშიც ისწავლებოდა. ლექსი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ რუსი მიშაკოვი და ქართველი შალამბერიძე ამ ლექსის დაღუპული გმირები არიან.

გვ.219. უჩინარი ფრონტის მსახურნი – ასე რომანტიკულად უწოდებდნენ საბჭოთა დროში ქვეყნის უშიშროების მუშაკებს. ალბათ, უფრო საგარეო განხრით მომუშავე ხალხს.

გვ.221. იკარუსი – თბილისში გავრცელებული უნგრული ავტობუსები. ძველ ბერძნებს თუ მივხედავთ,

იკაროსმა ფრთები გაიკეთა და გაფრინდა, ოღონდ კი მზემ დასწვა ეს ფრთები.

გვ.221. ორლამენათევი ქალები... კუბოკრული, ნაცნობი ჩანთები – მოვაჭრე ქალები თუ არიან, საქონელი რომ მოჰქონდათ თურქეთიდან იმ ომების დროს. „კუბოკრული ჩანთები“ კი ყველაზე იაფი ტევადი ჩანთებია თბილისში.

გვ.221. ფრონდა – მესამე წოდების ლიბერალური მოძრაობა საფრანგეთში, მეჩვიდმეტე საუკუნეში, კარდინალ მაზარინის ფისკალურ პოლიტიკიდან დაიწყო, როგორც მახსოვს და 1648-53 წლებში მიმდინარეობდა. ამის გამო დიუმას „ოცი წლის შემდეგშიც“ შეიძლება ამოკითხვა, სადაც დ'არტანიანის ყოფილ მსახურ პლანსეს ფრონდირთა შორის ვხედავთ.

გვ.221. იგვირგვინებს ბაგრატივანი. – იხ. შენიშვნა 84-ე გვერდისა.

გვ.221. გაიცემა პროფესორთა დავალიანება. – 90-იანი წლების პირველ ნახევარში მთავრობა თვეობით აგვიანებდა ხელფასის გაცემას.

გვ.221. ...და სხვა რამეებსაც, გრუშე. – ჯარისკაცი სიმონ ჩ(ხ)აჩ(ხ)ავა მრეცხავ გრუშე ვაჩ(ხ)ნაძეს უჭყიტინებს ხოლმე, როცა ის მდინარეში ბანაობს და შეხვედრისას თანდათან უტყდება ამ ამბავში. ეს არის სიტყვები ბრეხტის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლისა „კავკასიური ცარცის წრე.“ იხ. ახსნა 42-ე გვერდისა.

გვ.221. სულაც არ ყოფილა დროშები, არამედ სან-

მერთულები... ამ სახლებში ქალწულები ჰყავთ დატყვევებული. – ამჯერად ჯორჯიას ახსენდება კადრი კონსტანტინე გამსახურდიას რომანის, „დიდოსტატის მარჯვენას“ მიხედვით გადაღებული ფილმისა, სადაც დროშის მსგავსად კოშკის თავზე მეტად შთამბეჭდავად ფრიალებს სანმერთული, ქალის ძველებური საცვალი. საქმე აქ ის არის, რომ უკვე არაერთგზის ნახსენები მამამზე ერისთავი (შენიშვნები გვ.94, გვ. 209) თავისი დაღუპული შვილის საცოლეს, შორენა კოლონკელიძეს მოიტაცებს და ბნელში ამყოფებს, უნდა იგლოვოსო, მის სანმერთულს კი იმის ნიშნად თუ გადმოფენს კოშკზე, რომ ჩაუცმელი ქალი ვერსად გავა და მგლოვიარეა. ეს რომანშიც ასეა, უბრალოდ, ჯორჯიას უფრო კინო ეპიზოდი გაახსენდა.

გვ.221. შაჰინშაჰთან გასაგზავნ მზეთუნახავებს მალავთ. – როცა სპარსელები ბატონობდნენ საქართველოში, მათი ჰარამხანებისთვის ხშირად ძალითაც მიჰყავდათ ხოლმე ქართველი ქალები.

გვ.222. დალალებს ლატაკი გვარდიელები მოსჭიდებიან. – ცნობილი ზღაპრის გათამაშება, როცა კოშკში ჩამწყვდეული მზეთუნახავი სარკმლიდან თავის გრძელ თმას გადმოუშვებს და ამ თმას თოქსავით მოეჭიდება მიჯნური, რათა მის სენაკში აბობლდეს.

გვ.222. დამიზნებით, მოკლე ჯერით. – თბილისში სამოქალაქო ომის წინარე არეულობებისას, ტელერეპორტაჟიდან გაგონილი სიტყვები.

გვ.222. ლუთონში... სტუმართა ტერასის კარი შევანგრიეთ. – ლუთონი ქალაქია ინგლისში, სტუმართა

ტერასა კი ყველა სტადიონზეა, სადაც სტუმარ გუნდს მოყოლილ გულშემატკივრებს ცალკე დასხამენ ხოლმე.

გვ.223. პატაგონიაში წავიდეთ! ქალაქები ამის თაობაზე უკვე მივიღე. – პატაგონია არგენტინის სამხრეთის წარმტაცი და მეჩხერად დასახლებული ადგილია, ალბათ მკაცრი ბუნებრივი პირობების და კომუნიკაციის ნაკლებობის გამო. საქართველოდან კი ძალიან ბევრი ადამიანი მიდის უცხოეთში სამუშაოდ. ხშირად მათ თაღლითები ატყუებენ, ფულს აართმევენ და არარსებულ მინვესტებსა და პირობებს სთავაზობენ. თითქოს, პატაგონიაც ამგვარ შეთავაზებად გამოიყურება.

გვ.223. რაც კარგები ვართ... რაც კარგები ხართ. – ქართული სიმღერის სიტყვებია: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, ყველაზე კარგები... (აქ შენი მხარე, ქალაქი, სოფელი უნდა დაასახელო) ვართ.“

გვ.223. საპრივატიზაციო ობიექტი – უძრავი ქონება, რომელიც საბჭოთა დროს სახელმწიფოში იყო, ახლა კი კერძო პირებს უნდა მიჰყიდოს.

გვ.223. თავნაწყვეტილი ბელურები – მათს დროის ჩინეთში ბელურების მასობრივი ჟღერა დაიწყეს, ნათესებს ანადგურებენო.

გვ.224. ყველა შავ, ღილებიან კომბინიზონში გამოწყობილიყო. – საბჭოთა პატიმრის სამოსი უნდა იყოს.

გვ.224. მოგზაურობა ნულუკიდის მხარეში. – ქართულ ქალაქ ხონს საბჭოთა დროში ნულუკიძე დაარქვეს, ბოლშევიკ სამა ნულუკიდის ხსოვნის პატივსაცემად.

მად. ამ ქალაქის ახლო იყო და ახლაც არის „შრომა-გას-
ნორების კოლონია“ – ასე უწოდებდნენ საბჭოთა დრო-
ში ზონას, ლაგერს და ა.შ. ოფიციალურ ენაზე. იქ კაცი
თითქოსდა შრომით უნდა გამოსწორებულიყო. პატიმ-
რების მონებივით გამოყენება საბჭოთა ქვეყნის წესი
იყო, განსაკუთრებით, სტალინის დროს.

**გვ.224. რუსთავის მხარეში. ქსანი, ტუბზონა. პაემ-
ნის ოთახები.** – პეტრე ჯაფარიძე ქართულ „შრომა
გასწორების კოლონიებს“ ახსენებს. ქსანში ავადმყოფი
პატიმრები იყვნენ დატუსაღებულნი, ამიტომაც ერქვა
ტუბზონა, ანუ ქლექიანთა ზონა. პაემნის ოთახები ის
ოთახებია, სადაც პატიმრები მნახველებს ხვდებიან.

გვ.224. „იმუშავეთ ვირებო, ჭამეთ ბრიგადირებო“.
– მწარე ანდაზა, რომელიც მუშათა რაზმის უფროსის
უმაქნისობაზე მიუთითებს.

გვ.224. ხლებარეზკის ვირთხებო – ყოველ საბჭოთა
პატიმარს ერგებოდა განსაზღვრული წონის პურის ნა-
ჭერი, იგივე პაიკა. პურის დაჭრა (ხლებ რეზაც) საგან-
გებო ოთახში ხდებოდა, მჭრელებს კი ხეირი ჰქონდათ
ამ საქმიდან, თუნდაც ნამცეცების შეგროვება. ამიტო-
მაც, ჯორჯია ვირთხებად მოიხსენიებს, რადგან პატიმ-
რისთვის რაიმეს მოპარვას ვირთხოვა ჰქვია.

გვ.224. ვირთხუმ პეტროვიჩი – ოჯახური ზღაპრის
გმირია, ბაბუაჩემმა ილიკომ მოიგონა ჩემს პატარაობაში.

გვ.224. გრელკით შემოგზავნილი სპირტი. – სა-
ქართველოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში
(ასეც ერქვა ზონებს) სასმელს გრელკებით, რეზინის

სათბურებით შეაგზავნიდნენ ხოლმე ირიბი ხერხებით. ბოთლით შეგზავნა ქირდა, ბოთლი, ვითარცა მჭრელი საგანი აკრძალული იყო.

გვ.224. ნეტავ ლონდონს თუ აშენებდნენ გერმანელი ტყვეები? – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი ტყვეები საბჭოთა კავშირში დატოვეს რამდენიმე წლით და მათ მუქთად ამუშავებდნენ ნაირგვარ მშენებლობებზე. ტყვე გერმანელები ბევრნი იყვნენ საქართველოს ქალაქებშიც და ისინი ჩანან ქართულ ლიტერატურაშიც. ვთქვათ, რეზო ჭეიშვილის და რეზო გაბრიაძის წიგნებში. ეტყობა, ამ ტყვეებს თითქმის არაფერს აჭმევდნენ და ამიტომაც ისინი კარდაკარ დადიოდნენ და საკვების საფასურად ნაირგვარი საოჯახო საქმის კეთებას სთავაზობდნენ ხალხს. თბილისის რამდენიმე მეტად ცნობილი შენობა, მაგალითად სასტუმრო „საქართველო“, ვეტერინარული ინსტიტუტის ყოფილი შენობა ვაკეში და ა.შ. ამ ტყვეების ნაშენებია.

გვ.224. რა მიზნით ჩერდებით ჩვენს სასტუმროში? – საბჭოთა დროს, სასტუმროში მონყობა და იქ ლამის გათევა სერიოზული პრობლემა იყო. პასპორტი, მივლინების ბარათი, უცხო ქალაქში ჩასვლის მიზანი, შენი სართულის მორიგე, რომელიც სრულ თერთმეტ საათზე გირეკავს, სტუმარმა ნომერი დაცალოსო და ამნაირი რამეები, ჩვეულებრივი ამბავი იყო. ქართველებს ლამის მთელი ჩანთა კონიაკის ბოთლები დაჰქონდათ რუსეთის ქალაქებში, იქაური სასტუმროების ადმინისტრაციაზე მეტად ჭრიდა ხოლმე კონიაკით მოქრთამვა.

გვ.224. დირიჟაბლები და წითელკანიანი მონადირეები – იხ. ახსნა 203-ე გვერდისა.

გვ.224. ლუჩია, სად არის შენი აბისინიაში მებრძოლი ქმარი? – ლუჩიას ამბავი განმარტებულია 204-ე გვერდის შენიშვნაში.

გვ.224. „ადგილი, სადაც სისუფთავე და სინათლეა.“ – ჰემინგუეის მოთხრობის სათაურია. დიდად სითბოს დამღვრელი მოთხრობაა, ჩემი მოკლე ჭკუით.

გვ.224. ვუდი ალენის წიგნი – ამერიკელი რეჟისორის, ვუდი ალენის მოთხრობების წიგნი, ამოდ საკითხავი რამ არის, თუ კაცი იუმორს აფასებს.

გვ.224. ჩემი გამოქვაბული ჩემი ციხესიმაგრეა. – ინგლისურ ანდაზაში სიტყვა „სახლი“ „გამოქვაბულითა“ შეცვლილი. გამოქვაბულის კაცის სამეცნიერო სახელებით აღარ შეგანუხებთ.

გვ.224. ყვავად გადავიქცე და ტაუერის ეზოში ვისეირნო. – ამბობენ, მეფე ართური ყვავად გადაიქცაო. აქვე დაგვიანებით შეგახსენებთ, რომ ჯორჯიას ლენდლორდ-ხაზინს, მისტერ მანტლიჰს ენდრიუ კამელოტი ჰქვია. სწორედ კამელოტის მეფე იყო ართური.

გვ.225. ჟან ვალჟან... შენსავ ქალაქში შეიძლება იარო უჩინმაჩინის ქუდით და იყო მშვიდი, მომთმენი და მოარული ვინრო ქუჩაზეო. – ვიქტორ ჰიუგოს რომანის „საბრალონის“ გმირი ჟან ვალჟანი, მას შემდეგ რაც თავის გაზრდილს, კოზეტას დააქორწინებს, უცხადებს, სამუდამოდ მივდივარ მე, ძველი კატორღელი შენი ცხოვრებიდან და ამ ქვეყნიდანო. ამ დროს კი თურმე წლებია ცხოვრობს პარიზში მარტოკაცის ცხოვრებით.

გვ.225. გადამწვარა და არც გადამწვარა. ყველაფერი იწვის და დუქნები არა. – სიმნრის ნათქვამი ქართული სიმღერიდან მომდინარეობს: „ქუთაისი გადამწვარა, რერო, თვის დუქნებიანადო, რერო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო...“ მართლაცდა, მთელი ქვეყანა რომ დაიწვას და დაიბუგოს, დუქან-რესტორნები მაინც ღია იქნება.

გვ.225. მედუქნეებო ყველა უბნისა, შეერთდით. – ყველა საბჭოთა გაზეთს ზედა კუთხეში ეწერა, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

გვ.225. მთელი ქვეყანა თქვენი იქნება. – ჯორჯია იხსენებს ზურიკელა ვაშალომიძის მონოლოგის ნაწყვეტს ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“: „მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასდროს აღარ დავიხოცებით...“ ოდნავი ცვლილებები პეტრე ჯაფარიძის ცნობილი ილეთია. ამ შემთხვევაში, ის ეჭვობს, რომ ქვეყანა მედუქნეებს დარჩებათ.

გვ.225. ჩაჰბერეთ დილის საარსა და არლანიც ატირდება იმ თეთრ ადგილებში. – დილის საარი დუდუკის მეტად მწველი ჰანგია.

„და თეთრ დუქანთან სტირის არლანი

მტკვარი ახლოა, მინდა მტკვარში თავი დავიხჩო.. .“

ტიციან ტაბიძის ლექსიდანაა.

გვ.225. ორი მისხალი ენა ვართ. – ქალაქური გამოთქმა. ამოღებულია გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „მეეტლე იაგორა.“ ეს სიტყვები გულისხმობს, გოლიათი არა ვარ, მაგრამ არაფერი მეშლებათ.

გვ.225. ბიძაშვილებს, ბასკებს გაუმარჯოთ. – ქართველთა და ბასკთა ძველი ნათესაობის საკითხს მეცნიერებიც იკვლევდნენ. ეს თეორია მეტად პოპულარული იყო საქართველოში საბჭოთა დროს.

გვ.225. „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო.“ – იხ. განმარტება 51-ე გვერდისა.

გვ.225. „ჰეი მეეტლევ, შეაჩერე ელდორადოსთან“. – ასე ეწერა ვაკეში, შროშის ქუჩაზე, რესტორან „ელდორადოს“ კარს.

გვ.225. შრომითი სემესტრი. – საბჭოთა სტუდენტი ორ სასწავლო სემესტრს რომ მოილევდა, მერე მიდიოდა ხოლმე შრომით სემესტრში, ვთქვათ სახლების ასაშენებლად რუსეთის რომელიმე ქალაქში, ან სულაც სადმე სხვაგან. ამ სვლაში ხალისი დიდი იყო, თუმცა ამ სემესტრიდან თავის დაძვრენა ჭირდა და ავადმყოფობის ცნობა ან რაიმე სხვაგვარი ჩანყობა უნდოდა.

გვ.225. აჰ რამსისქე კომისარია! ქაბულში გამიხსენებ, პადლეც. – ისევ და ისევ საბჭოთა ჯარში სტუდენტის განვევის ამბავია. კომისრები სარაიონო გამწვევი სამსახურების უფროსები იყვნენ, კაი დასუქებული სამხედროები. სიტყვები „ქაბულში გამიხსენებ, პადლეც!“ მე გავიგონე ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატში. დერეფნის ბოლოში კომისარი უყვიროდა ვილაც ნვევამდელს, რომელიც, ეტყობა, ავადმყოფობას ცდილობდა, ოღონდ ზურგი არაფრით გაემაგრებინა. ჯორჯია ასე იხსენებს, რომ თითქოს კომისარმა მას უღრიალა ეს სიტყვები. მოგეხსენებათ, ქაბული ავღანეთის დედაქალაქია და იქ ოცი წლის წინათაც ომი იყო.

გვ.226. კუს ტბა – ვაკის თავზე, მთებში ჩამალული პატარა ტბაა. მისი შემოგარენი სასეირნო და სავარჯიშო ადგილადაა აღირებული.

გვ.226. – დეზერტირების რაიონი ხართ...

– ეგ დეზერტირები გაჭმევენ პურს, თქვენი დედა... – იხ. 202-ე გვერდის ბოლო შენიშვნა. დეზერტირი კი ჯარიდან გამოქცეულს ნიშნავს.

გვ.226. საავადმყოფო ფურცელი. ექიმ ნევროლოგთა დასკვნა. – ნვევამდელი თავდასახსნელ ავადმყოფობას ჩემულობს, შესაბამისი დასკვნაც მიუღია ექიმებისგან, მაგრამ კომისარს ფეხებზე ჰკიდია, რადგან რალაც გაურკვეველობა მომხდარა და ან ფული ვერ გადაუხდიათ, ან მხოლოდ დასკვნა აქვს და ზემოდანაც არავის დაურეკავს.

გვ.226. ჩემზე კარგები ჩაალაგეს თუთიის კუბოებში... – დალუპულ საბჭოთა მებრძოლებს ავლანეთიდან დალუქული თუთიის კუბოებით მოასვენებდნენ და ოჯახს ნებას არ რთავდნენ, რომ კუბო გაეხსნა. ამიტომ, ხალხში ხმა დადიოდა, ხშირად კუბო ცარიელია, რადგან გვამი ვერ უპოვნიათო.

გვ.226. ლაშქარი ჩვენი მლეღვარებისა. – ჯონ სტეინბეკის რომანია „ზამთარი ჩვენი მლეღვარებისა.“

გვ.226. „დედასამშობლო გვეძახის!“ – მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ყველაზე ცნობილი საბჭოთა პლაკატი, რომელიც ქართველმა მხატვარმა, ირაკლი თოიძემ დახატა.

გვ.226. რომში ხომ არ ვართ? ალარიში და იმის ჯეჯგვები ხომ არ მოინევენ? – რომის იმპერიის დაცემის დროების გახსენება. ვესტგუთების ბელადი – მეფე ალარის I იყო რომის დამარბეველი.

გვ.226. ფქვილი... სამი დღის მარაგილა დაგვრჩაო. – 90-იან წლებში მალიმალ აცხადებდნენ ტელევიზორში, ქვეყანას ფქვილი უთავდება, ზეგ გაუთავდება, მაზეგ გაუთავდებაო.

გვ.228. ჩვენს შორის ხუთი საათი ამოსუნთქული ფრენაა. – ამდენი უნდა იფრინო თბილისიდან ლონდონამდე და პირიქით.

გვ.229. ლავრენტი პავლეს ძე – იგივე ბერია. ცნობილი ქართველი პერსონაჟია. ამიერკავკასიის, საქართველოს, საბჭოთა კავშირის შინსახკომების უფროსი სხვადასხვა დროს. საქართველოს ცეკას მდივანი და ბატონ-პატრონი 30-იან წლებში. სტალინის სიკვდილიდან ორიოდ თვეში დაიჭირეს და დახვრიტეს.

გვ.229. „კომკავშირული გუულიიიი...“ – ქართული კომკავშირული სიმღერა 70-იანი წლებისა.

გვ.229. კომკავშირული ქალაქი ყოფილა. ძნელაძეო, თუ რაღაც. – ბორის ძნელაძე საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის პირველი ლიდერი იყო. 70-იანი წლების მინურულს თბილისის ახლოს, შავნაბადაზე ააშენეს მისი სახელობის კომკავშირული ქალაქი, სადაც მე ვყოფილვარ ერთხელ, რემბრანტის ტილოების ფოტორეპროდუქციების გამოფენაზე. იქ გალია იყო, გალიაში კი დათვი იჯდა. მეტი არაფერი

მახსოვს. ერთხელ იქ მხედრონი იდგა ბანაკად და რუსის ჯარი დაეცა. მერე ეს ნასენები, მგონი სამხედროებს გადასცეს.

გვ.229. არ ჩამოართვა ხელი კომანდორს. – კომანდორის ქანდაკებას რომ ხელი ჩამოართვა, უეჭვნოდ მოკვდები. იხ. ახსნა 117-ე გვერდისა.

გვ.229. „და შაჰრაზადს შემოათენდა ნებადართულ სიტყვებზე.“ – ამ სიტყვებით ილევა ყოველი ღამე „ათას ერთ ღამეში“ და ამბავი დაუსრულებელი რჩება. იხ. შენიშვნა 98-ე გვერდისა.

მოსტ ვატერლოო

გვ.230. მოსტ ვატერლოო – ვატერლოოს ხიდი ლონდონშია, ნაპოლეონის დამარცხების აღსანიშნავად ჰქვია. თავად ვატერლოო ბელგიაშია. „ვატერლოოს ხიდი“ ძველი ინგლისური ფილმია, რომელშიაც ვივიენ ლი თამაშობს. იქ მოთხრობილია ომში წასული ოფიცრისა და მისი მიჯნურის ისტორია. ეს უკანასკნელი მეძავი შეიქნება. თავის სათაურად ამ ფილმის რუსული სახელწოდებაა დასმული. გაზეთში ბეჭდვისას ამ თავს „და ბოლოს“ ერქვა. მგონი, ეს სჯობს. სათაური რუსულად იმიტომ უღერს, რომ არ გამიგონია, ვინმეს ამ ფილმის სახელი ქართულად ეთქვას ჩემთვის.

გვ.230. ისპალკომი – აღმასკომი. საბჭოთა მმართველობის ორგანო ამა თუ იმ რაიონში.

გვ.231. კები – ლონდონური ტაქსის სახეობა, უფრო იაფი ვიდრე განთქმული შავი ტაქსები.

გვ.232. ნაითქლაბიო. პაბის კაცი ვარ. – პაბი ლუდ-ხანაა, ნაითქლაბი — ლამის კლუბი, სრულიად განსხვავებული დროსტარების ადგილებია.

გვ.233. წინ ვინ ჩაგისვამს? – როგორც წესი უცხოურ ტაქსებში მძღოლს წინ არ და ვერ ჩაუჯდები. მიღებული არ არის უფრო მძღოლის უსაფრთხოების გამო.

გვ.233. არ არის გალუცინატორი... შემეშალა მაშინ. სტიმულატორია. – უკვე ძნელი დასადგენია, როდის შეეშალა ზურას. იხ. 25-ე გვერდის განმარტება.

გვ.234. ოქსფორდ სტრიტი – შუა ლონდონის ცნობილი ხალხმრავალი ქუჩა.

გვ.235. დასაჭყანი – ტეკილა იგულისხმება, მექსიკური არაყი.

გვ.237. მეიფეარი – იგივე მეიფეა, ინგლისური სიგარეტია. ამავე სახელწოდების მდიდრული უბანია ლონდონში.

გვ.238. ქალი რო მღერის... და ბრუს ვილისი რომ მუცლიდან გამოუღებს რაღაცეებს. – ზურა იხსენებს ლუკ ბესონის ფილმის „მეხუთე ელემენტის“ ეპიზოდს. იქ აგენტი კორვინ დალასი, რომელსაც ვილისი თამაშობს, მომაკვდავ ზღაპრულ არსებას მუცლიდან გამოუღებს სამყაროს გადარჩენის ოთხ ელემენტს.

გვ.238. სტემფორდ ბრიჯი – კლუბ ჩელსის სტადიონი. ამაზე უფრო დანვრილებით მოთხრობილია ამავე ავტორის ნიგნში „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“

გვ.238. ჰითროუ – ლონდონის სამთაგან ერთი აეროპორტი.

გვ.239. „ჩვენს გოგიას რაღა, ვირის თავფეხი?“ – პოპულარული ფრაზა ფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ.“ ასევე შენიშვნა გვერდისა.

გვ.239. ქინქლაძე – ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც კარიერის უმეტესი ნაწილი ინგლისში გაატარა.

გვ.240. ბოლ ინ ზე ნეთ. – ბურთი კარშია.

გვ.240. „ჩემო კარგო ქვეყანავ.“ – ილია ჭავჭავაძის ლექსი, სიმღერად შექმნილი რევაზ ლალიძის მიერ:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგინყენია,
ანმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია.“

საქართველოს ნამდვილი ჰიმნი სწორედ ეს ლექსი და სიმღერა გახლავთ. არაოფიციალური, რა თქმა უნდა.

გვ.241. პერმი – რუსეთის ქალაქია.

გვ.241. Здравствуй, моя Мурка... – ძველი ქურდული სიმღერა. ყველაზე განთქმული ქურდული სიმღერა საბჭოთა კავშირში.

გვ.241. მეტროს წითელი რგოლი... – ლონდონის მეტროს ლოგოა.

გვ.241. ქვინზვეი – ქუჩა და მეტროს სადგურიც.

გვ.242. ნოტინგ ჰილ გეით – მეტროს სადგური.

გვ.242. პადინგტონი – რკინიგზის ერთ-ერთი სადგური ლონდონში.

გვ.242. სიქჰები – პერე ჯაფარიძეს განთქმული ინდური ტომის ხალხი ახსენდება, რომლის მამაკაცებიც თმა-წვერს არ იკრეჭენ. სიქჰი რადიკალები ინდოეთში, ფენჯაბში ცხოვრობენ და მათ რადიკალებს სიქჰური სახელმწიფოს შექმნა სწადიათ. სიქჰები ლონდონში მრავლად არიან.

გვ.242. სტაფილოსფერო ჯიგარო – ალბათ ტელეფონის აპარატი სტაფილოსფერია.